საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.geworld.ge

№20 (444)

6 – 12 ივნისი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

## «კოაბიტაციამ შხამიანი ნაყოფი გამოიღო!» 8



«ფაშისტებზე უარესები არიან ესენი. ჰიტლერელები არიული ნაციის ბატონობას აპირებდნენ სხვა სახელმწიფოების დამონების გზით. ავადმყოფი ნაცები კი ჩვენი ერის ამოძირკვას ცდილობდნენ და არც ახლა აუღიათ ამაზე ხელი»

«კანონი უნდა კანონობდეს! ისე არ უნდა იყოს, რომ, თუ დასავლეთს მოსწონს, რაც გინდა, დააშავე, პასუხს არავინ მოგთხოვს; თუ არ მოსწონს, რაც გინდა, კარგი გააკეთო, მაინც უვარგისი ხარ»

## ნაცბანდის რევანშის მესამე მცდელობა

«ბოლოს და ბოლოს, ვინ ბრძანდება ზაზა სარალიძე, თავს ამდენის უფლებას რომ აძლევს?! რა, შვილის სიკვდილი ყველაფრის კადრების ინდულგენციაა?!» 6



## «ზაზა სარალიძემ ის ადამიანები დაიყენა გვერდით, რომლებმაც ჯერ შვილი მოკლეს, მერე მამა შვილის საფლავზე დააკლეს» 7



## თუ სირიის მიერ აფხაზეთის აღიარებაში რუსეთის ხელი მართლაც ურევია, ეს მარგველაშვილის დიდი დამსახურებაა 5



## რა, ჩვენ ილიაზე მეტად გვიყვარს საქართველო, რუსეთს მუშტს რომ ვუღერებთ, ვლანძღავთ და ვაგინებთ?! 18



## სამოთხისკენ მიმავალს

ხვალ ზეცად აღევლინება ირაკლი თოდუას სული, ზეციურ საქართველოში, მეორმოცე დღეს. ჩვენი ეს გამოსათხოვარი იმ „ვარდისფერ გზაზე“ ფიანდაზად გვინდა დაეგოს, ჩვენი სიყვარული, პატივისცემა და მოწიწება გავაყოლოთ ჩვენს ირაკლის — მეგობარს, კოლეგას, ხელმძღვანელს.

უმაღლესი კლასის პროფესიონალი იყო, იდეალურად ჰქონდა შერწყმული გაზეთის რედაქტორობის ყველა აუცილებელი თვისება და უნარი: სიმტკიცე და შეურყევლობა, ინფორმაციული მასიდან მთავარის ამორჩევა და უშეცდომოდ აქცენტირება, ფაქიზი რედაქტირება ჟურნალისტებისა და გარეშე ავტორების მიერ მომზადებული მასალების, გაზეთის ნომრების ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამდიდრება, ფაქტების სანდოობის შემოწმება და ა.შ. და ა.შ.

და ამ ყველაფერს საფუძვლად ედო მისი მრავალმხრივი განათლება, დახვეწილი ინტელიგენტურობა, სხვათა შრომის დაფასების უნარი და შესაძლებლობა — მორალური თუ მატერიალური.

მას სწამდა ბეჭდური სიტყვის ძალის, რწმენის ძალასთან გაიგივებულის, რადგან „რწმენა არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რასაც ვთესავთ, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ“ (ებრ. 11, 1); რადგან „რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, იქმოდნენ სიმართლეს, აღწევდნენ აღქმებს, პირს უკრავდნენ ლომებს“ (ებრ. 11, 31).

გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ მკითხველებში სერიოზული, ანალიტიკური და ინტელექტუალური გამოცემის სახელი თუ დაიგდო, ეს, უწინარეს ყოვლისა, მთავარი რედაქტორის დამსახურება იყო.

და დღემდე ასეც რჩება.

ბატონ ირაკლის არ სწამდა იაფი პოპულარობის მოპოვების, ე.წ. ცხელ-ცხელი სენსაციების მეშვეობით, მისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო „ყვითელი პრესის“ პრინციპები.

სიმართლით იბრძოდა სამართლისთვის ურთულეს და უმძიმეს პერიოდებში, მაშინაც კი, როცა „გაცოფდნენ გულმაგრები, დათვლიმეს, დაეძინათ და ვერც ერთმა მოლაშქრემ ველარ ჰპოვა ხელები თვისი“ (ფს. 75, 6) და „როცა აღდგა სამართლისათვის ღმერთი ქვეყნიერების ყველა ჩაგრულის გადასარჩენად“ (ფს. 75, 10).

მართალი გზით იარა.

უკან არასოდეს დაუხევია, ყოველთვის იცავდა თავის პოზიციას, თავის სიმართლეს, მაგრამ, როგორც ბუნებით დიპლომატს ახასიათებს, ჯანსაღ კომპრომისზეც არ უთქვამს უარი, რითაც ჩაძირვისგან გადაურჩენია აბობოქრებულ ცხოვრების ზღვას შეჭიდებული ქაღალდის ნავი — გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“.

ცოტაც და, მარადიულობის სიმაღლიდან გადმოგვხედავს, დალოცავს თავის ოჯახს, ნათესავ-მოყვრებს, მეგობრებსა და ახლობლებს და ჩვენც დაგვმოძღვრავს, როგორც ყოველთვის, გულწრფელი და ალალი სიტყვით:

„ხოლო იმედის ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, რათა სულიწმიდის ძალით იუხვოდ იმედში.

და თვითონ მეც, ძმანო, დარწმუნებული ვარ თქვენზე, რომ თქვენ თვითონაც სავსე ხართ სათნოებით, სავსე ხართ ყოველგვარი შემეცნებით და ძალგიძთ ერთმანეთის დარიგება“ (რომ. 15, 13-14).

მშვიდობით!

„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩანს, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევის ცდომილების პროცენტი ყველაზე მისაღები პოლიტიკოსის საკითხში გაცილებით მეტია +/- 2.5%-ზე, რადგან გაუგებარია, ვისთვის არის მისაღები, რა თქმა უნდა, თვითონ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა და მისი ამერიკელი პატრონების გარდა, ნაფტალინდაყრილი დავით ბაქრაძე, რომელიც, 2008 წელს მოსახლეობისადმი თავისი ცნობილი მიმართვის შემდეგ — დანებითა და ჩანგლებით ებრძოლეთო რუსულ ტანკებს — თითქმის ყველას მიავიწყდა...**

# ნაფტალინდაყრილი ბაქრაძე მხოლოდ IRI-ს არ ავიწყდება



**საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობას გამოკითხულთა 84% დადებითად აფასებს; მეორე ადგილს იკავებს ჯარი, მას გამოკითხულთა 83% აფასებს დადებითად; მესამე ადგილზე კი ქართული მედიაა, რომლის საქმიანობასაც გამოკითხულთა 68% აფასებს დადებითად. მეოთხე ადგილზეა პოლიცია (50%); მეხუთეზე — საჯარო განათლების სისტემა (49%)**

კვლევის მიხედვით, დღეს საქართველოში ყველაზე მისაღები პოლიტიკოსი ევროპული საქართველოს წევრი **დავით ბაქრაძეა.** ასე მოსახლეობის 53% ფიქრობს. მას საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** მოსდევს 52%-ით. მესამე ადგილზე თბილისის მერი კახა კალაძეა — 50%.

კვლევა 10-22 აპრილს ჩატარდა, გამოიკითხა საარჩევნო უფლების ხმის მქონე 1500 ადამიანი. რესპონდენტთა გამოპასუხების პროცენტია 71, ხოლო ცდომილების ზღვარი — +/- 2,5 პროცენტი.

ჩანს, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევის ცდომილების პროცენტი ყველაზე მისაღები პოლიტიკოსის საკითხში გაცილებით მეტია +/- 2,5%-ზე, რადგან გაუგებარია, ვისთვის არის მისაღები, რა თქმა უნდა, თვითონ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა და მისი ამერიკელი პატრონების გარდა, ნაფტალინდაყრილი დავით ბაქრაძე, რომელიც 2008 წელს მოსახლეობისადმი თავისი ცნობილი მიმართვის შემდეგ — დანებითა და ჩანგლებით ებრძოლეთო რუსულ ტანკებს — თითქმის ყველას მიავიწყდა...

# რისთვის შეხვდა მიტროპოლიტი ილარიონი საქართველოს პატრიარქს



**საპატრიარქომ 4 ივნისს გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს საპატრიარქოს ერთდღიანი ვიზიტით ეწვია რუსეთის ეკლესიის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარე, მიტროპოლიტი ილარიონ (ალფეევი), ორ თანმხლებ პირთან ერთად.**

„სტუმრობის მიზანი იყო უკრაინის ეკლესიის გარშემო ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიმართ რუსეთის ეკლესიის პოზიციის გაცნობა.

უახლოეს პერიოდში, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესიას ეწვევა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლობა", — ნათქვამია საპატრიარქოს ინფორმაციაში.

პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა განაცხადა, რომ მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენელს საქართველოში ივნისის შუა რიცხვებში ელოდებიან.

„უკრაინის ადგილობრივი ეკლესია სთხოვს მსოფლიო საპატრიარქოს, როგორც პირველ ეკლესიას, რომ რაიმე ზომები მიიღოს და დაეხმაროს უკრაინას ამ დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ამასთან დაკავშირებით რუსეთის საპატრიარქოს თავისი პოზიციები გააჩნია, ამიტომ ბრძანდებოდა მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი). მსგავსი კონსულტაციები გაიმართება მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელთან", — განაცხადა მამა მიქაელმა.

კითხვაზე, რა პოზიცია ექნება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უკრაინის ადგილობრივი ეკლესიის გამოყოფაზე, მამა მიქაელმა განაცხადა, რომ ეს რთული საკითხია და ამას კანონიკური ნორმები განსაზღვრავს, „ჩვენი ეკლესიის პოზიცია ამ შემთხვევაში იქნება მოზომილი".

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა უკრაინის ადგილობრივი ეკლესია და მას შემდეგ ეს საკითხი მეტ-ნაკლები სიმძაფრით პერიოდულად დგას. „ახლა, როგორც ვიცით, უკრაინის პრეზიდენტი შეხვდა მსოფლიო პატრიარქს და მას შემდეგ ახალი სიმწვავით დაისვა ეს საკითხი", — განაცხადა მამა მიქაელმა.

მისივე თქმით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტს საქართველოში თან ჩამოჰყვა რუსი სასულიერო პირი, რომელიც ნეველის ტაძარში რუსულენოვანი მრევლისთვის იმსახურებს.

# თბილისში, პარკირების საშვის შეძენისა და ჯარიმების გადახდის წესი იცვლება



**„თბილისში, პარკირების საშვის შეძენისა და ჯარიმების გადახდის წესი იცვლება", — აცხადებენ დედაქალაქის მერიაში. მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, თბილისის სატრანსპორტო კომპანია 5 ივნისიდან ცვლის პარკირების საშვის შეძენისა და ჯარიმების გადახდის სისტემას, რომლის მიხედვით, ტექპასპორტის ნომრის ნაცვლად, შესაბამის ველებში უნდა ჩაიწეროს მანქანის სახელმწიფო ნომერი და მფლობელის პირადი ნომერი.**

მათი ინფორმაციით, მომხმარებელმა პარკინგის საშვის შესაძენად ან ჯარიმების გადასახდელად შესაბამის ველებში უნდა მიუთითოს: **კერძო ავტომობილებისთვის** — სახელმწიფო ნომერი და მფლობელის პირადი ნომერი; **ორგანიზაციების ავტომობილებისთვის** — სახელმწიფო ნომერი და კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი; **ტრანზიტული ან უცხოური ქვეყნის ნომრებით მოძრავი ავტომობილებისთვის** — მხოლოდ სახელმწიფო ნომერი.

ჯარიმების ნახვა ან გადახდა დამატებით შესაძლებელია ავტომობილის სახელმწიფო ნომრისა და საჯარიმო ქვითრის ნომრის მითითებით.

როგორც მერიაში განმარტავენ, მომხმარებელი ახალი, შეცვლილი სისტემით ისარგებლებს თბილისის პარკინგის ვებგვერდზე და სწრაფი გადახდის აპარატებში.

შიო მენაბდე:

# მოგმართავთ ბოლო პერიოდში მომხდარი მოვლენის გამო, რომელმაც შეძრა საქართველო და, სამწუხაროდ, შეეხო ჩემს ოჯახსაც



**„ითქვა, თითქოს ვცდილობ ჩემი შვილის პროცესებისგან განრიდებას და ამ საქმეში ეკლესიის გავლენასაც ვიყენებ. ასეთი რამ ჩემთვის, როგორც ქრისტიანისთვის, მითუმეტეს, სასულიერო პირისთვის, ყოვლად მიუღებელია", — წერს სოციალურ ქსელში დეკანოზი შიო მენაბდე, რომლის შვილიც ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმის ერთ-ერთი მოწმეა.**

განცხადებაში ნათქვამია, რომ მისი შვილი ტრაგედიის პირველივე დღიდან თანამშრომლობს გამოძიებასთან. დეკანოზის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური გამოძიებით მისი შვილის ბრალი დადასტურდება, მან ჩადენილი დანაშაულის გამო, კანონის შესაბამისად, აუცილებლად უნდა აგოს პასუხი.

„ქრისტესმიერი მშვიდობა და სიყვარული ყოველ თქვენგანს. მოგმართავთ ბოლო დროს მომხდარ მოვლენასთან დაკავშირებით, რომელმაც შეძრა საქართველო და, სამწუხაროდ, შეეხო ჩემს ოჯახსაც.

მასმედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს არსებულ მოვლენებზე ჩემი მოსაზრება აქციაზე გამოვხატე. ეს სიმართლე არ არის. ტაძრის ამბიონის გარდა, ამ თემაზე საჯაროდ არსად მისაუბრია, მეტიც, არ ვყოფილვარ არც ერთ შეკრებაზე და მით უმეტეს, არ ვარ რაიმე კავშირსა თუ დაჯგუფებაში გაერთიანებული", — განაცხადა დეკანოზმა.

# მოწევის აკრძალვის შემდეგ შემოწმებული ობიექტების 92 პროცენტი კანონს იცავს



**ერთი თვის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ობიექტის შემოწმებისას დარღვევები 8%-ში გამოვლინდა, ობიექტების 92% კი კანონის მოთხოვნებს იცავს. ამის შესახებ განაცხადა თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელმა გიორგი ბახტურიძემ.**

მისივე თქმით, დარღვევები არა მხოლოდ სამასპინძლო ბიზნესზე, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობებზე, კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ თეატრებზეც მოდის. ბახტურიძემ ასევე ისაუბრა დიდ სავაჭრო ობიექტებში კანონის დარღვევის ფაქტებსა და თამბაქოს ინდუსტრიის მხრიდან რეკლამის განთავსებაზე.

# აფხაზეთში სირიის პრეზიდენტის ვიზიტი იგეგმება



**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ 4 ივნისს უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები, აგრეთვე, საკითხი აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის — რაულ ხაჯიმბასა და სირიის ლიდერ ბაშარ ალ-ასადის ვიზიტების გაცვლის შესახებ.**

იმავე დღეს რუსეთში აფხაზეთის ელჩი შეხვედა სირიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს. განიხილეს **აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის — რაულ ხაჯიმბასა და სირიის ლიდერ ბაშარ ალ-ასადის** შეხვედრის შესაძლებლობა. პრეზიდენტის პრესრელიზში ნათქვამია, რომ სირიის ელჩს აფხაზმა კოლეგამ გადასცა რაულ ხაჯიმბას წერილი სირიის ლიდერ **ბაშარ ასადისადმი**, რომლითაც ის სირიის მეთაურს აფხაზეთში ეპატიჟება.

# მმართველი გუნდი პროკურორის პოსტზე შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილის კანდიდატურას განიხილავს



**იუსტიციის სამინისტრომ მთავარი პროკურორის თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევა დაიწყო. არასამთავრობო ორგანიზაციებს, აკადემიურ წრეებსა და სამართლის დარგის სპეციალისტებს მიმართვა დაეგზავნათ, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი შეიქნა კანონით გათვალისწინებული წესით პროკურორობის კანდიდატების წარდგენა.**

მმართველი გუნდი მთავარი პროკურორის პოსტზე **ნათია მეზვრიშვილის** კანდიდატურას განიხილავს, რომელიც ამჟამად შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა.

უწყებას ერთთვიანი ვადა აქვს იმისთვის, რომ პარლამენტს სამი კანდიდატი წარუდგინოს, რომელთაგან დეპუტატები ერთს აირჩევენ.

**სააკაშვილს, როგორც ჩანს, სურდა, რომ საზოგადოების ძირითად ნაწილს დაევიწყებინა ზიზღი და უნდობლობა ყოფილი ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერების მიმართ და აქციაზე მათ გვერდით დამდგარიყო. ეს, თავის მხრივ, შექმნიდა წინაპირობებს პოლიტიკური ალიანსების ფორმირებისთვის იმ ძალებთან, რომლებისთვისაც ეს დღეს ტაბუდადებული თემაა. დამაკავშირებელი რგოლის როლი ამ შემთხვევაში ზვიად კუპრავასა და სხვა მსგავს ფიგურებს უნდა შეესრულებინათ, რომლებიც ფორმალურად აპოლიტიკურები არიან, თუმცა რეალურად „ნაცმოძრაობის“ ხუთი ნომერი შუბლზე აწერიათ. ამ მიზანს სააკაშვილმა ვერ მიაღწია; საზოგადოების უდიდესი ნაწილი 3 ივნისს ერთმნიშვნელოვნად გაემიჯნა „ნაცმოძრაობის“ აქციას.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მიხომაიდანი» კარს მოუგვადგა

## სააკაშვილის «პროგრამა-მაქსიმუმი» ხელისუფლების რევოლუციით შეცვლაა, «პროგრამა მინიმუმი» — ხელისუფლებისთვის საიმიჯო ზიანის პარალელურად, «ნაცმოძრაობის» იზოლაციის გარღვევა

**31 მაისს დაწყებულმა აქციებმა ლაკმუსის ქაღალდის როლი შეასრულა და ნათლად აჩვენა, რა მდგომარეობაში არიან ხელისუფლება და ოპოზიცია, სახელმწიფო ინსტიტუტები და საზოგადოება. თითოეულ მათგანს განსხვავებული პრობლემები აქვს, მაგრამ მთლიანობაში სიტუაცია სავალალოა და სასწრაფო თერაპიულ ჩარევას საჭიროებს.**



თითქმის არავინ დავობს, რომ პროკურატურამ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმე ძალიან ცუდად გამოიძია. მრავალი მოწმის დაკითხვის მიუხედავად, **შოთაძის** უწყებამ ვერ მოახერხა ერთ-ერთი მოზარდის, **დავით სარალიძის**, მკვლელობის სურათის აღდგენა. ალბათ, აქვე უნდა დავსვათ მნიშვნელოვანი კითხვა — **დადგებოდა თუ არა მთავარი პროკურორის ან მისი რომელიმე ხელქვეითის პასუხისმგებლობის საკითხი, რომ არა 31 მაისის ხალხმრავალი აქცია, გადადგებოდა ვინმე საერთოდ?**

გულწრფელი პასუხი ამ კითხვაზე, სავარაუდოდ, მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ დემოკრატიული მექანიზმებისა და შესაბამისი ატმოსფეროს არარსებობის პირობებში ქუჩის რადიკალური აქციები ხელისუფლებაზე ზემოქმედების ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია. როგორც ჩანს, **იმ ადამიანებს, რომლებიც 2012-14 წლებში სამართლიანობის აღდგენას კონსტრუქციულად და ზრდილობიანად ითხოვდნენ და ხელისუფლების კრიტიკაზე მორატორიუმიც კი გამოაცხადეს, რუსთაველის პროსპექტი უნდა გადაეკეტათ და ივანიშვილისთვის ულტიმატუმი წაეყენებინათ. როგორც ჩანს, მათი მოთხოვნები მხოლოდ ამ შემთხვევაში დაკმაყოფილდებოდა.**

საზოგადოების დიდმა ნაწილმა შოთაძის გადადგომა მნიშვნელოვან გამარჯვებად ჩათვალა. ნეგატიური დამოკიდებულება მის მიმართ მხოლოდ სარალიძისა და **დადუნაშვილის** მკვლელობის საქმეს როდი უკავშირდებოდა — ისინი პროკურატურას ერთ-ერთ ყველაზე არაეფექტურ, ძირგამომპალ სტრუქტურად მიიჩნევენ. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შოთაძის გადადგომა არ მოეწონა და ეს საჯაროდ გამოხატა, გახლდათ იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი: „ირაკლი შოთაძის გადადგომა რომ სიმართლის უზენაესობის გზაზე სიარულისთვის ნეგატივია, ამას დრო აჩვენებს ძალიან კარგად... დამოუკიდებელი სასამართლო გვინდაო. დღეს დამოუკიდებელმა მოსამართლემ პროკურორის პოზიცია ასი პროცენტით არ გაიზიარა და ამიტომ მოვითხოვეთ მთავარი პროკურორის თავი. ეს სისტემურად არასწორია. რას ვეუბნებით პროკურორებს ამით? — ოდნავ თუ ვინმე მოგეჩვენა დამნაშავედ, დააკავე, აიძულე, მოგცეს ჩვენება, თორემ, მოსამართლემ თუ ბრალდებული გაგიმართლა, საზოგადოება შენს თავს მოითხოვს?“** — დაწერა წულუკიანმა „ფეისბუკში“.

იუსტიციის მინისტრის ამ განცხადებას დადებითი გამოხმაურება ორი მიზეზის გამო არ მოჰყოლია: ჯერ ერთი, ყველასთვის ცხადი იყო, რომ კონკრეტულ საქმეზე პროკურატურამ ძალიან ცუდად იმუშავა — იყო მთელი რიგი საეჭვო მომენტები, რომლებიც მოწმეებთან და მტკიცებულებებთან მუშაობას ეხებოდა. ამასთანავე, 31 მაისს და მომდევნო დღეებშიც საზოგადოება არ იყო იმ მდგომარეობაში, მომხდარის სისტემური ასპექტები ცივი გონებით გაეანალიზებინა.

„ქართული ოცნება“ ქვეყანას „ნაკლები ბოროტების“ კონცეფციაზე დაყრდნობით მართავს. მისი მოკლე შინაარსი შემდეგია: **„ჩვენ არ ვართ იდეალურები, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმზე უკეთესები ვართ“.** ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, გულისხმობს (ფარდობითი) ჰუმანურობის გამოვლენას, აშკარა შეცდომების (ნაწილობრივ) აღიარებას და ა.შ. სააკაშვილის მმართველობის წლებში ადეიშვილის გადადგომა მსგავს სიტუაციაში წარმოუდგენელი იყო, რადგან ხელისუფლება აღიქვამდა ამ ფაქტს, როგორც საკუთარი სისუსტის საჯარო გამოვლენას. ამ მიდგომამ ის მალე კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა. **„ქართული ოცნება“ კი შოთაძის გადადგომას, სავარაუდოდ, ისე მიუდგა, როგორც „ორთქლის გამოშვების“ საშუალებას, როგორც შსს-ს მიერ საქმის ხელახალ გამოძიებას და საპარლამენტო კომისიის შექმნას, მაგრამ ამას ქუჩის აქციების დასრულება არ მოჰყოლია, უპირველესად, იმიტომ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სცადა, სიტუაცია მაქსიმალურად გამოეყენებინა.**

უკვე 31 მაისს, როდესაც ქუჩაში გამოვიდა ათასობით აღშფოთებული მოქალაქე, რომლებსაც „ნაცმოძრაობასთან“ საერთო არაფერი ჰქონდათ, აშკარა გახდა, რომ ზაზა სარალიძის გარშემო ყოფილი ხელისუფლებასთან დაკავშირებული ბევრი პირი ტრიალებს. მომდევნო 2 დღეში ნაციონალების რაოდენობამ პარლამენტის შენობასთან მოიმატა (ხოლო აპოლიტიკური ადამიანებისამ იკლო), **3 ივნისის აქციას კი 99%-ით „ნაცმოძრაობა“ მართავდა. რუსთაველზე იმ დღეს რაღაც წარმოუდგენელი ხდებოდა — სამართლიანობის აღდგენას საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე უსამართლო რეპრესიული სისტემის შემქმნელი პოლიტიკური ძალის ლიდერები მოითხოვდნენ.**

მიხეილ სააკაშვილი ამ შანსს ხელიდან ვერ გაუშვებდა. წლების განმავლობაში მისი მიმდევრები ოცნებობდნენ „მეორე გირგვლიანის საქმეზე“, რომელსაც სათავისოდ გამოიყენებდნენ, და ეს ქვეტექსტი ნამდვილად იგრძნობოდა მედიის და, განსაკუთრებით, სოციალური ქსელების „ნაციონალურ სეგმენტში“. მიუხედავად იმისა, რომ სარალიძისა და გირგვლიანის საქმეებს შორის არც ისე ბევრი მსგავსებაა, **სააკაშვილმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ სანატრელი მომენტი დადგა.**

**სააკაშვილის „პროგრამა-მაქსიმუმი“ ხელისუფლების რევოლუციური შეცვლაა, ვინაიდან 2018 წლის საპრეზიდენტო და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მის პარტიას გამარჯვების თეორიული შანსიც კი არ აქვს, თუმცა ეს სააკაშვილისთვის მარადიული თემაა. ამ შემთხვევაში კი გაცილებით მნიშვნელოვანია „პროგრამა-მინიმუმი“ — ხელისუფლებისთვის საიმიჯო ზიანის მიყენების პარალელურად, „ნაცმოძრაობის“ იზოლაციის გარღვევა, რომლის ვიზუალური მეტაფორა ბოლო დღეებში ტელეეკრანზე ვიხილეთ.** სააკაშვილს, როგორც ჩანს, სურდა, საზოგადოების ძირითად ნაწილს დაევიწყებინა ზიზღი და უნდობლობა ყოფილი ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერების მიმართ და აქციაზე მათ გვერდით დამდგარიყო. ეს, თავის მხრივ, შექმნიდა წინაპირობებს პოლიტიკური ალიანსების ფორმირებისთვის იმ ძალებთან, რომლებისთვისაც ეს დღეს ტაბუდადებული თემაა. დამაკავშირებელი რგოლის როლი ამ შემთხვევაში უნდა შეესრულებინათ **ზვიად კუპრავასა** და სხვა მსგავს ფიგურებს, რომლებიც ფორმალურად აპოლიტიკურები არიან, თუმცა რეალურად „ნაცმოძრაობის“ ხუთი ნომერი შუბლზე აწერიათ. ამ მიზანს სააკაშვილმა ვერ მიაღწია; საზოგადოების უდიდესი ნაწილი 3 ივნისს ერთმნიშვნელოვნად გაემიჯნა „ნაცმოძრაობის“ აქციას.

იზოლაციის გარღვევის მოტივი მნიშვნელოვანი იყო „ევროპული საქართველოსთვისაც“, თუმცა მას ნამდვილად არ ხიბლავდა საფრთხეები, რომლებიც სააკაშვილის რევოლუციურ ავანტიურას უკავშირდება. აქციების პირველსავე დღეს ცხადი გახდა, რომ ეს პარტია მხარს უჭერს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს (კონსტიტუციიდან გამომდინარე, პრეზიდენტი პოსტზე ყოფნის ბოლო 6 თვეში მოკლებულია არჩევნების დანიშვნის შესაძლებლობას, შესაბამისად, არჩევნების გამართვა უახლოეს პერიოდში შეუძლებელია), მაგრამ ემიჯნება რევოლუციურ სცენარს, განსხვავებით სააკაშვილისგან, რომელიც უცხოეთშია — გადამწყვეტ მომენტში მას არანაირი საფრთხე არ დაემუქრება.

3 ივნისს სააკაშვილმა ვერ მოახერხა მომიტინგეთა „კრიტიკული მასის“ მობილიზება, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა, ხელისუფლებისთვის ულტიმატუმი წაეყენებინა. ცხადი შეიქნა, რომ „ტალღის ასაგორებლად“ აუცილებელია დამატებითი ფაქტორები. **საინტერესოა, რომ თითქმის არავის გაუკვირდა, როდესაც შსს-ც და აქციის ორგანიზატორებიც ალაპარაკდნენ საფრთხეზე, რომელიც ზაზა სარალიძეს ემუქრება. როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, სავარაუდოდ, ესმოდა, რომ მსხვერპლმა „რევოლუციური ძრავისთვის“ შეიძლება საწვავის როლი შეასრულოს.** მღელვარება შეეძლო გამოეწვია მომიტინგეთა მასშტაბურ შეტაკებასაც პოლიციასთან, არსებობდა რადიკალიზაციის სხვა სცენარებიც, რომელთა გამოყენება სცადა სააკაშვილმა კიევში ე.წ. მიხომაიდნის დროს, თუმცა საწადელს ვერ მიაღწია.

აქ, ალბათ, ორიოდე სიტყვა ზაზა სარალიძის ფაქტორზეც უნდა ითქვას. **მისი სატკივარი გულთან ახლოს მთელმა საქართველომ მიიტანა. 31 მაისის აქციაზე გავიდა უამრავი ადამიანი, რომლებიც მას გულწრფელად თანაუგრძნობდნენ და მასთან ერთად უსამართლო სისტემას დაუპირისპირდნენ. რამდენიმედღიანი აქციების შემდეგ სარალიძე უმძიმეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ იმის თქმა, მას არ ესმოდა, რომ ნაციონალები მისი ოჯახის ტრაგედიით მანიპულირებენ, ალბათ, მაინც არ შეიძლება. ზრდასრულ და ადეკვატურ ადამიანს ეს, დიდი ალბათობით, არ გამოეპარებოდა. საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაუშვებლად მიიჩნია ნებისმიერი სახის თანამშრომლობა „ნაცმოძრაობასთან“, მიუხედავად იმისა, რომ ზაზა სარალიძისთვის ეს მისაღები აღმოჩნდა.**

3 ივნისს საღამოს საზოგადოების აღქმაში ისევ გაცოცხლდა „ოცნება“ — „ნაცმოძრაობის“ გლობალური დაპირისპირების ორპოლუსიანი სქემა, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წარსულს თითქოს სამუდამოდ ჩაბარდა. სწორედ მის ხარჯზე იგებდა ივანიშვილი არჩევნებს ბოლო ხუთწლედში, როდესაც, ფაქტობრივად, აიძულებდა ამომრჩევლებს, „ნაცმოძრაობის“ რევანშის შიშით „ქართული ოცნება“ აერჩია. **მმართველი პარტიის მგომარეობა გართულდა, მოსახლეობას მის მიმართ უამრავი პრეტენზია დაუგროვდა და, შესაძლოა, მისმა ლიდერებმა ჩათვალეს, რომ ძველი საფრთხობელას აქტუალიზაცია სარგებელს კიდევ ერთხელ მოუტანს.** სახელისუფლო პროპაგანდისტულმა მანქანამ მოსალოდნელი დესტაბილიზაციის და ლამის სახელმწიფო გადატრიალების თემების ექსპლუატაცია დაიწყო. ის, რომ სააკაშვილს ჭკუა და გონება არაფერს დაუშლის, უეჭველია, მაგრამ ხელისუფლებას ხელისუფლება იმიტომ ჰქვია, რომ მან მსგავსი საფრთხეები უნდა გაანეიტრალოს, იმის ნაცვლად, რომ მათზე ილაპარაკოს და მით უმეტეს წინასაარჩევნო პიარი ააგოს.

ქართველი საზოგადოებისთვის ამ ეპიზოდში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მხარი დაუჭიროს არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენას კონკრეტულ საქმეზე, არამედ სამართალდამცავი ორგანოების სისტემურ რეფორმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კვლავ დარჩება დესტაბილიზაციის კერად, რომელიც უამრავ ოჯახს გააუბედურებს და მდგრადი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას არ მოგვცემს.

**თეა წულუკიანი:**

**დამოუკიდებელი სასამართლო გვინდაო. დღეს დამოუკიდებელმა მოსამართლემ პროკურორის პოზიცია ასი პროცენტით არ გაიზიარა და ამიტომ მოვითხოვეთ მთავარი პროკურორის თავი. ეს სისტემურად არასწორია. რას ვეუბნებით პროკურორებს ამით?**

ბაჩურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საზოგადოებას, რომელსაც ძალიან უხარია, რომ სირია „სირია“ და მომხდარი ძალიან უარყოფითი ფაქტი მხოლოდ ღლაბუცისა და ტინგიცის ხასიათზე აყენებს, რა უნდა შეაგნებინო?! რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ქართველი საზოგადოების 100 ან 50 პროცენტია ასეთი, მაგრამ თუნდაც 15-20 პროცენტი ასე მოაზროვნეებისა უკვე ძალიან ბევრია და ასეთი საზოგადოების ხელში სახელმწიფოს გადარჩენა არ უწერია.**

# ტერიტორიებს ვკარგავთ, საზოგადოება კი ერთობა — «სირია» თუ არა სირია?

**ბოლო დღეებში განვითარებული ტრაგიკომიკური მოვლენების ფონზე მეორე პლანზე გადაიწია კი არა, საერთოდ, გაქრა და მინავლდა სირიის მიერ სოხუმისა და ცხინვალის აღიარების თემა. დიახ, ტრაგიკომიკურია, როდესაც შვილმკვდარ მამას დღეში სამჯერ ხან ერთ მხარდამჭერ აქციაზე ვხედავთ, ხან მეორეზე! ხან ერთი აქციის ორგანიზატორები მარიაჟობენ: ის ჩვენთან არისო, ხან მეორე აქციის ორგანიზატორები იწონებენ თავს: შეგვატყობინეს, ისინი მიატოვა და ჩვენკენ მოემართებაო. ასე „საჯილდაო ქვად“ ქცეული შვილმკვდარი მამა სწორედაც რომ ტრაგიკომიკური საყურებელია და კიდევ უფრო ტრაგიკომიკური ის არის, რომ მან თავისივე ინიციატივით ჩაიგდო თავი ამ დღეში... თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არანაკლებად ტრაგიკომიკურია სირიის მიერ სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, უფრო ზუსტად ის რეაქციები და ის შეფასებები, რომლებიც ამ ფაქტზე საქართველოს მთავრობისა თუ ოპოზიციის წევრებმა, აგრეთვე, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა გააკეთეს.**

ყოველივე ამას ერთადერთი სიტყვა შეიძლება ვუწოდოთ **არასერიოზულობა**!

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ საქართველოს მოქალაქეთა ნაწილს, უბრალოდ, გაუხარდა, რომ სირიას „სირია“ ჰქვია და ამ დაბალი დონის „ღადავმა“ წალეკა სოციალური ქსელები. გეგონება, იმ ფაქტს, რომ სოხუმ-ცხინვალის ამღიარებელი ქვეყნის სახელწოდება ქართულ სლენგში დამკვიდრებულ უხერხულ სიტყვას დაემთხვა („სირი“ სლენგზე, ჟარგონზეა უხერხული სიტყვა, თორემ ისე, სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, „ჩიტს“ ნიშნავს) ან გაერო მიაქცევს რაიმე ყურადღებას და ან ევროკავშირი. ქართველები ისე მაგრად ერთობიან სირიის „სირობით“, რომ შთაბეჭდილება მრჩება, მართლა ჰგონიათ, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ან ნატოში მიიღებენ რეზოლუციას, რომელშიც ჩაწერენ, რომ ეს სირია მართლა „სირი“ ყოფილა და „დაიკიდეთ“, ვინ აღიარა და ვინ არაო.

მოკლედ, მაგრად ვერთობით იმით, რომ რუსეთმა მაინც შეძლო შეძლებისდაგვარად შეერყია სოხუმისა და ცხინვალის ე.წ. არაღიარების პოლიტიკა და სირია გახდა პირველი სერიოზული სახელმწიფო (რუსეთის შემდეგ), რომელმაც ეს ორი სეპარატისტული რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ნაურუსა და ორიოდე მის მსგავს „ჯუჯა სახელმწიფოს“ თუკი მართლაც ვემაიმუნებოდით, არაბული სამყაროს ერთ-ერთ გავლენიან სახლემწიფოსთან იმავე ტიპის მაიმუნობა ნამდვილად არ არის სერიოზული ამბავი და არც ის მგონია, ასეთმა არხეინობამ დადებითი შედეგი მოგვცეს.

**მოჰყვება თუ არა „ჯაჭვური რეაქცია“ სირიის ამ ნაბიჯს და რუსული გავლენის ქვეშ მყოფი სხვა არაბული და აზიური სახელმწიფოებიც თუ მიბაძავენ სირიას, ესეც უახლოეს მომავალში გამოჩნდება. საკვირველი ის არის, რატომ არ ელოდა ქართული დიპლომატიური კორპუსი, საქართველოს მთავრობა ან ქართველი საზოგადოება სირიისგან ამ ნაბიჯს. რატომ იყო ეს ასეთი მოულოდნელი და საკვირველი?** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატებისგან სირიის და ე.წ. ასადის რეჟიმის მიმართ გამოთქმული არც ერთი კრიტიკული აზრი თუ, უბრალოდ, უხამსი გამონათქვამი არ დაუტოვებია გამოხმაურებისა და ტაშის დაკვრის გარეშე. თუ გადახედავთ სირიაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ქრონიკას, დაინახავთ, რომ ამერიკისა და საქართველოს დამოკიდებულება ზუსტად პატრონისა და „ერთგული გოშიის“ დამოკიდებულებას ჰგავდა. პატრონი მეზობლებთან ერთად სოფლის ბირჟაზე რომ ზის, გოშია ფეხებთან ჰყავს და, რაც უნდა თქვას პატრონმა, გოშია რომ მის ნებიმისმიერ სიტყვაზე კუდს აქიცინებს — აი ეს სურათია ზუსტად. ასე რომ, მოდი, ნუ დავაბრალებთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იქ რამე გაიაზრეს, გაითავისეს და შეგნებულად უჭერდნენ ამ ამბებში საჯაროდ და მსოფლიოს, ანუ „მეზობლების“ გასაგონად მხარს აშშ-ს. მათ, უბრალოდ, „პატრონის“ ხმის გაგონება უხაროდათ და ამიტომ აქიცინებდნენ კუდს, თორემ რას ლაპარაკობდა ის პატრონი, ამის „გაგებაშიც“ არ იყვნენ.

ნებისმიერი ქვეყნის დიპლომატიური სამსახური თვალს ადევნებს, როგორც მისი ქვეყნის მხარდამჭერ, ისე საწინააღმდეგო განცხადებებს. გამონაკლისი არც სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იქნებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას სირიის მმართველები მიაქცევდნენ საქართველოს მთავრობის იმ განცხადებებს, რომლებითაც მხარს უჭერდნენ ამერიკელთა სამხედრო მოქმედებებს სირიაში.

დღეს სირიამ სული მოითქვა და, საომარი მოქმედებების გარდა, სხვა საქმეებისთვისაც მოიცალა. ეს სხვა საქმეები მტრისთვის მტრული პასუხის გაცემაც არის. ჩვენი ხელისუფლების მაამებლური და წინდაუხედავი პოლიტიკის გამო კი სირიის მტერთა რიგებში აღმოვჩნდით, მისი უპირველესი მეგობრისა და მოკავშირის სტატუსი კი რუსეთმა უპირობოდ მიიღო.

**რუსეთმა კი სირიას, კერძოდ, ბაშარ ასადის ხელისუფლებას, იმხელა დახმარება გაუწია, ორი სეპარატისტული რეგიონის აღიარება და ამერიკის მონა-სახელმწიფოს გამწარება სირიისთვის უკვე ელემენტარული ვალდებულებაც კი იყო, ამიტომ უნდა იმუშაოს ქართულმა დიპლომატიამ და, საზოგადოდ, ქართულმა სახელმწიფომ უშუალოდ რუსეთთან და,**



**მოჰყვება თუ არა «ჯაჭვური რეაქცია» სირიის ამ ნაბიჯს და რუსული გავლენის ქვეშ მყოფი სხვა არაბული და აზიური სახელმწიფოებიც თუ მიბაძავენ სირიას, უახლოეს მომავალში გამოჩნდება. საკვირველი ის არის, რატომ არ ელოდა ქართული დიპლომატიური კორპუსი, საქართველოს მთავრობა ან ქართველი საზოგადოება სირიისგან ამ ნაბიჯს. რატომ იყო ეს ასეთი მოულოდნელი და საკვირველი?**

**ცოტა არ იყოს, სასაცილოა მოსაზრებები იმ ქართველი პოლიტიკოსებისა, რომლებიც ამბობენ, რომ ქართველი დიპლომატები სირიასთან ურთიერთობაში ჩაფლავდნენ.**

**სინამდვილეში ქართული სახელმწიფო რუსეთთან ურთიერთობაში ჩაფლავდა.**

ფაქტი, რომლის აღიარებაც არაფრის დიდებით არ გვინდა, ასეთია: **რუსეთმა ნაურუსა და მის მსგავს სხვა ქვეყნებთან გაიარა ერთგვარი რეპეტიცია, როგორ უნდა ჩააგონოს თავის გავლენაში მყოფ ქვეყნებს სოხუმ-ცხინვალის აღიარება და ახლა უკვე უფრო სერიოზულ ქვეყნებზე გადავიდა.**

ასეთ ფონზე განსაკუთრებით არასერიოზულია მავანი ქართველი „პატრიოტების“ ქვისგამხეთქი „არგუმენტები“, რომ თურმე შეუძლებელი და წარმოუდგენელია თანამშრომლობა, თუნდაც პარტნიორობა და ერთმანეთის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინება ქვეყანასთან, რომელმაც „ქართული ტაძრების ფრესკები კირით შეღება“, „ქართველი ჯარიკაცების სისხლი დაღვარა“ და ა.შ.

გამორიცხულია, ვინმემ დაასახელოს ორი ისეთი მეზობელი სახელმწიფო, რომელთა შორის ურთიერთობა მხოლოდ დადებითი ეტაპებისგან შედგება და მათი ურთიერთობის არც ერთი ეტაპი უარყოფითი არ ყოფილა. რუსეთ-საქართველოს თითქმის ოთხსაუკუნოვანი ურთიერთობაც სწორედ ასეთია. მთავარი ის არის, სასწორის ორ პინაზე, დადებით და უარყოფით შედეგებს თუ დავალაგებთ, რომელი გადაწონის. მგონია, რომ ახალციხის, ბათუმისა და სხვა ქართული მიწების ოსმალთაგან დაბრუნების გადამწონი უარყოფითი არგუმენტი, უბრალოდ, ვერ და არ მოიძებნება. ერთმანეთის სისხლიც დაუღვრიათ სახელმწიფოებს და ასეთი ფაქტის შემდეგ საუკეთესო პარტნიორებიც გამხდარან. ამერიკისა და იაპონიის მაგალითი საკმარისია ამის დასასაბუთებლად, კიდევ უფრო შორეული ისტორიული წიაღსვლები რომ აღარ ვაკეთოთ. რაც შეეხება ქართული ტაძრების ფრესკების კირით შეღებვას, **არა მგონია, რუსებს ქართული ეკლესიისთვის თურქებზე მეტი ზიანი მიეყენებინოთ. ოსმალებმა არათუ გადაღებეს, არამედ პირისაგან მიწისა აღგავეს უამრავი ქართული ძეგლი. ხომ არ იცით, დღეს საქართველოს ყველაზე უახლოეს პარტნიორად და მეგობრად რომელი მეზობელი ქვეყანაა გამოცხადებული?**

ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთის სისხლი კახელებსა და ქართლელებს, იმერლებსა და მეგრელებსაც დაუღვრიათ. რა ვქნათ, აღარ დაველაპარაკოთ ერთმანეთს?

მით უმეტეს, არასერიოზულია ასეთი „არგუმენტების“ რახარუხი, როდესაც მეზობელ (კი, ბატონო — ოკუპანტ) სახელმწიფოსთან გაბუტვას და ხისტ დამოკიდებულებას მხოლოდ და მხოლოდ შენთვის მოაქვს ზიანი.

**განსაკუთრებით სასაცილოა ის, რომ ნაცები და კიდევ სხვა ოპოზიციური პარტიები „ქართულ ოცნებას“, ანუ ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ძალას „რუსეთთან ენის მოჩლექვით საუბარში“ ადანაშაულებენ. როგორ ფიქრობთ, რუსეთს ჩვენი ინტონაცია და ხმის ტემბრი უფრო აინტერესებს თუ ჩვენი რეალური მოქმედებები და გადაწყვეტილებები?**

როგორ გგონიათ, რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მკაცრად და ხისტად თუ ვეტყვით: „რუსეთო, ჩვენ შენს საზღვართან უნდა დავაყენოთ ის სამხედრო ორგანიზაცია და ალიანსი, რომელიც მტრად მიგაჩნია, შე ოკუპანტო!“

თუ ენისმოჩლექით ვეტყვით: „ლუცეთო, ცვენ სენს საზგვალთან უნდა დავაკენოთ ის სამქედლო ოლგანიზაცია და ალიანსი, ლომელიც მტლად მიგაცნია, ჩემო საკალელო!“, ამით რამე განსხვავებულ რეაქციას მივიღებთ რუსეთისგან? რუსეთისთვის იმას აქვს მნიშვნელობა, როგორი მანერით დაველაპარაკებით, თუ იმას, რა იქნება ჩვენი საუბრის შინაარსი და რეალური ქმედებები?

**რუსეთს, დიდი ხანია, საჯაროდ აქვს გაცხადებული, რომ არ დაუშვებს ამიერკავკასიის მხრიდან მისი საზღვრის სიახლოვეს ნატოს ბაზებს. შენ თუ გინდა, ამ მიზნის მიღწევა ენის მოჩლექით სცადე და გინდა, დედის გინებით — ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს!**

მაგრამ, კიდევ გავიმეორებ იმას, რაც წერილის დასაწყისში ვთქვი: **საზოგადოებას, რომელსაც ძალიან უხარია, რომ სირია „სირია“ და მომხდარი ძალიან უარყოფითი ფაქტი მხოლოდ ღლაბუცისა და ტინგიცის ხასიათზე აყენებს, რა უნდა შეაგნებინო?!**

რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ქართველი საზოგადოების 100 ან 50 პროცენტია ასეთი, მაგრამ თუნდაც 15-20 პროცენტი ასე მოაზროვნეებისა უკვე ძალიან ბევრია და ასეთი საზოგადოების ხელში სახელმწიფოს გადარჩენა არ უწერია.

**საზოგადოებას, რომელსაც ძალიან უხარია, რომ სირია «სირია» და მომხდარი ძალიან უარყოფითი ფაქტი მხოლოდ ღლაბუცისა და ტინგიცის ხასიათზე აყენებს, რა უნდა შეაგნებინო?!**

**ამჯერადაც პროცესები რუსეთს დააბრალეს, რუსეთს უძახეს მტერი და ოკუპანტი, რუსეთს შეაწმინდეს ხელი და, გარდა იმისა, რომ ევროპასა თუ ამერიკას თავი მოუქონეს, გამოსავალიც მარტივად მონახეს — ჩვენთან ხომ ყველაფერი რუსეთის ბრალია. რუსეთის ბრალია საარსებო მინიმუმზე დაბალი პენსია; რუსეთის ბრალია სიღატაკე, რომელმაც მოსახლეობის სამ მეოთხედს კარზე მიუკაკუნა და ნუ გაგიკვირდებათ, თუ მალე ფაროსანა, დარი თუ ავდარი, სიცხე, წვიმა და სეტყვაც რუსეთს დააბრალდება.**

პროცესი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში მიმდინარე აქციების ფონზე თითქოს უკანა პლანზე გადაიწია გეოპოლიტიკურმა ვითარებამ ქვეყნის გარშემო. ახლა ხელისუფლება სკამების შენარჩუნებით არის დაკავებული და არ აინტერესებს, რა ხდება ქვეყნის გარეთ, როგორია დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და მისი გადმოსახედიდან ეს ლოგიკურიცაა — მეზობელი თუ „მეგობარი“ ქვეყნები ხომ მათ თბილი სავარძლების წართმევით არ ემუქრებიან.**

# დიდმა ბრიტანეთმა, პრაქტიკულად, აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა

ორი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც სირიამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. იმის ნაცვლად, რომ საქართველოს პირველ პირებსა და საგარეო უწყებას ადეკვატური რეაქცია ჰქონოდა ამ ყველაფერზე, როგორც სხვა შემთხვევაში, ამჯერადაც **პროცესები რუსეთს დააბრალეს, რუსეთს უძახეს მტერი და ოკუპანტი, რუსეთს შეაწმინდეს ხელი და, გარდა იმისა, რომ ევროპასა თუ ამერიკას თავი მოუქონეს, გამოსავალიც მარტივად მონახეს — ჩვენთან ხომ ყველაფერი რუსეთის ბრალია. რუსეთის ბრალია საარსებო მინიმუმზე დაბალი პენსია; რუსეთის ბრალია სიღატაკე, რომელმაც მოსახლეობის სამ მეოთხედს კარზე მიუკაკუნა და ნუ გაგიკვირდებათ, თუ მალე ფაროსანა, დარი თუ ავდარი, სიცხე, წვიმა და სეტყვაც რუსეთს დააბრალდება.** ასე მარტივია ცხოვრება, ადვილია სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა, რადგან, რუსეთი თუ გაბრაზდა და თითი დაგვიქნია, მთლად უკეთესი — ხელისუფლება ევროპა-ამერიკას შესჩივლებს, სანაცვლოდ შეშფოთებას და რამდენიმემილიონიან გრანტს მიიღებს და მაღალჩინოსნები ისედაც გასქელებულ ჯიბეს კიდევ უფრო გაისქელებენ.

და მაინც, რამ მიიყვანა სირია იმ მდგომარეობამდე, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ეღიარებინა?! პირველ რიგში, იმან, რომ **სირიაში საომრად საქართველოს ბევრი მოქალაქე წავიდა. ამ ყველაფერს საქართველოს ხელისუფლება ვერ ან არ აკონტროლებდა და არც აკონტროლებს.** არავითარი ზომები ამის აღსაკვეთად ხელისუფლებას არ მიუღია და, შეიძლება ითქვას, ეს სიტუაცია ხელს აძლევს კიდეც. სირიაში წასული ახალგაზრდების უმრავლესობა პანკისის ხეობიდანაა და საჭიროების შემთხვევაში, ყურადღების გადასატანად პანკისი იდეალური იყო წინა მთავრობისთვისაც და იდეალურია ამჟამინდელი ხელისუფლებისთვისაც.

ისიც სათქმელია, რომ საქართველოდან ბიჭები სირიაში **ბაშარ ასადის** ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდნენ. ჰო, ხელისუფლების და არა რეჟიმის, რადგან ასეთი რეჟიმი ერქვა **მუამარ კადაფის** მმართველობასაც და ახლა მთელი ლიბია სწორედ მოკლულ კადაფის მისტირის. ამერიკა-ევროპის მიერ წლების წინათ დაწყებულმა და განხორციელებულმა „არაბულმა გაზაფხულმა“ აშკარად არ გაამართლა, უფრო ზუსტად, არაბული ქვეყნებისთვის არ გაამართლა, თორემ ამერიკამ და ევროპამ ნავთობის საბადოები მშვიდად გადაიბარეს და ახლა ადგილობრივ მოსახლეობას ზუსტად ისე ექცევიან, როგორც ჩვენ — შიგადაშიგ გრანტებს გადაუგდებენ, გაამხნევებენ და ბედის ანაბარა ჰყავთ მიტოვებული. ჰოდა, **რა გასაკვირია, რომ ასადმა აღიარა იმ ქვეყნის ტერიტორიები, რომლის ხელისუფლებაც არაფერს აკეთებს, თავისი მოქალაქეები აიძულოს, სირიის კონფლიქტში არ ჩაერიონ და ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ არ იბრძოლონ.** თანაც ეს სირიამ ოფიციალურად გააკეთა და არა ჩუმად, ისე, როგორც მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა.

დიახ, **დიდმა ბრიტანეთმა, პრაქტიკულად, აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ეს იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ისინიც გვაგულიანებენ, რუსეთის წინააღმდეგ სანქციებში შემოგვიერთდითო. ლონდონში დღესაც მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი. დამოუკიდებელი საფეხბურთო ასოციაციების კონფედერაციათა ვერსიით. ქვეყნები, რომლებსაც მსოფლიოსა და ევროპის საფეხბურთო ორგანიზაციები, ფიფა და უეფა არ აღიარებენ, ლონდონში ჩავიდნენ და მსოფლიოს საკუთარ ჩემპიონატს ატარებენ.** შესაბამისად, აფხაზეთის, ტიბეტის, ჩრდილოეთ კვიპროსისა და კიდევ სხვა ნაკრებებს ლონდონში ყველანაირი პირობა შეუქმნეს, საკუთარი ჭია რომ გაახარონ. და იცით, ეს რატომ გააკეთა დიდმა ბრიტანეთმა? იმიტომ, რომ **14 ივნისს მსოფლიოს ნამდვილი საფეხბურთო ჩემპიონატი რუსეთში იწყება და ამით თითქოს რუსეთს ჩრდილი მიაყენა.** არადა, რა ჩრდილი! სრულიად რუსეთში შესაშური მობილიზაციაა გამოცხადებული, ქვეყანა ფეხზე დგას და ვარაუდობენ, რომ ეს ჩემპიონატი საუკეთესოდ ორგანიზებული იქნება. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით ადრე იტალიამ და ჰოლანდიამ სხვა ქვეყნებს მოუწოდეს, რუსეთს და პირადად **ვლადიმირ პუტინს** ბოიკოტი გამოვუცხადოთ და მუნდიალზე არ წავიდეთო. ეს მაშინ, როცა ვერც იტალია და ვერც ჰოლანდია მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ, მაგრამ მათ არავინ აჰყვა, რადგან ფეხბურთს მსოფლიოში მილიარდობით გულშემატკივარი ჰყავს და მათი გაბრაზების ყველას ეშინია. ჰო, ზესახელმწიფოებს ეშინიათ ხალხის და ამიტომაც მათ ცნობიერებაზე გავლენის მოხდენას არასამთავრობოებისა და საერთაშორისო ფონდების მეშვეობით ცდილობენ. **მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისგან ხეირი შეიძლება საქართველოსაც ენახა შესაბამისი კამპანიის პირობებში; რუსეთში ჩასულ მილიონობით ტურისტს ხომ შეიძლებოდა საქართველოდან გატანილი ღვინო, მინერალური წყალი და ხილი გაესინჯა, მაგრამ რუსეთი ხომ მტერია და ჩვენი ეკონომიკისთვის ესოდენ საჭირო მილიონების გაკეთება რუსეთში თურმე არ შეიძლება?!**



აფხაზეთის საფეხბურთო ნაკრები ლონდონში

**როცა ხმამაღლა, საჯაროდ «ოცნებობ», რომ იქნებ რუსეთის პრეზიდენტი რიგითი მოსკოვური ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე დაგელაპარაკოს, ამით მას შეურაცხყოფ. დიპლომატიაში ასეთი ლაპარაკი უპასუხოდ არ რჩება და, თუ სირიის მიერ აფხაზეთის აღიარებაში რუსეთის ხელი მართლაც ურევია, ეს მარგველაშვილის დიდი დამსახურებაცაა**

სამაგიეროდ, ჩვენი ხელისუფლება ერთი კვირის ინტერვალით, ზარ-ზეიმით შეხვდა მეზობელი სომხეთის პრეზიდენტსა და პრემიერს. საქართველოს ჯერ **არმენ სარქისიანი** ეწვია, შემდეგ — **ნიკოლ ფაშინიანი.** შეხვედრები უმაღლეს დონეზე გაიმართა, მათმა ქართველმა კოლეგებმა ორი ერის ისტორიულ მეგობრობაზე ისაუბრეს და აზრადაც არ მოსვლიათ, თითი დაექნიათ ან გაეპროტესტებინათ სომხეთის მიერ აფხაზური პასპორტების აღიარების პოლიტიკა. დიახ, სომხეთმა ოფიციალურად აღიარა აფხაზური პასპორტები და მათ ქვეყანაში ამ საბუთით ოფიციალურად უშვებს. ეს იმიტომ, რომ უკვე აფხაზებიც აღიარებენ, მთელი ტერიტორია სომხებმა დაიპყრეს, ყველაფერს ისინი მართავენ და აფხაზეთი მალე სომხეთის ავტონომია გახდებაო. მაგრამ, ჩვენ ხომ „სტუმარ-მასპინძლის“ შემქმნელი ქვეყანა ვართ და, ისტორიულად სომხების მიერ არაერთხელ გაყიდულები, მათ ისევ კოჭს ვუგორებთ. არავინ ფიქრობს, თავისი სახელი დაარქვას მოვლენებს; არავინ ამბობს, რომ ეს დანაშაულია, მაგრამ, როცა აფხაზური პასპორტით რუსეთში ჩადის ვინმე, ეს თურმე დანაშაულია. რატომ? იმიტომ, რომ ამერიკასა და ევროპას სომხეთი არ აინტერესებს, რუსეთს ებრძვის და ჩვენც რუსეთის წინააღმდეგ უნდა ვიყოთ, თორემ ის, რომ სომხეთი ნელ-ნელა მართლა იპყრობს აფხაზეთს, არა უშავს.

ეგ კი არა და, სომხეთის ხელისუფლება ახალციხეში მცხოვრებ სომხებს მოქალაქეობის მიღებას აიძულებს, რათა ისტორიულ სამშობლოში გადაადგილების თავისუფალი შესაძლებლობა მისცეს. რეალურად კი, ახალციხეში ამბობენ, რომ დიდი-დიდი ათ წელიწადში იქ მცხოვრებ ყველა სომეხს სომხეთის მოქალაქეობა ექნება და შემდეგ ამ ტერიტორიაზე პრეტენზიის გამოცხადება მეზობლებს გაუადვილდებათ. ერთი მცირე კონფლიქტი და, **საკუთარი მოქალაქეების დაცვის სახელით, სომხეთმა შეიძლება ჯარიც კი შემოიყვანოს. ეს რეალობაა. ამ რეალობაზე საუბრობენ რიგითი მოქალაქეები, მაგრამ არ საუბრობს ხელისუფლება, იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე სიტუაციის დაძაბვა და თბილი სკამისთვის ფეხის მორყევა არ სჭირდება.**

სამაგიეროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ ისევ უყურადღებოდ დატოვა რუსეთის მოწოდება, მზად ვართ მოლაპარაკებების მაგიდას მივუსხდეთ და, თუ თქვენი სურვილიც იქნება, ნებისმიერ დონეზე შეხვედრის მომზადებას დავიწყებთო. უყურადღებოდ დატოვა კი არა, ის, რაც მარგველაშვილმა განაცხადა ცოტა ხნის წინათ, დიპლომატიის ენაზე შეურაცხყოფაა. როცა ხმამაღლა, საჯაროდ „ოცნებობ“, რომ იქნებ რუსეთის პრეზიდენტი რიგითი მოსკოვური ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე დაგელაპარაკოს, ამით მას შეურაცხყოფ. დიპლომატიაში ასეთი ლაპარაკი უპასუხოდ არ რჩება და, **თუ სირიის მიერ აფხაზეთის აღიარებაში რუსეთის ხელი მართლაც ურევია, ეს მარგველაშვილის დიდი დამსახურებაცაა.**

მოგვცემს რუსეთთან დიალოგის უფლებას ევროპა და ამერიკა?! ხომ შეიძლება, გრანტებით გაბრუებულ ხელისუფლებას უცებ გამოეღვიძოს და მიხვდეს, რომ რუსეთთან დიალოგს ალტერნატივა არ აქვს?! სწორედ ევროპისა და ამერიკის გავლენით მიიძინა იმ თემამ, რომელიც დღის წესრიგში ცოტა ხნის წინათ დადგა. ადამიანთა ჯგუფი, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვდა, რომელიც ქვეყნის საგარეო კურსის მიმართ მოსახლეობის აზრს გამოავლენდა, მაგრამ არა — აქაოდა, ანალოგიური რეფერენდუმი ერთხელ უკვე ჩატარდა და მოსახლეობამ ევროკავშირი და ნატო აირჩიაო. იმას თავი დავანებოთ, რომ იმ ე.წ. არჩევნებისა და მასთან ერთად ჩატარებული რეფერენდუმის გაყალბებაზე მხოლოდ მუნჯი არ ლაპარაკობს, დავუშვათ და, იმ რეფერენდუმის გამოცხადებული შედეგები რეალურია, მაგრამ ამ შედეგებითაც კი ნატოში გაერთიანებას მხარი დაუჭირა საქართველოს მოსახლეობის უმცირესობამ — დაახლოებით 35%-მა. მერე: ჩატარდა რეფერენდუმი და რა? გაუწია ვინმემ ჩვენს აზრს ანგარიში? ნატოში მიგვიღეს თუ ევროკავშირში? ეს ყველაფერი ცხრა წლის წინათ იყო, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ცხოვრება ძალიან შეიცვალა, მაგრამ ქართველებს ერთხელ გამოხატული აზრის შეცვლის უფლებაც წაგვართვეს. ვინ და რატომ გვართმევს ამ უფლებას? აღარ გვაქვს უფლება, ვთქვათ, რომ არ მოგვწონს და აღარ გვინდა, წლების განმავლობაში კვლავაც მოგვატყუონ, გვითხრან: ნატოსა და ევროკავშირის კარებზე დააკაკუნეთ და გაგიღებთო?! **რეფერენდუმი ხომ ნათლად გამოავლენდა მოსახლეობის განწყობას, რომელიც ყველამ იცის, რომ შეცვლილია და ლოიალური აღარ არის ამერიკისა და ევროპის მიმართ. ამერიკასა და ევროპას ხალხის ეშინია, იმ ხალხის, რომელსაც ფულით ვეღარ იყიდი, ამიტომ არ სურთ რეფერენდუმი, ამიტომ არ სურთ ამომრჩევლის აზრის გაგება.**

**ბესო ბარბაქაძე**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმთავითვე მჯეროდა, რომ, მწუხარებით გონდაბნელებული მამის ტკივილს „ნაცისტები“ უსინდისოდ იყენებდნენ თავიანთი პარტიული ინტერესებისთვის, მაგრამ ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა გაცილებით უარესში დამაეჭვა — შვილმოკლული მამაც რევანშისტების (წაიკითხე, სააკაშვილის პროექტი) მიერ დადგმული სპექტაკლის ერთ-ერთი აქტორი ხომ არ ბრძანდება?**

# ნაცბანდის რევანშის მესამე მცდელობა

## ბოლოს და ბოლოს, ვინ ბრძანდება ზაზა სარალიძე, თავს ამდენის უფლებას რომ აძლევს?! რა,შვილის სიკვდილი ყველაფრის კადრების ინდულგენციაა?!



**ზაზა სარალიძემ კი არა, ვაკის პარკის აქციამ უნდა წაუყენოს ხელისუფლებას ულტიმატუმი: არა მხოლოდ სარალიძის, დადუნაშვილის, მაჩალიკაშვილის მკვლელები უნდა დაისაჯონ, არამედ 150-ზე მეტი ქუჩებში ჩაცხრილული ახალგაზრდისა თუ ციხეებში წამებით მოკლული პატიმრის საქმეები უნდა ჩამოიღონ თაროებიდან; კოაბიტაციით კეკლუცობას თავი დაანებონ და სამართლიანობა აღადგინონ; ქართველი კაცის უპირველესი მოთხოვნა შეასრულონ**

**2012 წლის 1 ოქტომბერს, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, ქართველმა ხალხმა დაამხო სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი და საზოგადოებამ თითქოს შვებით ამოისუნთქა: შეწყდა ციხეებში პატიმართა გაუგონარი სისასტიკით მასობრივი წამება; ქვეყნიდან გაქცევით თავს უშველეს რეჟიმის მთავარმა იდეოლოგებმა თუ პრაქტიკოსმა ბობოლა ჯალათებმა და თითქოს ქართველი ხალხის მთავარი მოთხოვნის აღსრულებას, სამართლიანობის აღდგენას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, მაგრამ...**

აშშ-ის მფარველობით, **დიმიტრი შაშკინი**, რომლის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრობისას ციხეებში უამრავი პატიმარი მოკლეს საშინელი წამებით, ტრიუმფით დაბრუნდა საქართველოში. იგივე შეიძლება ითქვას **გიგა ბოკერიაზეც**, რომლის სახელთანაც ასოცირდება ე.წ. ციხის ბუნტის სისხლიანი ჩახშობა, **სულხან მოლაშვილის** წამება და ა.შ. მასაც, აშშ-ის შიშითა თუ რიდით, რომ იტყვიან, ბუზიც ვერ აუფრინა მეოცნებე ხელისუფლებამ.

ყველაზე მთავარი — იმავე **აშშ-ის ფარული ზემოქმედებით არ მოხდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ფაშისტური პოლიტიკური პარტიის, გასამართლება და მისთვის პოლიტიკური მოღვაწეობის აკრძალვა. ამ ყოველივეს კი, ზემოთ თქმულსაც და ქვემოთ სათქმელსაც, ერთი სიტყვით, კოაბიტაცია ჰქვია.**

სწორედ კოაბიტაციის ბრალია, რომ დღიდან მიშნაცების ხელისუფლების დამხობისა, ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე ნაცებს ერთი წუთითაც არ მიუტოვებიათ „ქართულ ოცნებაზე“ რევანშის ოცნება და ის, რაც დღეს ხდება რუსთაველზე, სწორედ პოლიტიკური რევანშის მცდელობაა.

თუმცა, სანამ დღევანდელ სიტუაციაზე ვისაუბრებთ, უპრიანი მგონია, მცირე ისტორიული ექსკურსით შევახსენო ქართველ საზოგადოებას, რამ და როგორ მიგვიყვანა დღევანდელ საგანგაშო ვითარებამდე და ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რაც ხდება და რაც შეიძლება მოხდეს. **რევანშის პირველი მცდელობა ნაცებს 2013 წლის ბოლოს ჰქონდათ, როდესაც წინასწარ დიდი რიხით დაანონსებულ აქციაზე, რომელზეც ლამის მთელ საქართველოს ელოდნენ, რეალურად 2-3 ათასი კაცის მობილიზება ძლივს შეძლეს. მიუხედავად სამარცხვინო კრახისა, ერთი „დადებითი“ შედეგი მაინც მოიმკეს ნაცებმა — საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მათი მოსვლის ალბათობა ნულის ტოლია და, აქედან გამომდინარე, სტრატეგიული მიზნის მისაღწევად ტაქტიკა შეცვალეს — ფსონი მასობრივი არეულობის მოწყობაზე დადეს — ეგება და მღვრიე წყალში ოქროს თევზი დაეჭირათ?!** დრო გადიოდა, რომელიც ნაცების წისქვილზე ასხამდა წყალს — „ქართული ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობამ მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო; თანაც გაირკვა, რომ შავი „ჯიპები“, კაბინეტებში ევრორემონტები, პრემია-დანამატები და სხვა სიამენი ქოცებს ნაცებზე არანაკლებად „ნაყვარებათ“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამომრჩეველმა 2016 წლის საპარლამენტო და შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ნდობა, თანაც ამჯერად საკონსტიტუციო უმრავლესობით, კიდევ ერთხელ მაინც „ქართულ ოცნებას“ გამოუცხადა.

დიახ, მაინც, რადგან ამჯერად ქოცები იმას ველარ მოიმიზეზებდნენ, საკონსტიტუციო უმრავლესობის არქონის გამო, ნაცები ქვეყნის შენებაში ხელს გვიშლიანო, ეს ერთი. მეორე — ფეხებით რომ დამკიდონ და ქვემოდან ცეცხლი შემინთონ, იმას ვერავინ მათქმევინებს, რომ მიშნაცების სისხლიანი რეჟიმი სჯობდა დღევანდელ, თუნდაც უუნარო ქოცების მმართველობას. დარწმუნებული ვარ, ჩემსავით ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის გონიერი ნაწილი, მაგრამ ხელისუფლებას აქვე ვაფრთხილებ, რომ ეს „კიდევ ერთხელ“ და „მაინც“ უსასრულოდ ველარ გაგრძელდება. ნაცბანდას ზემოხსენებული ახალი ტაქტიკის განხორციელების — მასობრივი არეულობის პროვოცირების — პირველი მცდელობა, „რუსთავი 2 “-თან დაკავშირებული პერიპეტიებისას ჰქონდა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ ტელეკომპანიის მფლობელად **ქიბარ ხალვაში** გამოცხადდა. „დაჩაგრული“, ყველაზე „ობიექტური“, რეალურად კი ყოველივე ანტიეროვნულის, ლგბტების მეხოტბე ტელევიზიის დასაცავად, რომ იტყვიან, ქუდზე კაცს უხმეს ტელე-მეძავმა გვარამია-გაბუნიებმა, მაგრამ ეს „ქუდზე კაცი“ რამდენიმე ხელმოცარული, რომ იტყვიან, ორკაციანი პარტიების, პრაქტიკულად, ნულოვანი რეიტინგის მარგინალი ლიდერები და რამდენიმე ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელი აღმოჩნდა და, რა თქმა უნდა, სოროსის მიერ გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო (წაიკითხე, მეხუთე კოლონა) სექტორი კაპიტან **ეკა გიგაურისა** და **ნინო ლომჯარიას** (დღეს საქართველოს სახალხო დამცველი) მეთაურობით და საქართველოში აკრედიტებული, პრაქტიკულად, მთელი დიპკორპუსი...

ხელისუფლებამ ამ ყველაფერს ნიკა გვარამიასა და მიშა სააკაშვილის სატელეფონო საუბრის გამოქვეყნებით უპასუხა. ექსპრეზიდენტი **სააკაშვილი გვარამიასგან** მოითხოვდა აქციაზე ერთი-ორი ადამიანის (ერთი აუცილებლად ქალი, შვილების დედა უნდა ყოფილიყო) სიკვდილს, რასაც რუსთაველზე დიდი მიტინგი და მღელვარება უნდა მოჰყოლოდა. მიშარასტებმა ეს სატელეფონო საუბარი, რა თქმა უნდა, სუსის მიერ დამონტაჟებულად შერაცხეს. ფაქტია: რაც კი ოდესმე საქართველოში ვიდეო ან აუდიოკომპრომატები გამოუქვეყნებიათ, არ მახსოვს, რომელიმეს ნამდვილობა იმთავითვე ელიარებინათ — ე.წ. ავთენტურობაზე აპელირებით, კიტრი ბადრიჯანიაო, გვიმტკიცებენ!

ეს, ისე, მცირე ლირიკული გადახვევა... უნდა ვაღიაროთ, რომ **იმხანად ეროვნული უბედურებისგან ისევ ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“ გვიხსნეს — ქართული სასამართლოს ვერდიქტი სტრასბურგმა თავზე გადაგვახია და „რუსთავი 2“ ისევ ისე ჟღურტულებს მიშნაცების საამებლად და ჩვენი გულების გასახეთქად, როგორც ყოველთვის.**

ნაცბანდის მეორე ცდა მასობრივი არეულობის გზით ხელისუფლებაში დაბრუნებისა ახლახან იყო, როდესაც „ბასიანი“-„გალერის“ ნარკომანებს, ბარიგებსა და ლგბტ-ებს, როგორ თუ გარყვნილებისა და ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვის ნებას არ გვაძლევთო, „თავისუფლების“ მოთხოვნით 2-3 დღის განმავლობაში ოკუპირებული ჰქონდათ რუსთაველის გამზირი, სადაც „პრადვინუტმა“ ე.წ. თეთრი ხმაურის აქტივისტმა გოგო-ბიჭებმა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი ბინძური უკანალების როკვით წაბილწეს. 9 აპრილს თავისუფლებისთვის გმირულ ბრძოლაში დაიღუპნენ ის ყმაწვილები იმ თავისუფლებისთვის, რომლისთვისაც დღეს ვიბრძვითო ჩვენ.

გამოდის, თავისუფლება „ბასიანი“ და „გალერი“ ყოფილა.

„რუსთავი 2 “-ის (წაიკითხე, ნაცბანდა) დასაცავად ვინც „ვენებს იჭრიდა“, ზუსტად ის პარტიები თუ პიროვნებები უცხადებდნენ სოლიდარობას „ბასიანი“-„გალერის“ „წმინდა აქციას“, რომელიც შს მინისტრის, რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელი ბოდიშის შემდეგ დაიშალა.

ნაცბანდის რევანშის მესამე ცდა ახლა მიმდინარეობს შვილმოკლული **ზაზა სარალიძის** ვითომდა სოლიდარობის სარჩულით. ვისაც შვილის სიკვდილის სიმწარე გამოუცდია, ალბათ, დამეთანხმება, რომ მშობლისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, 15 წლის ბიჭს მოგიკლავენ თუ 13 წლისას ჩაგიწვენს მიწაში უკურნებელი სენი. ამიტომ, როგორც შვილმკვდარი მამა, რა თქმა უნდა, ვუსამძიმრებ ბატონ ზაზას, მაგრამ...

აი, ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი სიტყვა „მაგრამ“ ყველაფერს თავდაყირა აყენებს. ის აქცია, რომელიც, ამდენი ხანია, მიმდინარეობს, თეთრი ძაფით რომ არის ნაკერი, ბრიყვთათვისაც კი იმთავითვე ცხადი იყო. მხოლოდ **ზვიად კუპრავას** — სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი სასტიკი ზონდერის, უბრალოდ დგომაც კი ზაზა სარალიძის გვერდით, ლეგიტიმური ეჭვის საფუძველი იქნებოდა, რომ ამ ყველაფრის ორგანიზატორები მიშნაცები არიან. საპროტესტო მიტინგი კი მიჰყავს ზვიად კუპრავას, რომელიც წლების განმავლობაში გვარბევდა და გვაწიოკებდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებს. აქციებზე ბატონი ზაზა თან ამბობდა, რომ პოლიტიკა არ აინტერესებს და თან საათში ერთხელ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა, რომ სისტემა უნდა დაინგრეს, მთავრობა უნდა გადადგეს და ა.შ.

**ზაზა სარალიძეს**, ნაცბანდასთან ერთად, იმ ორკაციანი პარტიის ლიდერები უჭერენ მხარს, რომლებიც „რუსთავი 2“-ის, „ბასიანი“-„გალერის“ „თეთრი ხმაურის“ გამო, უკაცრავად და, ნიფხვებიდან ხტებოდნენ.

**იმთავითვე მჯეროდა, რომ, მწუხარებით გონდაბნელებულ მამის ტკივილს „ნაცისტები“ უსინდისოდ იყენებდნენ თავიანთი პარტიული ინტერესებისათვის, მაგრამ ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა გაცილებით უარესში დამაეჭვა — შვილმოკლული მამაც რევანშისტების (წაიკითხე, სააკაშვილის პროექტი) მიერ დადგმული სპექტაკლის ერთ-ერთი აქტორი ხომ არ ბრძანდება?**

მთავარი პროკურორი გადადგა, პრემიერმინისტრი აქციაზე მივიდა, სადაც ნაცბანდის ახალგაზრდა აქტივისტებმა, რომლებიც ნიანგის ცრემლებს ღვარღვარებენ მოკლული ბიჭის გამო, ბოთლები დაუშინეს.

მიუხედავად ამისა, პრემიერი და შს მინისტრი შეხვდნენ **ზაზა სარალიძეს**, მოუსმინეს, დაჰპირდნენ, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ სიმართლის დასადგენად, მაგრამ შეხვედრიდან გამოსულმა შვილმოკლულმა მამამ კვლავ, — სისტემა უნდა დაინგრესო და ხელისუფლებას 10 ივლისამდე მისცა ვადა. საქმე ისეთ აბსურდამდე მივიდა, რომ მავანმა სერიოზულად განაცხადა, ვინ უნდა დაინიშნოს ახალ გენპროკურორად, ზაზა სარალიძეს უნდა შეუთანხმონო...

**ბოლოს და ბოლოს, ვინ ბრძანდება ზაზა სარალიძე, რომ თავს ამდენის უფლებას აძლევს?! რა, შვილის სიკვდილი ყველაფრის კადრების ინდულგენციაა?!**

როგორც იტყვიან, გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო, და აჰა, გატყდა — შვილმოკლული მამის მხარდამჭერ აქციაზე ისეთი ოდიოზური ფიგურებიც გამოჩნდნენ, როგორებიც არიან ყოფილი გენპროკურორი, სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი ბურჯი **მურთაზ ზოდელავა**; სადისტი მკვლელის — **ბაჩანა ახალაიას** მამა და სამეგრელოს ჯალათი **როლანდ ახალაია;** ასევე — ბუტა რობაქიძის მკვლელობის გამყალბებელი **გურამ დონაძე.** ამას დაუმატეთ დედაეკლესიისა და პირადად ჩვენი პატრიარქის მტრის, „მეუფე“ პეტრესა (წაიკითხე, ყანდური) და ციანიდის მოყვარული „მამა“ **გიორგი მამალაძის** მიმართვები აქციის მონაწილეებისადმი და ცხადი შეიქნება, სად არის პატიოსანი კაცის ადგილი — რუსთაველზე თუ ვაკის პარკში.

ქოცების მეხოტბედ რომ არ ვივარგებ, ეს ყველამ იცის, ვინც მიცნობს, მაგრამ ზაზა სარალიძის მხარდამჭერი ნაძირალა პოლიტიკოსების ჩამოსაგდები ნალდად არ არის **ბიძინა ივანიშვილი.** მეტიც — ზაზა სარალიძემ კი არა, ვაკის პარკის აქციამ უნდა წაუყენოს ხელისუფლებას ულტიმატუმი: არა მხოლოდ სარალიძის, დადუნაშვილის, მაჩალიკაშვილის მკვლელები უნდა დაისაჯონ, არამედ 150-ზე მეტი ქუჩებში ჩაცხრილული ახალგაზრდისა თუ ციხეებში წამებით მოკლული პატიმრის საქმეები უნდა ჩამოიღონ თაროებიდან; კოაბიტაციით კეკლუცობას თავი დაანებონ და სამართლიანობა აღადგინონ; ქართველი კაცის უპირველესი მოთხოვნა შეასრულონ. თუ მაინც არ მოგვასვენებენ კოაბიტაციური რჩევებით ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები, მათაც მიაფურთხონ და მთავარ მოკავშირედ მისი უდიდებულესობა ქართველი ერი აღიარონ.

თორემ...

**დავით მხეიძე**

**„ზაზა სარალიძემ თუ უნდა მიიღოს პროკურორის არჩევასა და დანიშვნაში მონაწილეობა, რატომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა დადუნაშვილების ოჯახმა? ვინმეს სჯერა, რომ სანდრო გირგვლიანის საქმე გამოძიებულია და დასჯილია თუნდაც ერთი ადამიანი? გამოძიებულია ბუტა რობაქიძის საქმე, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის? ამ მოკლული ახალგაზრდების მშობლებმა რატომ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა პროკურორის არჩევაში, რა, წერა-კითხვა არ იციან?“.**

ტრაგედია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2017 წლის 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მოკლული არასრულწლოვნის, ლევან დადუნაშვილის, განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნობილ გ. ბ.-ს სასამართლომ 10 წელი და 6 თვე მიუსაჯა, ხოლო არასრულწლოვან დავით სარალიძის დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ გ. ჯ.-ს — 9 წელი და 9 თვე. ეს გადაწყვეტილება მოსამართლე ეკა არეშიძემ 1 ივნისს გამოაცხადა.**

# «ზაზა სარალიძემ ის ადამიანები დაიყენა გვერდით, რომლებმაც ჯერ შვილი მოკლეს, მერე მამა შვილის საფლავზე დააკლეს»

## ზაზა სარალიძისა და ზვიად კუპრავას მიერ ორგანიზებულ აქციას სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში შვილმოკლული მშობლები ეხმაურებიან

შვილმოკლულმა მამამ, ზაზა სარალიძემ, ნაციონალ **ზვიად კუპრავასთან** ერთად, პარლამენტის შენობასთან ყველა შვილმკვდარ მშობელს პროტესტისკენ მოუწოდა და მართლაც, არცთუ ცოტა ადამიანი მივიდა. აქციაზე მისულთა ერთი ნაწილი გულწრფელად გაბრაზებული იყო უსამართლობის გამო, მეორე ნაწილი კი პოლიტიკურად ანგაჟირებული გახლდათ და, პროკურორის გადადგომასთან ერთად, მთავრობის გადადგომასაც მოითხოვდა. მათ ბოთლები ესროლეს ზაზა სარალიძესთან აქციაზე მისულ ქვეყნის პრემიერს და ლაპარაკის საშუალება არ მისცეს. გადადგა საქართველოს მთავარი პროკურორი **ირაკლი შოთაძე.**

ზაზა სარალიძისა და ზვიად კუპრავას მიერ ორგანიზებულ აქციაზე არ მივიდნენ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში შვილმოკლული მშობლები, რომლებიც ქვეყანაში არც ისე ცოტანი არიან.

ჩვენ რამდენიმე მათგანს ვესაუბრეთ, აგრეთვე, ვესაუბრეთ „ჯიპას“ ყოფილ ლექტორს — **ზაზა სიამაშვილს**, რომელიც ზაზა სარალიძეს მოუწოდებდა, ჩამოეშორებინა ზვიად კუპრავა და ნაციონალები.



**„ჩემი შვილის მკვლელობა შეუკვეთა თაკო სალაყაიამ, რომელიც დღეს თავისუფლად დადის ქუჩაში“**

**გურამ გირგვლიანი, 2006 წლის 28 იანვარს მოკლული სანდრო გირგვლიანის მამა:**

— ჩემი უბედურება მიდგება თვალწინ, როდესაც ზაზა სარალიძეს ვუყურებ. მესმის, რა მდგომარეობაშია, რა ცეცხლიც ტრიალებს მის გულში, თანავუგრძნობ და სოლიდარობას გამოვხატავ მის მიმართ. დღეს მთელი საქართველო მხარში უნდა ამოუდგეს ამ კაცს, რადგან არ შეიძლება ამდენი ადამიანი მონაწილეობდეს მისი შვილის მკვლელობაში და საბოლოოდ ვერაფერი დადგინდეს. ჩემთვის უბედურებაა ის, რომ მის გვერდით დგანან ადამიანები, რომლებმაც ჩემი შვილი მოკლეს. სწორედ ესაა მიზეზი, რომლის გამოც ახლა ზაზას გვერდით არ ვდგავარ. კუპრავას გვერდით დაყენება როგორ შეიძლება?!

**— თავის დროზე, თქვენც იდექით აქციებზე და შეიძლება ითქვას, თქვენი შვილისა და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდის მკვლელობამ წინა ხელისუფლება გადაიყოლა...**

— სხვათა შორის, როცა ვიკრიბებოდით, 20-30 კაცი თუ იდგა ჩვენ გვერდით. ვცდილობდით, აქციისთვის პოლიტიკური სარჩული არ მიგვეცა.

**— თქვენი შვილის მკვლელობის საქმე ბოლომდეა გამოძიებული? მკვლელები დაისაჯნენ?**

— ჩემი შვილის საქმეზე **სააკაშვილსა** და **მერაბიშვილს** წაუყენეს ბრალი. გულწრფელად რომ გითხრათ, არც ერთი არ მაინტერესებდა, რადგან ოლეგ **მელნიკოვმა** ჩვენებაში თქვა, რომ ჩემი შვილის მკვლელობა მას შეუკვეთა **თაკო სალაყაიამ,** რომელიც დღეს თავისუფლად დადის ქუჩაში. მეც მიჩნდება ეჭვი, რომ ვიღაცები დღესაც აფარებენ ხელს ჩემი შვილის მკვლელებს...



**„მისი შვილის სული შეწუხებულია იმ მარაზმით, რომელსაც მამამისი სჩადის“**

**ია მეტრეველი, 2004 წლის 23 ნოემბერს მოკლული ბუტა რობაქიძის დედა:**

— ზაზა სარალიძის საქციელი გაუგებარია, მისი მოთხოვნები ყოველგვარ ზღვარს გასცდა, ყოველ შემთხვევაში, აცდა იმ საქმეს, რომლისთვისაც ქუჩაში გავიდა. ზაზა სარალიძის ქუჩაში დგომა საჭირო აღარ არის. ეს არის მარაზმი. სპეციალურად იწვევს არეულობას, ქაოსს. მის გვერდით დგანან „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები, რომლებიც ძალიან კარგად იყენებენ ზაზას უბედურებას. არ ვიცი, ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ სარალიძეზე თუ თვითონაც იზიარებს ამ პარტიების მიზნებს, ყველა შემთხვევაში ჩემთვის მიუღებელია მისი საქციელი. 3 ივნისს ვაკის პარკში გაიმართა სარალიძეების მხარდასაჭერი აქცია. ზაზა მოვიდა და უკან გაბრუნდა, რასაც ნამდვილად არ ველოდი. ზაზა სარალიძე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, მას სურს მთავრობის გადადგომა. მინდა, მის მეუღლეს, მოკლული დათოს დედას მივმართო და ვუთხრა, რომ **მისი შვილის სული შეწუხებულია იმ მარაზმით, რომელსაც მამამისი სჩადის.** ზაზა სარალიძემ ის ადამიანები დაიყენა გვერდით, რომლებმაც ჯერ შვილი მოკლეს, მერე მამა შვილის საფლავზე დააკლეს, ვგულისხმობ **იური ვაზაგაშვილს.** აი ასეთი არჩევანი გააკეთა სარალიძემ, ნაცვლად იმისა, რომ ქართველ ხალხთან ერთად დამდგარიყო, ხალხთან, რომელიც ეხვეწებოდა, არ დადგე ბინძურ პოლიტიკოსებთან, ჩვენ ამოგიდგებით მხარში იქამდე, ვიდრე სამართალს არ იპოვიო...

**აქციები, რომლებიც რუსთაველზე მიმდინარეობს, საჭირო აღარ არის, რადგან ხელისუფლება თვითონ არის დაინტერესებული სიმართლის გარკვევით. ფეხზე დგას შინაგან საქმეთა სამინისტრო, პარლამენტი, პროკურატურა, ალაპარაკდნენ ბავშვებიც, რომლებიც მკვლელობას შეესწრნენ, მათ დაიწყეს ჩვენების მიცემა. სიმართლე ძალიან მალე გაირკვევა.**

მინდა, ბატონ ზაზას და ყველას შევახსენო, რომ, 14 წელიწადია, ვიბრძვი და ჩემი შვილის მკვლელები ჯერ კიდევ გარეთ არიან, ხოლო სარალიძის საქმე მხოლოდ ექვსი თვე მიმდინარეობს და არ დაელოდა, თუნდაც ბოლო ინსტანციამდე მისულიყო. მართლა რომ ვერ ეპოვა სამართალი, ჩვენ, ყველა, მის გვერდით ვიდგებოდით, უსამართლობას არავინ შეეგუებოდა. სარალიძის საქმეში იყო დარღვევები, აშკარაა, რომ ვიღაცები ხელს აფარებდნენ დამნაშავეებს, მაგრამ არავინ დათანხმდებოდა, დამნაშავე დაუსჯელი დარჩენილიყო.

აშკარაა, ზაზა სარალიძე თავიდანვე იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, დღეს მიეცა საშუალება, დამდგარიყო მათ გვერდით და ახლა უკვე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს — კატეგორიულად მოითხოვს მთავრობის გადადგომას.

**— ბუტას და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდის დაუნდობელ მკვლელობას წინა ხელისუფლება გადაჰყვა. ნუთუ არ რცხვენია დღეს ამ ხელისუფლებას თქვენი? თქვენ ხომ იმის ნახევარიც არ გაგიკეთებიათ, რასაც ახლა ზაზა სარალიძე აკეთებს. დღეს სარალიძის გვერდით თქვენი შვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ადამიანებიც დგანან...**

— ჩემი შვილის მკვლელები უკვე გულმოცემულები არიან და ვგრძნობ, როგორ რიხიანად შეუტევენ მოსამართლეს ბუტას საქმეზე 8 ივნისს დაგეგმილ სასამართლო პროცესზე. მოსამართლე შეურაცხყვეს, იმედი მიეცათ ამ მკვლელებს, ბოროტებით სავსე არაადამიანებს.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ყველაფერი დასრულდება და ჩვეულ რეჟიმში გადავა ქვეყანა. თუ მართლა სახელმწიფო გვაქვს და მთავრობა გვყავს, დროულად უნდა დამთავრდეს ეს მარაზმი.

**— აქციებზე ძალიან ცოტა ადამიანი დგას მათ გვერდით. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების მიერ ხომ არ არის ეს აქციები მხარდაჭერილი? მაგალითად, თქვენ პრემიერი არასოდეს შეგხვედრიათ, სამაგიეროდ, ზაზა სარალიძეს შეხვდა...**

— გეთანხმებით, ძალიან არ მომწონს ხელისუფლების მიდგომა მიმდინარე პროცესებისადმი. ზედმეტ ლოალურობას იჩენენ ამ უმსგავსობისადმი. შერჩევითი სამართალია. **გიორგი გაბუნიას** გინებისთვის 7 ახალგაზრდა ციხეში ზის, მაგრამ **ნიკა გვარამიამ** რომ შეურაცხყო ქალბატონი, ხელით შეეხო, არავინ არაფერი უთხრა; პარლამენტის თავმჯდომარეს საშინელი სიტყვებით აგინეს, მაგრამ არავინ დასჯილა. ჩვენ მხარეს კი უმიზეზოდ აპატიმრებენ ადამიანებს. მართლაც გაუგებარი და მიუღებელია ჩემთვის ეს ყველაფერი. მინდა მქონდეს იმედი, რომ დროულად აღკვეთენ ამ უმსგავსობას.

მეტი აღარ შემიძლია, 14 წელიწადია, არანორმალურ რეჟიმში ვცხოვრობ, საშუალება აღარ მაქვს, რომ ჩემი შვილის საფლავზე ვიარო, დავჯდე და ჩემს ბუტას საფლავთან მაინც ველაპარაკო. სულ ომში, სულ ცილისწამებასა და ბრძოლაში ვარ. ცხოვრება გავიდა, ძალიან დამღალა ამ ყველაფერმა, ატანაც შეუძლებელია უკვე.



**„გადარეული ვარ კაცი, ტელეეთერში გამოვიდა პარლამენტარი გიორგი ვოლსკი და განაცხადა, ზაზა სარალიძემ მონაწილეობა უნდა მიიღოს პროკურორის დანიშვნაშიო“**

**ზაზა სიამაშვილი, „ჯიპას“ ყოფილი ლექტორი:**

— უწინარეს ყოვლისა, ვუსამძიმრებ სარალიძეებისა და დადუნაშვილების ოჯახებს... დიდი უბედურება დაატყდათ თავს, მაგრამ უფრო დიდი უბედურებაა, როდესაც ასეთი ტრაგედიით ბინძური პოლიტიკოსები სარგებლობენ და საშინელებაა, შვილმკვდარი მამა ხდება ბრმა იარაღი ბინძური ადამიანების ხელში. რუსთაველზე მდგომი ადამიანების ადგილი ციხეშია, ისინი არ უნდა იდგნენ იქ, სადაც უამრავი ადამიანი ჰყავთ დახოცილ-დასახიჩრებული. გადარეული ვარ კაცი, ტელეეთერში გამოვიდა პარლამენტარი **გიორგი ვოლსკი** და განაცხადა: ზაზა სარალიძემ მონაწილეობა უნდა მიიღოს პროკურორის დანიშვნაშიო. მართლა **მაინტერესებს — ქვეყანაში ვცხოვრობ, თუ ცირკში.** ზაზა სარალიძემ თუ უნდა მიიღოს პროკურორის არჩევაში და დანიშვნაში მონაწილეობა, რატომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა დადუნაშვილების ოჯახმა? **ვინმეს სჯერა, რომ სანდრო გირგვლიანის საქმე გამოძიებულია და დასჯილია თუნდაც ერთი ადამიანი? გამოძიებულია ბუტა რობაქიძის საქმე, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის? ამ მოკლული ახალგაზრდების მშობლებმა რატომ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა პროკურორის არჩევაში, რა, წერა-კითხვა არ იციან?**

ჩვენ დღეს უნიჭოდ დადგმული ვოდევილს ვუყურებთ.

**— ვინ დადგა ეს უნიჭო ვოდევილი?**

— ხელისუფლებაც ხელს უწყობს ამ ყველაფერს. ბევრი მინისტრი და საპარლამენტო უმრავლესობაში ჩანერგილი ყოფილი ნაცებიც არიან ამის ხელშემწყობები. დღეს ხელისუფლებაში აღარ არიან 2012 წელს „ნაცების“ წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები. ძალიან გაბრაზებული ვარ „ოცნებაზე“, მათი კოაბიტაცია ყოველგვარ ზღვარს გასცდა, უკვე ერთ ლოგინში წვანან.

სანახაობებში მილიონობით დოლარის გადახდას თავი დაანებონ და გამოუძიებელი საქმეები გამოიძიონ. პოლიტიკური ნება არ აქვთ, რომ ძალოვანი სტრუქტურები გაწმინდონ. **ბუტას, სანდროს, ზურას სისხლზე მოვიდა ეს ხელისუფლება, მაგრამ მათი მკვლელობის საქმეები არ გამოიძიეს.**

არ დაიშლება ეს მიტინგი, რადგან ზაზა სარალიძემ პროკურორი უნდა დანიშნოს, რამდენი სარალიძე გამოჩნდება, იცით?

**— ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა, იმედია, დაალაგებს ყველაფერს...**

— ერთი თვეა, რაც ბიძინა დაბრუნდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. მას შეკვეთილში ყოფნა მოსწყინდა და თბილისში დაბრუნდა. ისე, ვურჩევ, გავიდეს ხალხში, ხალხს დაენახვოს.

**«ზაზა სარალიძე თავიდანვე იყო «ნაციონალური მოძრაობის» მხარდამჭერი, დღეს მიეცა საშუალება, დამდგარიყო მათ გვერდით და ახლა უკვე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს — კატეგორიულად მოითხოვს მთავრობის გადადგომას»**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ხმა ერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ავტორიტეტული სიტყვა სჭირდება ხალხს, თორემ სააკაშვილის ზონდერი და საიდუმლო სამსახურებრივი ინფორმაციის ნაცებისთვის მიწოდების გამო (რაც კანონის უხეში დარღვევაა) პოლიციიდან გაგდებული, ყვირილისგან ხმაჩახლეჩილი კაცი ტელეეკრანიდან სამართლიანობის აღდგენისკენ რომ მოგვიწოდებს და „ახალ მთავრობაში“ ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავებისთვის ემზადება, იმას უსაზღვროდ აღგზნებული დემონსტრანტიც ვერ ენდობა“.**

რუბრიკის — „ხმა ერისა“ სტუმრები არიან ლეგენდარული ქართველი ვეტერანი მოჭიდავეები — გურამ საღარაძე და ზარბეგ ბერიაშვილი.

# «კოაბიტაციამ შხამიანი ნაყოფი გამოიღო!»



## „ფაშისტებზე უარესები არიან ესენი. ჰიტლერელები არიული ნაციის გაბატონებას აპირებდნენ სხვა სახელმწიფოების დამონების გზით. ავადმყოფი ნაცები კი ჩვენი ერის ამოძირკვას ცდილობდნენ და არც ახლა აუღიათ ამაზე ხელი“

**გურამ საღარაძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი, ევროპის, სსრ კავშირისა და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული:**

— არეულობა, რომლის მოწმენიც ვართ ამ დღეებში, ნაციონალების მოწყობილია, საბაბად გაუბედურებული მამის ტრაგედია გამოიყენეს. ეს უკვე აშკარაა და ამას არც მალავენ **მიხეილ სააკაშვილის** დამპალი რეჟიმის ნარჩენები.

„ნაციონალური მოძრაობა“ ხალხის მტრების ორგანიზაციაა. **ქრისტიანობის მტრები არიან. ჩვენი ეროვნული ფასეულობების, ჩვენი ტრადიციების ამოშანთვისთვის იბრძოდნენ, როცა ხელისუფლების სათავეში იდგნენ და ახლაც გაცოფებულები იმავეს აკეთებენ.** გაგვიძნელდა მათი ავკაცობითა და ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად ქვეყნის განვითარებისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება.

გახსნეს პანდორას ყუთი და ჩვენი სამშობლო ბოროტებითა და უზნეობით დაასავადეს.

ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ უნდა მოხდეს მათი დენაციფიკაცია ისე, როგორც იმ ქვეყნებში გააკეთეს, რომლებშიც ფაშიზმი ბობოქრობდა.

**ფაშისტებზე უარესები არიან ესენი. ჰიტლერელები არიული ნაციის გაბატონებას აპირებდნენ სხვა სახელმწიფოების დამონების გზით. ავადმყოფი ნაცები კი ჩვენი ერის ამოძირკვას ცდილობდნენ და არც ახლა აუღიათ ამაზე ხელი.**

კოაბიტაციამ, დღეს უკვე საბოლოოდ გამოჩნდა, არათუ არ გაამართლა, არამედ შხამიანი ნაყოფი გამოიღო — ძალა მოიკრიბა, გათავხედდა და ტელეეკრანებზე გამოჩნდნენ **როლანდ ახალაია** — სააკაშვილის სისხლიანი პროკურატურის ყველაზე საზიზღარი ნიმუში და ბოროტმოქმედი შვილების აღმზრდელი მამა; **გურამ დონაძე** — ვანო მერაბიშვილის ხელისბიჭი და უდანაშაულო ახალგაზრდების დახოცვის „გამპრავებელი“, ორიენტაციააღრეული ადამიანი. მათნაირი მანქურთები, სამართალი თუა, ციხის კედლებს უნდა ხეხავდნენ.

ვინმეს თუ ჰგონია, რომ ხალხს ნაცების შავბნელი საქმეები დაავიწყდა, ძალიან ცდება: სისხლიანი აქციები დღისით-მზისით, ჯიხურის სახურავზე შემოდებული გვამები და ორი გვამის მოთხოვნა, ზღვაში დახრჩობა მათთვის არასასურველი ადამიანების... ესენი ცდილობენ ქვეყნის სათავეში დაბრუნებას, თავიანთი სისხლიანი რეჟიმის ჩვენთვის თავს მოხვევას.

არ გამოვა!

**ქართველი ქრისტიანი ხალხი და მათთან ერთად სხვა კონფესიების წარმომადგენელი ჩვენი მოქალაქეები ერთად აღვდგებით ამ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ, გამოვალთ და ძირფესვიანად გავანადგურებთ მათ!**

ვერ შეძლებენ, ეს უბედურები, ხუთიათასწლოვანი საქართველოს დამონებას!

ვის სჭირდება ამდენი არასამთავრობო, ამდენი სოროსისტი, ფაროსანასავით რომ გადაძოვეს ქვეყნის იდენტურობა, ჩვენი მეობა და რომლებსაც ისე შესციცინებს ჩვენი ელექტრონული მედია, როგორც ოქროსმაძიებლები თვითნაბად ოქროს შორეულ კლონდაიკში.

ნაძირალები!

ერთსაც დავუმატებ: ვერაფრით გავამართლებ, მეტროპოლიტენის მემანქანეთა გაფიცვას, რომელიც მაინცდამაინც ამ ურთულეს სიტუაციაში მოაწყვეს ხელფასების 45-პროცენტით გაზრდის მოთხოვნით.

თქვენი ავტორიტეტული გაზეთის მეშვეობით ვთხოვ ბატონ ბიძინას, კიდევ ერთხელ გამოგვიყვანოს კატასტროფული მდგომარეობიდან, რომელშიც დღეს აღმოვჩნდით, ხოლო ჩემს თანამემამულეებს შევახსენებ **გალაკტიონის** უკვდავ სტრიქონებს:

**„ჰე, მამულო,
გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა
ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის
სული დალია,
სთქვა: „სამშობლო
უპირველეს ყოვლისა!“**



## „კანონი უნდა კანონობდეს! ისე არ უნდა იყოს, რომ, თუ დასავლეთს მოსწონს, რაც გინდა, დააშავე, პასუხს არავინ მოგთხოვს; თუ არ მოსწონს, რაც გინდა, კარგი გააკეთო, მაინც უვარგისი ხარ“

**გაზეთის გამოსვლის წინა დღეს რედაქციას ეწვია ლეგენდარული მოჭიდავე, საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი და ა.შ. ზარბეგ ბერიაშვილი.**

— უწინარეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ ძალიან განვიცადე „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის, ახალგაზრდა კაცის — **ირაკლი თოდუას** უდროო გარდაცვალება. თქვენი გაზეთი ერთ-ერთია თითებზე ჩამოსათვლელ გაზეთებს შორის, რომლებიც სიმართლეს ამბობენ. 79 წლისა ვხდები და იმას მაინც ვარჩევ, სადაა სიმართლე და სად — ტყუილი.

ტელევიზიებში უარესი მდგომარეობაა. ერთი ტელევიზია მაჩვენეთ, რომელიც მოსყიდული არ არის. დღეს არაფერი იმალება!

თქვენს რედაქციაში მოვედი იმიტომ, რომ ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ თბილისში შექმნილ მდგომარეობაზე.

მაგრამ ჩემს ნათქვამს, ისევე, როგორც სხვა ჩვენი თანამოქალაქეების ნათქვამს, პრესის ფურცლებზე დაბეჭდილს, ფასი უნდა ჰქონდეს, რეაქცია უნდა იყოს აღმასრულებელ თუ ხელისუფლების სხვა შტოებში მოღვაწე მოხელეთა მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფასი ეკარგება და საკონსტიტუციო დებულება „ხელისუფლების წყარო ხალხია“ ფიქცია ხდება.

უამრავი ასეთი მაგალითის მოტანა შემიძლია, უფრო მეტს თქვენი გაზეთის მკითხველები დაუმატებენ. მხოლოდ ერთ კონკრეტულ მაგალითს დავასახელებ, რომელიც უშუალოდ თქვენს გაზეთთან არის დაკავშირებული.

ერთი თვის წინათ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციამ ასეთი წინადადებით მიმართა ქვეყნის ხელისუფალთ:

**„გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიესალმება ხელისუფლების ინიციატივას ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის კამპანიის დაწყების შესახებ. ჩვენი მკითხველების სახელით გამოვდივართ ინიციატივით, „ბასიანის“ შენობას აღვუდგინოთ თავდაპირველი ფუნქცია და ვაქციოთ იმ პირველ ჯანმრთელობის კერად, რომელიც მთავრობის ამ ინიციატივის ფარგლებში შეიქმნება. მიგვაჩნია, რომ „ლაღიძის წყლების“ ფართობის გამოსყიდვის სურვილის შემდეგ ეს იქნება ნაბიჯი, რომელიც ხაზს გაუსვამს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პატრიოტულ ხასიათს და დაგვანახვებს, რომ მთავრობა, ლოზუნგების გენერირების გარდა, მათი რეალიზაციის პრაქტიკულ რეალიზებაზე გადავიდა“.**

რეაქცია მთავრობის მხრიდან — ნულის ტოლი. არადა, პრობლემა სერიოზული იყო და აღნიშნული კონკრეტული შეთავაზება უთუოდ შეეხიდებოდა, გარკვეულ წილად მაინც, საერთო პრობლემის გადაწყვეტის საქმეს. მით უფრო, იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა გამოვიდა ქვეყანაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ინიციატივით, ხოლო სპორტული ნაგებობების ქსელის გაფართოება და არსებულის ათვისება ამ ინიციატივის ერთ-ერთ მთავარ შემადგენლად გამოცხადდა.

ასეთი უგულისყურობა მაფიქრებინებს: **ზედმეტად თავდაჯერებული ხომ არ არის ჩვენი მთავრობა?**

ავიღოთ სხვა ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი. მითხარით, რომელია დალაგებული? — არც ერთი. ხალხისთვის სასიკეთოდ — არც ერთი!

მაგალითად, **კადრების პრობლემა:** თვითონ ნიშნავენ, თვითონვე მიუქსევენ კრიტიკოსებს და თვითონვე უკარგავენ ავტორიტეტს.

უავტორიტეტო ხელმძღვანელმა როგორ უნდა იმუშაოს?! ცოტაა ასეთი მაგალითი? ცოტა არ არის, თანაც ისეთ უმაღლეს დონეზე, როგორიც პრემიერმინისტრის, პროკურორის, დედაქალაქის მერის თანამდებობებია. მინისტრების გაუთავებელ შეცვლაზე აღარაფერს ვამბობ.

**მეტროპოლიტენის მემანქანეების გაფიცვა, რომელიც თბილისში გართულებულ ვითარებას დაამთხვიეს, ვისი ორგანიზებულია და ვის წინააღმდეგ იყო მიმართული?**

ხელფასების 45 პროცენტით გაზრდა მოითხოვეს, რაც, ჩემი აზრით, მოშლილი ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია. თანაც, ხელფასებს, რომლებიც 1800 ლარი მაინც არის, მიზერულს ვერ უწოდებ. ამდენი კი არა, 3 ათასიც რომ იყოს, ცოტაა, განა არ ვიცით, მაგრამ სად უნდა იპოვონ ეს რესურსი? სახელმწიფო ვერაფერს მისცემს, ისევ ხალხისგან უნდა ამოიღონ, ანუ მგზავრობის ღირებულების გაძვირებით. ახლა მითხარით: **ხალხის წინააღმდეგ გაიფიცნენ თუ არა მეტროპოლიტენის მემანქანეები?**

გაფიცვით, ეჭვიც არ მეპარება, დაინტერესებულმა ძალებმა **კახა კალაძის** მდგომარეობის შერყევა მოინდომეს, რომელმაც თავისი მოღვაწეობა მერის თანამდებობაზე წარმატებით დაიწყო — მოსახლეობისთვის სასარგებლო ღონისძიებები განახორციელა.

**შედეგმა, რომელიც ამ აქციას მოჰყვა, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მოქალაქეები დააზარალა — აირდაირია საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა, გადაიტვირთა ავტობუსები, ჩვენს თანაქალაქელებს დასაქმების ადგილებზე მისვლა დაუგვიანდათ და ა.შ. და ა.შ. ამას დისკომფორტის შექმნას ვერ დაარქმევ, ეს უარესია და ბიძგია კატასტროფისკენ.** დედაქალაქელების უკმაყოფილება ნიშნავს, რომ ეს გაფიცვა დემოკრატიულობის დემონსტრაცია კი არა, ხალხის გაღიზიანების გამოწვევის აქტიური საშუალებაა.

მაჩვენეთ, **სად არის საქართველოს სახელმწიფო უშიშროება. ვითომ ის არის, რომლის ხელმძღვანელსაც ამერიკის ელჩი თავისთან დაიბარებს და იმას აკეთებინებს, რასაც პატრონები უბრძანებენ?!**

სისტემა უნდა დაინგრესო, — მოითხოვენ რუსთაველზე გამართული აქციის მონაწილეები. რომელი სისტემის დანგრევას აპირებენ, რომელსაც თითქმის 3 ათწლეულია, ქმნიან ამერიკელები?!

ტლუ კაცი ტყუილს რომ იტყვის, ცუდია; ასეთი საქციელი განათლებული კაცისგან უარესია. უვიცის უაზრობაზე გაგეცინება, პროგრესულობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანის ახირებულობა კი ხალხის მტრობაა. **საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის, თინათინ ხიდაშელის, განცხადების შემდეგ, ჩემს შვილს პატრიოტობას ვერ მოვთხოვ, რა უნდა თქვას რიგითმა მოქალაქემ? არ მიკვირს, რომ ასეთი განწყობილება ხალხშიც ვრცელდება.**

პარლამენტის თავმჯდომარეები (ყოფილი თუ ახალი) რომ იტყვიან, ქართული ცნობიერება რა არის, არ ვიცითო, მოდი და ელაპარაკე ქართული სახელმწიფოს მშენებლობაზე, ეროვნულ ღირებულებებზე.

როცა პრეზიდენტი შეკითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად განაცხადებს: მაცალეთ, ჯერ ჩვენს პარტნიორებს დავეკითხები და ჩემს პოზიციაზე შემდეგ ვილაპარაკებო, ამაზე აშკარა თვითლუსტრაცია წარმოუდგენელია.

სადაა ჩვენი ინტელიგენცია? რატომ არ გვესმის მისი ხმა?

**— ინტელიგენციის ის ძველი თაობა წასულია, ახალი არ ჩანს. ახალი ფორმაციის შექმნას წლები დასჭირდება.**

— წლები დასჭირდება, მაგრამ დრო არ ითმენს — მთავრობა ვერ ხელმძღვანელობს ქვეყანას, პარლამენტიც ვერ იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებებს. **დარჩა ქვეყანა ქუჩის აქციების ორგანიზატორებისა და დიდ ფულად დაქირავებული ადვოკატების გავლენის ქვეშ, რომლებსაც ყველა ტელევიზიის კარი ღია აქვთ.**

ავტორიტეტული სიტყვა სჭირდება ხალხს, თორემ სააკაშვილის ზონდერი და საიდუმლო სამსახურებრივი ინფორმაციის ნაცებისთვის მიწოდების გამო (რაც კანონის უხეში დარღვევაა) პოლიციიდან გაგდებული, ყვირილისგან ხმაჩახლეჩილი კაცი ტელეეკრანიდან სამართლიანობის აღდგენისკენ რომ მოგვიწოდებს და „ახალ მთავრობაში“ ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავებისთვის ემზადება, იმას უსაზღვროდ აღგზნებული დემონსტრანტიც ვერ ენდობა.

**— არადა, ყურს უგდებენ და ტაშსაც უკრავენ.**

— ასეთია ბრბოს ფსიქიკის თავისებურება.

ამერიკა და დასავლეთი გვიკარნახებს, როგორ უნდა ვიცხოვროთ. **ლამის დამლაგებელი ვერ მიუღიათ სამუშაოზე ამერიკის ელჩთან შეუთანხმებლად.**

ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანების მკვლელობაში ყველა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს, მაგრამ ქართველი ხალხი რა შუაშია?! რატომ ურთულებენ მას ისედაც გაუსაძლის ყოფას?!

კანონი უნდა კანონობდეს! ისე არ უნდა იყოს, რომ, თუ დასავლეთს მოსწონს, რაც გინდა, დააშავე, პასუხს არავინ მოგთხოვს; თუ არ მოსწონს, რაც გინდა, კარგი გააკეთო, მაინც უვარგისი ხარ.

როდემდე უნდა ვიცხოვროთ ასეთი ორმაგი სტანდარტით?! ამაზე ხალხი ხმას რომ არ იღებს, იმიტომაც არის ასე.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«პარლამენტის თავმჯდომარე რომ იტყვის, ქართული ცნობიერება რა არის, არ ვიცით, მოდი და ელაპარაკე ქართული სახელმწიფოს მშენებლობაზე, ეროვნულ ღირებულებებზე»**

„უკვე დამტკიცებულია სამოქმედო გეგმა დაბერების პოლიტიკის დოკუმენტზე. რაც შეეხება დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციას, სწორედ ამ კონცეფციის თანახმად, პრემიერს დაევალა, შეიქმნას მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო. საბჭოს უხელმძღვანელებს პრემიერი, მის შემადგენლობაში შევლენ ექსპერტები, დემოგრაფები, რომლებიც კანონის შესაბამისად მოამზადებენ სამოქმედო გეგმას — კერძოდ, საბჭომ უნდა დაწეროს სახელმწიფო დემოგრაფიული განვითარების პროგრამა 2030-2050 წლებისათვის. საბჭო შექმნილია, მაგრამ ჯერ ვერ მოხდა შეკრება, რადგან ბოლოდროინდელმა მოვლენებმა შეუშალა ხელი“.

დემოგრაფია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მწვავედ სადაც გვიჭირს, არის დემოგრაფია. თუ ჩვენ გავწყდით, არც ტერიტორია დაგვჭირდება და აღარც დამბრუნებელი იქნება ამ ტერიტორიების ვინმე. 1950-დან 1959 წლამდე ნახევარ მილიონზე მეტით მოვიმატეთ, ასე ხდებოდა ყოველ ათწლეულში. 1990-1999 წლებში ჩვენი რაოდენობა შემცირდა 400 ათასით. ამის მიზეზი ხომ უნდა გავარკვიოთ?“ — განაცხადა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელმა, ემზარ კვიციანმა გაეროს მიერ 2010 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, მეცნიერები 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტით შემცირებას ვარაუდობენ. 2002 წლიდან საქართველოს მაღალმთიანი რაიონების 162 სოფელი, ფაქტობრივად, დაცარიელდა. მოსახლეობის ბოლო აღწერის მიხედვით, საქართველოში 3,7 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, ეს საგანგაშო ტენდენცია რომ შეიცვალოს, და რა კეთდება დღეს — არის თუ არა ქვეყანაში დემოგრაფიული კრიზისი და გვაქვს თუ არა სიმშვიდის მიზეზი? აღნიშულ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძე ესაუბრა:

# თამარ ჩიბურდანიძე: სამწუხაროდ, 2050 წლისთვის ნავარაუდებ დემოგრაფიულ დარტყმას თავიდან ვერ ავიცილებთ

## მეცნიერები 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტით შემცირებას ვარაუდობენ

— საქართველოში დემოგრაფიული პრობლემები ჯერ კიდევ 1985 წლიდან დაიწყო, დღეს კი ქვეყანაში დემოგრაფიული კრიზისი აშკარაა. **ზვიად გამსახურდია** იყო ერთადერთი, ვინც ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო, მაგრამ ეს იდეა მასთან ერთად მოკლეს. მას შემდეგ 2012 წლამდე არც ერთ მთავრობას არ გასჩენია სურვილი, ამ მიმართულებით მუშაობა დაეწყო. ჩვენი ფონდი 2012 წელს, სწორედ ახალ მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დემოგრაფიულ პროექტზე მუშაობის მიზნით დაფუძნდა, დემოგრაფიული კრიზისი კი ბოლო 30-წლიანი უმოქმედობის შედგია, რაც 1990-იანი წლებიდან დაიწყო.

— **რა იყო ამის მიზეზი?**

— მიგრაციამ, სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა, შობადობის შემცირებამ, რეგიონების დაცლამ, უშვილობის ზრდამ, განქორწინების პროცენტული მაჩვენებლის მატებამ — ამ ყველაფერმა მიგვიყვანა იქამდე, რასაც დემოგრაფიული კრიზისი ჰქვია. დღეს კი ერის დაბერების ძალიან ძლიერი ტენდენცია შეინიშნება. იმხანად ჭარბი მოსახლეობა ჰყავდა საქართველოს — 5 მილიონ-ნახევარი ვიყავით თითქმის, 1980-იან წლებში მოდური იყო ერთშვილიანი ოჯახები. დემოგრაფიული პოლიტიკა შედეგს გაძლევს ერთი დემოგრაფიული თაობის შემდეგ, ანუ 25-30 წლის შემდეგ. ამ ათწლეულში დაბადებული ბავშვები და ჩვენ მიერ გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკა შედეგს მოგვცემს დაახლოებით 25-27 წლის შემდეგ, როდესაც ეს დემოგრაფიული თაობა შევა რეპროდუქციულ ასაკში და გააჩენს შვილებს.

— **რატომ შევედით დემოგრაფიულ კრიზისში?**

— ვვარაუდობდით, რომ დემოგრაფიულ კრიზისი 2020 წლიდან დაიწყებოდა, მაგრამ დაიწყო გაცილებით ადრე, მიზეზი კი არის შემდეგი: საქართველოში 1980-1990 წლებში 445 ათასი გოგონა გაჩნდა. დემოგრაფიული ხაზი კი გოგონათა შობადობას მიჰყვება, 1990-დან 2000 წლამდე კი გაჩნდა 224 ათასი გოგონა, მივიღეთ განახევრებული დემოგრაფიული თაობა. სწორედ ეს გოგონები არიან დღეს ის დემოგრაფიული თაობა, რომელიც ბავშვის გაჩენის ასაკშია, მაგრამ საიდან მოვიყვანოთ ის არდაბადებული გოგონები?!

შესაბამისად, დღეიდან 25 წლის განმავლობაში ჩვენ გვექნება სერიოზული კლების პერიოდი. რა ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკაც უნდა განვახორციელოთ, ამ თაობას დღეს ვერაფერს ვუზამთ, თუმცა კონკრეტული ინიციატივებით, შესაძლოა, მცირე მატება მივიღოთ.

— **ქვეყანას აქვს თუ არა ჩამოყალიბებული დემოგრაფიული პოლიტიკა და როგორ უნდა განახორციელოს სახელმწიფომ ეფექტიანი პოლიტიკა დღეს არსებული დემოგრაფიული კრიზისის დასაძლევად?**

— 2010 წელს, როდესაც გაერომ საგანგაშო მონაცემები გამოაქვეყნა, საქართველოში ერთი ამბავი ატყდა, მაგრამ ქართველი დემოგრაფები გაცილებით ადრე საუბრობდნენ მოსალოდნელ საფრთხეებზე. ჩვენ მაშინ, 2012 წლამდე, შევხვდით ყოფილ ხელისუფლებას და ვთხოვეთ, დაეწყოთ დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართულებით მუშაობა, მაგრამ თხოვნა ყურად არავინ იღო, დაგვცინეს კიდეც. გვითხრეს, შობადობის ბუმიაო, ეს ციფრები კი — გაბუქებულიო. ის, რომ 2007-დან 2010 წლამდე მოხდა შობადობის მატება სწორედ უწმინდესის — **ილია მეორის** ინიციატივის შედეგია. რა გავაკეთეთ ჩვენ: მე და ბატონმა **ანზორ თოთაძემ** 2012 წელს ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარე **დიმიტრი ხუნდაძეს** და იმჟამინდელ პრემიერმინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** წარვუდგინეთ დემოგრაფიული პროექტი. ღარიბაშვილმა გასცა განკარგულება, მაშინვე დაგვეწყო დემოგრაფიულ პოლიტიკაზე მუშაობა და შეგვექმნა პირველადი დემოგრაფიული პროგრამა. სწორედ ამ პროექტის ერთ-ერთი ნაწილი იყო 2013 წელს დემოგრაფიული ფონდის შექმნა. ამის შემდეგ ქართველ დემოგრაფებსა და ექსპერტებთან ერთად შევიმუშავეთ პროგრამა, რომელიც გავაცანით მთავრობას და წარვუდგინეთ უკვე იმჟამინდელ პრემიერმინისტრ **ბიძინა ივანიშვილს.** პროექტი დამტკიცდა, შედეგად დავიწყეთ ინიციატივების განხორციელება, რომლებიც ჩვენ მიერ წარდგენილ პროგრამაში შედიოდა, სულ 16 ინიციატივა იყო. დღეს კი მე-15 ინიციატივა ხორციელდება. ეს არის მრავალშვილიანების სტატუსის მინიჭება და მათთვის სოციალური პაკეტის მომზადება, რაზეც ახლა პარლამენტის მესამე მოსმენა დარჩა. ხოლო პირველადი ინიციატივები, რომლებიც სასწრაფოდ იყო გასატარებელი ხუთი წლის განმავლობაში და რომლებსაც ბატონი **დიმიტრი ხუნდაძე** ხელმძღვანელობდა, საკმაოდ შრომატევადი მუშაობის შედეგად განვახორციელეთ.

— **რა განხორციელდა კონკრეტულად და რა შედეგი მიიღეთ?**

— პირველი, რაც გაკეთდა, იყო: მშობიარობის დაფინანსება და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შეტანა, დეკრეტული შვებულების გაზრდა, ორსული ქალების მონიტორინგი წელიწადში 8-ჯერ უფასოდ. ასევე, მედიკამენტებით მომსახურების უზრუნველყოფა. აიკრძალა სელექციური აბორტები, ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო უკანონო აბორტებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება, რაზეც ადრე ჯარიმა იყო მხოლოდ და კიდევ — აბორტამდე მოსაფიქრებელი ვადა სამიდან 5 დღემდე გაიზარდა. აბორტების მიმართულებით მუშაობამ მოგვცა ის, რომ 6 ათასი ერთეულით შემცირდა ქვეყანაში აბორტების რაოდენობა. საქართველოს ექვს რეგიონში, რომლებშიც მოკვდავობა აღემატებოდა შობადობას, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ინიციატივა 2014 წლის 1 ივნისიდან განვახორციელეთ, კერძოდ: **ყოველ მესამე და შემდგომ ახალშობილზე ბარში არის დახმარება 150, ხოლო მთაში 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად 2 წლის განავლობაში. ამას დაემატა „მთის კანონი“, რომელშიც ყველა ბავშვზე არის ფულადი დახმარება განკუთვნილი. ასევე, არის უამრავი ინიციატივა განათლებისა და სოფლის მეურნეობის კუთხით;** შვილად აყვანის კანონი. ჩვენ დაგვრჩა ორი დიდი ინიციატივა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, უშვილობის პრობლემა, რომელიც ძალიან მაღალია ქვეყანაში და ქორწინების წახალისება მაღლმთიან რეგიონებში, რომელიც დაცლილია მოსახლეობისგან. ამ ყველაფერს მივყვებით ნელ-ნელა, რადგან ბიუჯეტს არ აქვს საკმარისი თანხები. მხოლოდ ბოლო 5 წლის განმავლობაში იმ 14 ინიციატივის შემუშავებაში ცენტრალური ბიუჯეტიდან 400 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა.



— **ქალბატონო თამარ, ჩვენი გაზეთის გასული კვირის ნომერში დემოგრაფმა ანზორ თოთაძემ წარმოადგინა მის მიერ დამოუკიდებლად შემუშავებული დემოგრაფიული პროგრამა, რომელიც განსახილველად წარუდგინა მთავრობის მეთაურ გიორგი კვირიკაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს, თუმცა, როგორც პროფესორი ამბობს, მას შემდეგ 2 თვე გავიდა და მის ამ ქმედებას გამოხმაურება არ მოჰყოლია. რატომ ?**

**«დღეიდან 25 წლის განმავლობაში ჩვენ გვექნება სერიოზული კლების პერიოდი. რა ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკაც უნდა განვახორციელოთ, ამ თაობას დღეს ვერაფერს ვუზამთ, თუმცა კონკრეტული ინიციატივებით, შესაძლოა, მცირე მატება მივიღოთ»**



**«მიგრაციამ, სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა, შობადობის შემცირებამ, რეგიონების დაცლამ, უშვილობის ზრდამ, განქორწინების პროცენტული მაჩვენებლის მატებამ — ამ ყველაფერმა მიგვიყვანა იქამდე, რასაც დემოგრაფიული კრიზისი ჰქვია»**

— ორი წლის წინათ, დიმიტრი ხუნდაძის ინიციატივით, საქართველოში შემუშავდა დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია და დაბერების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელზეც ვმუშაობდი მეც და ბატონი ანზორ თოთაძეც, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად. ყოველივე ამის შემდეგ გაეგზავნა ეს ორივე დოკუმენტი პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, რომელმაც ხელი მოაწერა. შესაბამისად, **უკვე დამტკიცებულია სამოქმედო გეგმა დაბერების პოლიტიკის დოკუმენტზე; რაც შეეხება დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციას, სწორედ ამ კონცეფციის თანახმად, პრემიერს დაევალა, რომ შეიქმნას მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო. საბჭოს უხელმძღვანელებს პრემიერი, მის შემადგენლობაში შევლენ ექსპერტები, დემოგრაფები, რომლებიც კანონის შესაბამისად მოამზადებენ სამოქმედო გეგმას — კერძოდ, საბჭომ უნდა დაწეროს სახელმწიფო დემოგრაფიული განვითარების პროგრამა 2030-2050 წლებისათვის. საბჭო შექმნილია, მაგრამ ჯერ ვერ მოხდა შეკრება, რადგან ბოლოდროინდელმა მოვლენებმა შეუშალა ხელი.** რაც შეეხება ბატონ ანზორს, ის დემოგრაფიული აღორძინების ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ჩემი მოადგილე გახლავთ, ხოლო დემოგრაფიული განვითარების პროგრამას, რომელიც მან დამოუკიდებლად შეიმუშავა და გამოაქვეყნა, აუცილებლად გამოვიყენებთ მოსახლეობის განვითარების საბჭოში. საბჭო სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ იქ ერთი ადამიანის ნამუშევარი კი არ დამტკიცდეს, არამედ სხვადასხვა ნამუშევრები განვიხილოთ, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები, დემოგრაფები თუ ექსპერტები წარმოადგენენ. ბატონი ანზორი სამუშაო ჯგუფში აუცილებლად იქნება ჩართული.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ, სამწუხაროდ, 2050 წლისთვის ნავარაუდებ დემოგრაფიულ დარტყმას თავიდან ვერ ავიცილებთ, თუმცა ვცდილობთ, რომ ეს დარტყმა შევამსუბუქოთ.

მოამზადა
**სოფიო კაკაჩიამ**

**ცნობისთვის: 2007 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოში მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად მართლმადიდებელ ოჯახებში ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვის მონათვლის ინიციატივით გამოვიდა. დღეს უწმიდესს უკვე 13 000-ზე მეტი ნათლული ჰყავს, სწორედ ილია მეორის ინიციატივას უკავშირებენ ექსპერტები საქართველოში ბოლო პერიოდში შობადობის მატებას.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შთამბეჭდავი სტარტის მიუხედავად, პროექტის რეალიზაცია შეფერხდა და ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ახალი რკინიგზა წამგებიანი იქნება, თუ მისი გაყვანის პარალელურად არ აღდგება რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი სარკინიგზო მიმოსვლა აფხაზეთის ტერიტორიის გავლით. მხოლოდ ამ შემთხვევაში სომხურ-ირანული პროექტი შეიძენს არა მხოლოდ დამატებით ეკონომიკურ, არამედ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასაც.**

# ფაშინიანის ვიზიტი და სარკინიგზო დილემა

**გასულ კვირას საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია სომხეთის პრემიერმინისტრი ნიკოლ ფაშინიანი. გამართულ მოლაპარაკებებზე ორივე მხარე ზოგადი კომენტარებით შემოიფარგლა, თუმცა ზოგიერთი გარემოება მიუთითებს, რომ სომხური მხარისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო დერეფნის გაფართოება, რასაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვა აქვს.**

საქართველო მეორე ქვეყანაა (რუსეთის შემდეგ), რომელსაც სომხეთის ახალი პრემიერი ესტუმრა. რამდენიმე დღით ადრე კი თბილისს პირველი რესპუბლიკის იუბილეზე სომხეთის პრეზიდენტი **არმენ სარქისიანი** სტუმრობდა. სარქისიანი **ბიძინა ივანიშვილის** ძველი ნაცნობია და ამიტომ, **გიორგი მარგველაშვილის** გარდა, მასაც შეხვდა. რაც შეეხება ფაშინიანს, მას **გიორგი კვირიკაშვილი** მასპინძლობდა. „შევეხეთ თანამშრომლობის ყველა ძირითად მიმართულებას, ვისაუბრეთ ტრანსპორტის, განათლების, ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე და ასევე საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში თანამშრომლობის საკითხებზე“, — განაცხადა მან შეხვედრის დასრულების შემდეგ. პრემიერმა, უპირველესად, ტრანსპორტი ახსენა, თუმცა ეს შეიძლება უბრალო დამთხვევა იყოს. რაც შეეხება სტუმარს, მისი განცხადებების მთავარი თემა ქართულ-სომხური ურთიერთობების ხანგრძლივი ისტორია და განსაკუთრებულობა იყო. „მინდა სულიერება იყოს სომხურ-ქართულ ურთიერთობაში“, — ეს ფრაზა მან ორჯერ გაიმეორა.

საინტერესოა, რომ სომხეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელშიც 2013 წლის იანვარში ბიძინა ივანიშვილი პრემიერის რანგში ჩავიდა. მანაც სცადა ისტორიულ-კულტურული ფაქტორის გამოყენება და სადავო ეკლესიების რესტავრაციის მოულოდნელი ინიციატივით გამოვიდა: „დიდი ხნის წინათ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდის დახმარებით, რომლის მეშვეობით აღდგა და რესტავრაცია ჩაუტარდა საქართველოში არქიტექტურის 500-ზე მეტ ძეგლს, მიუხედავად იმისა, როდის ვაღიარებთ ამ ეკლესიების წარმომავლობას, მზად ვარ, ხვალვე დავიწყო ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საკამათო ეკლესიების რესტავრირება“. ამ ინიციატივამ მაშინ სომხეთში საკმაო რეზონანსი გამოიწვია და მოწონებაც დაიმსახურა, თუმცა ექსპერტებმა და ჟურნალისტებმა გაცილებით მეტი ისაუბრეს ივანიშვილის სხვა განცხადებაზე. **2017 წლის 17 იანვარს ერევანში ივანიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა „შესაძლებელია“ და ეს საკითხი შეიძლება სწრაფად მოგვარდეს, „თუ ყველა მხრიდან ამის ნება იქნება“.** თბილისში ამ განცხადებას ძალიან მძაფრი პოლემიკა მოჰყვა, ყველაზე მეტად ივანიშვილს ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ.

მომდევნო დღეს კი, 2013 წლის 18 იანვარს, ერევანში ახალი პროექტის, **„სომხეთის სამხრეთის რკინიგზის“ საზეიმო პრეზენტაცია მოეწყო, რომელმაც ერთმანეთს სომხეთი და ირანი უნდა დააკავშიროს. მისი სიგრძე დაახლოებით 500 კილომეტრი იქნება, ხოლო მშენებლობა 3-3,5 მილიარდი დოლარი დაჯდება — პროექტის ფარგლებში (სულ სამი ვარიანტი არსებობს, ამ შემთხვევაში საუბარია ძირითადზე) უნდა აშენდეს 64 ხიდი, დაახლოებით 100 კილომეტრი სიგრძის 60 გვირაბი და 27 სადგური. წინასწარი შეფასებით, ეს მარშრუტი 25 მილიონამდე ტონა ტვირთს გაატარებს.** ინტერესი ამ რკინიგზის მიმართ ჯერ კიდევ 2014-ში ჩინეთმა გამოხატა, ჩინურმა ბანკებმა პროექტის დაკრედიტების მზადყოფნა გამოთქვეს, წინასწარი კვლევითი სამუშაოები ჩინურმა საკომუნიკაციო-სამშენებლო კომპანიამ ჩაატარა.

მაგრამ, **შთამბეჭდავი სტარტის მიუხედავად, პროექტის რეალიზაცია შეფერხდა და ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ახალი რკინიგზა წამგებიანი იქნება, თუ მისი გაყვანის პარალელურად არ აღდგება რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი სარკინიგზო მიმოსვლა აფხაზეთის ტერიტორიის გავლით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძენს სომხურ-ირანული პროექტი არა მხოლოდ დამატებით ეკონომიკურ, არამედ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასაც — ჰიპოთეზური გამჭოლი სარკინიგზო მაგისტრალი ბარენცის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე სწორედ გეოპოლიტიკური მნიშვნელობისაა.**

კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარების გამო დღეს ამ პროექტს არარეალისტურად აღიქვამენ, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ მოლაპარაკებებს, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გავლით ტვირთების გადაზიდვას ეხება. 2011 წელს დადებული შეთანხმების მიხედვით, შვეიცარიულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს დაკვირვება ტვირთების გადაადგილებაზე რუსეთსა და საქართველოს შორის ორი კონფლიქტური ზონის გავლით. ითვლება, რომ მთავარი დაინტერესებული მხარე ამ შემთხვევაში სომხეთია, რადგან ის მიიღებს ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის ალტერნატივას, სადაც დროდადრო, უამინდობის თუ სხვა მიზეზების გამო, სომხური ტვირთების ტრანზიტს პრობლემები ექმნება; თუმცა ეკონომიკური ექსპერტების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, ეს პრობლემები დიდ ზარალს არ უკავშირდება და ორი დამატებითი დერეფანი სომხეთს რაიმე განსაკუთრებულ შეღავათს არ მოუტანს.

სომხურ მედიაში დროდადრო წერენ, რომ სატვირთო მანქანების მიმოსვლა კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიაზე ერთგვარი „პირველი მერცხალია“, თუ ის აღდგება და ამოქმედდება ტვირთების შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების სისტემა, ეს შექმნის წინაპირობებს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისათვისაც. სომხეთის ხელისუფლება, სავარაუდოდ, სწორედ ამ პერსპექტივის გათვალისწინებით მოქმედებს.



**ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა სერგეი მარკედონოვმა შემდეგი რამ თქვა: «თუ პროექტი (სომხეთ-ირანის რკინიგზის) წარმატებით განვითარდება, ეს იქნება მნიშვნელოვანი ბიძგი იმისთვის, რომ რუსეთმა უფრო აქტიურად დაიწყოს საქართველოსთან სატრანსპორტო დერეფნების გახსნის საკითხების განხილვა. ეს მათ შესაძლებლობას მისცემს, ააწყონ ურთიერთობა, იმ უთანხმოებების მიუხედავად, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ არსებობს». საქართველოსთვის ეს არა მხოლოდ ტრანზიტისთვის მიღებულ საფასურს, არამედ დასავლეთ რეგიონების ეკონომიკურ გამოცოცხლებას ნიშნავს — სატრანზიტო ჩიხის ნაცვლად, ის კვლავ გზაჯვარედინი გახდება**

სომხეთ-ირანის რკინიგზის პროექტის პრეზენტაციამდე ორიოდე თვით ადრე, 2013 წლის ნოემბერში ერევანში სომხეთის სავაჭრო სამრეწველო პალატაში გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერნეშნლ ალერტის“ (კონფლიქტების დარეგულირებაზე მუშაობს, სათაო ოფისი ლონდონშია) კვლევის პრეზენტაცია **„სამხრეთ კავკასიის რკინიგზის აღდგენა: პოტენციური ეკონომიკური ეფექტის შეფასება“**, რომელსაც ექსპერტები და მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ. მოხსენების ავტორების აზრით, აფხაზეთის მონაკვეთის რეკონსტრუქცია 277,5 მილიონი დოლარი დაჯდება. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ინვესტიციის ამოღებას 16 წელიწადი დასჭირდება, თუ რკინიგზა ყოველწლიურად 10 მილიონი ტონა ტვირთს გაატარებს, მაგრამ რეალურად 4 მილიონზე მეტი ტონის გატარება ვერ მოხერხდება, შესაბამისად, პროექტი არარენტაბელურია.

მოხსენების ავტორებს არ დაეთანხმა სომხეთის ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენელი **არტურ სარქისიანი**. მისი თქმით, „ექსპერტები მნიშვნელოვნად ამცირებენ ამ რკინიგზის პოტენციალს, რომელიც ევროპისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს დააკავშირებს. 10 მილიონი ტონა წელიწადში მხოლოდ ქვედა ნიშნულია“. **კვლევის ავტორებმა ძირითადი აქცენტი გააკეთეს ტვირთების გადაზიდვაზე რუსეთსა და საქართველო-სომხეთს შორის, ხოლო იმ ტვირთების მოცულობა, რომლებიც ამ რკინიგზის მიმართულებით შეიძლება ირანელმა და თურქმა ბიზნესმენებმა გადაამისამართონ, მათი აზრით, მხოლოდ 500 ათასი ტონა, საუკეთესო შემთხვევაში, მილიონ-ნახევარი ტონა იქნება.**

სიტუაცია საკმაოდ საინტერესოა — ცალ-ცალკე ორივე პროექტი არარენტაბელურია, მაგრამ ერთდროული რეალიზაციისა და ერთმანეთთან დაკავშირების შემთხვევაში, ისინი, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ დივიდენდებს მოიტანს. მათ ურთიერთკავშირზე ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა **სერგეი მარკედონოვმა** შემდეგი რამ თქვა: **„თუ პროექტი (სომხეთ-ირანის რკინიგზის) წარმატებით განვითარდება, ეს გახდება მნიშვნელოვანი ბიძგი იმისთვის, რომ რუსეთმა უფრო აქტიურად დაიწყოს საქართველოსთან სატრანსპორტო დერეფნების გახსნის საკითხების განხილვა. ეს მათ შესაძლებლობას მისცემს, ააწყონ ურთიერთობა, იმ უთანხმოებების მიუხედავად, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ არსებობს“** *(„რეგნუმი“)*. საქართველოსთვის ეს არა მხოლოდ ტრანზიტისთვის მიღებულ საფასურს, არამედ დასავლეთ რეგიონების ეკონომიკურ გამოცოცხლებას ნიშნავს — სატრანზიტო ჩიხის ნაცლად, ის კვლავ გზაჯვარედინი გახდება. **ამ რკინიგზის და ბაქო-თბილისი-ყარსის ერთდროული ფუნქციონირება საქართველოს გადააქცევს ერთ-ერთ მთავარ სარკინიგზო ჰაბად რეგიონში**, მაგრამ არსებობს რამდენიმე გარემოება, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ამ პროექტების წარმატებულ რეალიზებას.

ერთ-ერთი გარემოებაა აშშ-ირანის ურთიერთობის მორიგი გამწვავება. ტრამპის ადმინისტრაცია მოწადინებულია, თეირანი იზოლაციაში მოაქციოს და მის წინააღმდეგ ახალი კოალიცია შექმნას. ამის გათვალისწინებით თეირანის მონაწილეობა სამხრეთკავკასიურ სარკინიგზო პროექტებში აუცილებლად შეიძენს პოლიტიკურ დატვირთვას. **ორ პატარა სახელმწიფოს, საქართველოს და სომხეთს, ძალიან გაუჭირდებათ პროექტის დაცვა, თუ ვაშინგტონი მას შეეწინააღმდეგება. საქართველოს შემთხვევაში გაფრთხილებას აშშ-დან, სავარაუდოდ, დაემატება პროდასავლური ოპოზიციის ზეწოლა და ხელისუფლების დადანაშაულება იმაში, რომ რუსეთს გაურიგდა. ამას გაუბედავი მთავრობა, ალბათ, ვერ გაუძლებს და, როგორც ეს არაერთგზის მომხდარა, თავის მართლებას დაიწყებს და პროექტის რეალიზაციას გადადებს.** მოხდება ის, რაც 2012-13 წლების მიჯნაზე მოხდა, როდესაც ხელისუფლებამ გააკეთა რამდენიმე მინიშნება აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე, მაგრამ მალევე დადუმდა.

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას აშშ-რუსეთის ურთიერთობების გართულებაზეც. ვაშინგტონი სამხრეთ კავკასიაში ნებისმიერ ინიციატივას, რომლებიც ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძს აძლიერებს, აღიქვამს, როგორც რუსეთის გავლენის ზრდის გამოვლენას, შესაბამისად, მის ჩაძირვაზე ზრუნავს. „გადატვირთვის“ პერიოდში ობამას ადმინისტრაცია სამხრეთკავკასიურ სარკინიგზო პროექტებს გადამეტებულ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ახალმა „ცივმა ომმა“ ვითარება შეცვალა.

**თბილისში ნიკოლ ფაშინიანის ვიზიტის შეფასებისას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხეთში „ჩრდილოეთის დერეფნის“ გახსნა აღქმული იქნება, როგორც ძალზე მნიშვნელოვანი წარმატება.** სწორედ ამიტომ ახალი ხელისუფლება ცდილობს, ამ მიმართულებით წინამორბედზე მომგებიანი ნაბიჯები გადადგას და, ამასთანავე, დაადგინოს, როგორია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია „სარკინიგზო დილემის“ თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ოფიციალური თბილისის რეაქციას ყურადღებით აკვირდებიან ვაშინგტონსა და მოსკოვში, ივანიშვილის ხელისუფლება, სავარაუდოდ, სერიოზულ დისკომფორტს განიცდის და, ჩვეულებისამებრ, ერთი გაბედული ნაბიჯის გადადგმაც არ ძალუძს.

**ლუკა ნემსაძე**

საჭირო იყო კი ეს ინსცენირება? დაგეგმილი დანაშაულის გამოსაძიებლად, საჭირო არ არის მისი ინსცენირება. კიევს, ალბათ, სურდა, მაქსიმალური ყურადღება მიეპყრო, და მხოლოდ თავდასხმის ასეთი ინსცენირება მიიპყრობდა მსოფლიოს მასმედიის ყურადღებას. კიევი აპირებდა, რუსეთი დაედანაშაულებინა მსოფლიოს საზოგადოებრიობის აღშფოთების ფონზე. მაგრამ ამის ნაცვლად ახლა კრემლს შეუძლია კიევის დადანაშაულება საერთაშორისო თანამეგობრობის მოტყუებაში.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მერკელი: ევროკავშირის ქვეყნები ერთიანი ფრონტით გამოვლენ აშშ-ის მიერ დაწესებული საბაჟო გადასახადების წინააღმდეგ

**გერმანიის კანცლერმა განაცხადა, რომ ამერიკის პრეზიდენტის შემზღუდველი ზომები „არ უპასუხებს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წესებს“.**




**„ევროკავშირის ქვეყნები ერთიანი ფრონტით გამოვლენ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ალუმინსა და ფოლადზე დაწესებული ბაჟის წინააღმდეგ“, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა პორტუგალიის პრემიერმინისტრ ანტონიო კიშტასთან ერთად 31 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე.**

**მერკელმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ „ვუპასუხოთ გაბედული და ერთიანი მეთოდით“. მერკელის თქმით, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ დაწესებული შემზღუდველი ზომები „არ უპასუხებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს“,** — იუწყება სააგენტო France-Presse.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის 23 მარტს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააწესა ახალი საბაჟო გადასახადები ფოლადსა (25%) და ალუმინზე (10%) ყველა ქვეყნისთვის, რომლებიც პროდუქციას აშშ-ს აწვდიან. ამ საკითხზე 1 ივლისამდე ვადა გაუგრძელა ავსტრალიას, არგენტინას, ბრაზილიას, კანადას, მექსიკას, კორეის რესპუბლიკას, აგრეთვე, ევროკავშირის ქვეყნებს.

## Deutshe Welle ბაბჩენკოს «მკვდრეთით აღდგომაზე»:

# არის განსხვავება საიდუმლო ოპერაციებსა და საცირკო შოუს შორის




**კიევის მიერ რუს ჟურნალისტ არკადი ბაბჩენკოზე თავდასხმის ინსცენირება ჰგავს არა „საიდუმლო ოპერაციას“, არამედ „საცირკო შოუს“, რომელმაც მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და გააჩინა უამრავი შეკითხვა.**

„თუ კიევი ვერ წარმოადგენს კრემლის „შეთქმულების“ მტკიცებულებებს, ეს იქნება გოლი საკუთარ კარში და უკრაინა დიდი ხნით დაკარგავს ნდობას“, — აღნიშნავს გერმანული გამოცემა.

„როცა რუსი ჟურნალისტის, **არკადი ბაბჩენკოს** მკვლელობის შესახებ ცნობა მსოფლიოში გავრცელდა. სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებმა გამოხატეს თანაგრძნობა და აღშფოთება, მათ შორის, იყო გერმანიის პრეზიდენტი შტაინმაიერი“, — წერს Deutshe Welle-ს ჟურნალისტი **მაქსიმ დრაბოვი**, მაგრამ მოგვიანებით მოხდა საქმის „მოულოდნელი შემობრუნება“: გაირკვა, რომ მკვლელობა ინსცენირებული იყო უკრაინის უშიშროების სამსახურის მიერ, რათა გასულიყვნენ ბაბჩენკოს წინააღმდეგ ნამდვილ შეთქმულებაზე. „ყველაფრის მიუხედავად, უკრაინის უშიშროების სამსახურის მოქმედება ბევრ კითხვას აჩენს და, თუ არ იქნება პასუხები, ეს მნიშვნელოვნად დააზარალებს უკრაინის მიმართ ნდობას“, — წერს ავტორი.

კერძოდ, ჩნდება კითხვა: **საჭირო იყო კი ეს ინსცენირება? დაგეგმილი დანაშაულის გამოსაძიებლად, საჭირო არ არის მისი ინსცენირება. კიევს, ალბათ, სურდა, მაქსიმალური ყურადღება მიეპყრო, და მხოლოდ თავდასხმის ასეთი ინსცენირება მიიპყრობდა მსოფლიოს მასმედიის ყურადღებას. კიევი აპირებდა, რუსეთი დაედანაშაულებინა მსოფლიოს საზოგადოებრიობის აღშფოთების ფონზე. მაგრამ ამის ნაცვლად ახლა კრემლს შეუძლია კიევის დადანაშაულება საერთაშორისო თანამეგობრობის მოტყუებაში.**

„და ამის შემდეგ შეიძლება კიევს ენდო?“ — სვამს კითხვას წერილის ავტორი.

„არსებობს განსხვავება „საიდუმლო ოპერაციებსა“ და „საცირკო შოუს“ შორის. როგორი რეაქცია ექნება მსოფლიოს, თუკი მსგავსი შემთხვევა კიდევ მოხდება? რამდენიმე დღე უნდა დაელოდოს, რათა დარწმუნდეს, რომ დანაშაული მართლა მოხდა?“ — სვამს კითხვას გერმანელი ჟურნალისტი მაქსიმ დრაბოვი.

# ირანი ურანის გამდიდრებას იწყებს

**ოფიციალური თეირანი აცხადებდა, რომ, თუ აშშ ბირთვულ შეთანხმებაზე უარს იტყვის, ირანი ურანის გამდიდრებას დაიწყებდა.**

8 მაისს ტრამპმა განაცხადა, რომ 2015 წლის ირანის ბირთვულ შეთანხმებას ტოვებდა, რითაც ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის რისკი გაზარდა და ამით ევროპელი მეგობრები გაანაწყენა.

9 მაისს ცნობილი შეიქნა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი ირანის წინააღმდეგ სანქციებს 180 დღეში აღადგენდა და ის შეზღუდვები, რომლებიც ამ ქვეყნის წინააღმდეგ ბირთვული შეთანხმების ფარგლებში იყო დაწესებული, კვლავ განახლდებოდა. 24 მაისს კი აშშ-მა ირანში მოქმედ ცხრა ორგანიზაციას სანქციები დაუწესა.

2015 წელს აშშ-მა, საფრანგეთმა, გერმანიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ჩინეთმა და რუსეთმა ირანთან მიღწიეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს თეირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე უარის სანაცვლოდ საერთაშორისო სანქციების, მათ შორის ირანის მიერ ნავთობით ვაჭრობის აკრძალვის გაუქმებას.





# ტრამპთან შეხვედრამდე კიმ ჩენ ინი მოსკოვში დაპატიჟეს

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ჩრდილოეთ კორეაში ვიზიტით ყოფნისას ქვეყნის ლიდერ კიმ ჩენ ინს შეხვდა. ლავროვი პირველია რუსეთის წარმომადგენელთაგან, რომელიც კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ამჟამინდელ ლიდერს შეხვდა.**

მანამდე ლავროვმა მოლაპარაკება გამართა თავის ჩრდილოკორეელ კოლეგა ლი ენ ხოსთან. დიპლომატებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა, ვითარება კორეის ნახევარკუნძულზე და სხვა საკითხები, კერძოდ, კიმ ჩენ ინისა და აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის შეხვედრა. რუსეთის დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელის თქმით, ფხენიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა პირობებით გაფორმდება შეთანხმება ვაშინგტონთან.

გამოცხადდა, რომ ლავროვმა კიმ ჩენ ინი, სანამ ეს უკანასკნელი ტრამპს შეხვდება, მოსკოვში მიიპატიჟა.





# ტრამპის წერილში შეცდომების გასწორებით მასწავლებელმა სახელი გაითქვა

**ამერიკელმა მასწავლელმა ივონ მეისონმა მას შემდეგ მოიხვეჭა პოპულარობა სოცქსელებში, რაც თეთრი სახლიდან გამოგზავნილ წერილში შეცდომები გაასწორა.**

რამდენიმე თვის წინათ ქალმა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს გაუგზავნა წერილი, რომელშიც შეშფოთება გამოთქვა სკოლებში ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის შემთხვევების მატების შესახებ.

რამდენიმე დღის შემდეგ მან მიიღო საპასუხო წერილი, რომელშიც უამრავი სტილისტური უზუსტობა იპოვა, მაგალითად, არსებითი სახელები „ქვეყანა“, „პრეზიდენტი“ და „სახელმწიფო“ ეწერა დიდი ასოთი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკუთარი სახელები არ არის. მეისონმა წერილში 11 შეცდომა იპოვა. გარდა ამისა, ივონის აზრით, წერილში ბევრი გამეორებაა, რის გამოც აზრი მახინჯდება.

მასწავლებელი ამბობს, რომ სკოლის მოსწავლეს ამ რაოდენობის შეცდომების გამო სამიანს დაუწერდა.

# დანიაში ფარანჯა აკრძალეს

**დანიაში ქალებს საზოგადოებაში ყოფნისას სახის დაფარვა აეკრძალებათ — ეს გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის პარლამენტმა რამდენიმე დღის წინათ.**



კანონის პირველად დარღვევის შემთხვევაში ქალი დაისჯება 134 ევროთი. ოთხი და მეტი დარღვევისთვის ჯარიმა 1340 ევროა. საკითხის განხილვისას პარლამენტარები, აგრეთვე, მოითხოვდნენ ამ კანონის დამრღვევის ციხეში ჩასმასაც, მაგრამ საბოლოოდ ეს წინადადება უარყოფილი იქნა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა სტალინივით ურყევი მხედართმთავარი. სტალინი იყო გამოჩენილი ადამიანი, რომელიც ზუსტად შეეფერებოდა იმ სასტიკ პერიოდს... სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, მკაცრი და ულმობელი ადამიანი, როგორც საქმეში, ასევე საუბრისას, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა, მეც კი, ინგლისის პარლამენტში აღზრდილს, მიჭირდა“.**

## ნაწილი III

დასასრული. დასაწყისი იხ. №18-19 (442-443)

# სტალინი და საქართველო წარსულის ფურცლებიდან

### სტალინის ფენომენის შესასწავლად

**სტალინის ფენომენის, მისი პიროვნული ნიშან-თვისებების შესწავლასა და შეფასებას, უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, მსოფლიოს ბევრი ისტორიკოსი, მკვლევარი და ექსპერტი ცდილობს. დღეს გთავაზობთ ცნობილი ქართველი დრამატურგისა და პუბლიცისტის, კიტა ბუაჩიძის მეუღლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თინათინ ბარამიძის თვალსაზრისს სტალინის ფენომენზე.**

„ძლიერი ადამიანი, ჩანჩქერის მსგავსად, თვითონ პოულობს თავის გზას“, — გვამცნობს ხალხური ანდაზა. კეთილშობილი, მიზანსწრაფული, ენერგიით აღსავსე ადამიანი არამხოლოდ საკუთარ გზას პოულობს, არამედ მას შესწევს უნარი, თავისი გზით სხვაც ატაროს, ყველა მისი მოქმედება შინაგანი „მე“-ს გამოხატულებაა, მის ყველა მოქმედეhბაში მჟღავნდება ძალა, დამოუკიდებლობა, ხალხის ნდობა, ამიტომ იმსახურებენ საზოგადოების პატივისცემასა და აღიარებას. ყოველ ქცევაში ან მოქმედებაში არის რაღაც გადამდები. მამაცი, ძლიერი პიროვნებები შთააგონებენ სხვა ადამიანებს, იარონ მათი გზით ან გაჰყვნენ მათ გზას. ასეთი უშიშარი ხასიათი ჰქონდა ბევრ ადამიანს და ისტორიულ პირს, რომლებიც იყვნენ რომელიმე მოძრაობის სათავეში — **ველინგტონი, ვაშინგტონი, ლუთერი, რუზველტი** და, რასაკვირველია, **სტალინი.**

ყველას გვახსოვს სტალინის სახელით დამუხტული შეძახილები:

„სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ — გადადიოდნენ შეტევაზე და სიცოცხლესაც წირავდნენ. სტალინის სახელით საბჭოთა ჯარებმა მრავალი გამარჯვება იზეიმეს. „საერთაშორისო ისტორია სხვა არაფერია, თუ არა გამოჩენილი პიროვნებების ისტორია“, — აღნიშნავს ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი **სმაილსი.** ქვეყნის სიდიადე განიზომება არა ტერიტორიის სიდიდით, არამედ ხალხის ხასიათით. ენერგიულ, გონიერ და შრომისმოყვარე ხალხს ვერავინ დაჩაგრავს, ვერ მოერევა. ის სახელმწიფო, რომელიც შედგება ისეთი ხალხისგან, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ პირადი სიამოვნებისთვის და, საკუთარი უბადრუკი „მე“-ს გარდა, სხვა მიზანი არ აქვს, განწირულია დასაღუპავად. ადამიანის დანიშნულება მოღვაწეობაა, ამისთვის უნდა ჰქონდეს ის ნიშან-თვისებები, რომლებიც დაეხმარება მტკიცე ხასიათის გამომუშავებაში, პიროვნულ ჩამოყალიბებასა და წარმატების მიღწევაში. ნიშან-თვისებების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს:

მაგალითად, **გოეთეს** აზრით, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ **შრომისმოყვარეობასა** და **შრომისუნარიანობას.** „ყოველივე კარგს და საუკეთესოს ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ შრომით“; ამასთანავე, გოეთეს თქმით, დისციპლინას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. **პლუტარქე** გონიერებასა და განსჯის უნარს აძლევს უპირატესობას. **„მთავარია, მოვლენების სწორი განსჯის უნარს აფასებდნენ, ვიდრე აღტაცებას გამოთქვამდნენ ჩვენს განსწავლულობაზე“,** — ბრძანებს იგი. ცნობილი საზოგადო მოღვაწე **ველინგტონი** ყურადღებას ამახვილებს პასუხისმგებლობასა და მოვალეობაზე: „ადამიანის ჭეშმარიტ სიდიადეს მოვალეობის განცდა წარმოადგენს“.

**ვიქტორ ჰიუგო** აღნიშნავს, რომ ყველა წარმატების თავიდათავი არის **შეუპოვრობა**: „წარმატების საიდუმლოება მდგომარეობს სიტყვა შეუპოვრობაში“.

როდესაც ერთ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ჰკითხეს, რას თვლის იგი ყველაზე მნიშვნელოვან თვისებად წარმატებისთვის — მჭერმეტყველებას, განათლებას, თუ შრომისმოყვარეობას, უპასუხა: „თავშეკავების უნარს“. დიახ, თავდაჭერილობა იმ საუკეთესო თვისებებს ეკუთვნის, რომელზეც **შექსპირი** წერდა: „თავშეკავების უნარი შეიძლება შეფასდეს, როგორც ხასიათის ძირითადი მახასიათებელი. მოთმინებასა და სიმამაცეს შეუძლია, არა მხოლოდ სარგებლობის მოტანა, არამედ ისინი განაპირობებს ადამიანის ბედნიერებას ცხოვრებაში“. ბიბლიაში კი ქება-დიდებით მოიხსენიება არა, უბრალოდ, ძლიერი ადამიანი, რომელსაც ძალუძს ქალაქის დაპყრობა, არამედ რომელსაც ძალუძს საკუთარი თავის მართვა, აკონტროლებს თავის აზრებს, სიტყვებს, ყოფას.

ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი **სემუელ სმაილსი** თავის ოთხტომეულში „გონება და ენერგია“ (1887 წ.) ხაზს უსვამს ზნეობისა და ხასიათის კატეგორიებს და აღნიშნავს, რომ სრულფასოვან ადამიანს ბევრი ნიშან-თვისება უნდა ჰქონდეს. ყურადღებას ამახვილებს რა იმ თანდაყოლილ თუ შეძენილ პიროვნულ თვისებებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფორმირებისა და წარმატებით მოღვაწეობისთვის — იგი ადამიანის ხასიათს ანიჭებს უდიდეს უპირატესობას (თავი I): **„ხასიათი არის ადამიანის განუყოფელი საკუთრება, მისი დიდი სიმდიდრე. ხასიათიანი კაცი ცხოვრებაში გამარჯვებულია. ხასიათის სისუფთავესა და სიმაღლეში არის დიდი ძალა. მათ მიჰყვება ხალხი, მათ ხალხი პატივს სცემს“.** ხასიათიანმა ადამიანმა ამქვეყნიურ ცხოვრებაში შეიძლება ვერ მოიპოვოს სიმდიდრე, მაგრამ უთუოდ დაიმსახურებს დიდ პატივისცემასა და დიდებას. „არსებობს ხასიათი, რომელიც სიძნელეების დროს განიცდის განვითარებას და, პირიქით, კარგ პირობებში — იღუპება“. სიძნელეები და ხანდახან მარცხი უფრო კარგად აყალიბებს ადამიანის ხასიათს, ვიდრე წარმატებები. წარმატების მისაღწევად ადამიანს უნდა გააჩნდეს შრომისა და შრომისმოყვარეობის



**სტალინი მსოფლიოში ის ერთადერთი და განუმეორებელი პიროვნებაა, რომელშიც თავმოყრილია წარმატებისთვის საჭირო ყველა ნიშან-თვისება და სწორედ ამ ფაქტით აიხსნება მისი ფენომენი**

უნარი (თავი — IV). ერთნი შრომობენ, რომ დაკავებული იყვნენ საქმით, ზოგნი — მატერიალური კეთილდღეობისათვის, ზოგნი — დიდებისათვის, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთათვის შრომა მოთხოვნილებაა, შრომის გარეშე მათი არსებობა აზრს კარგავს (მაგ., **მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი** — საუკეთესო მაგალითია შრომისადმი დაუოკებელი სწრაფვისა).

სიზარმაცე ცოცხლად დასამარების ტოლფასია. ზარმაცი ადამიანი უფლისა და საზოგადოებისათვის ისეთივე უსარგებლოა, როგორც მიცვალებული, რომელიც ვერ მონაწილეობს ცხოვრების ცვლილებებსა და მოთხოვნებში. სმაილსის უკვდავ შრომაში განხილული და შეფასებულია სხვა თვისებებიც, რომელიც ადამიანს უნდა ჰქონდეს იმისათვის, რომ შეძლოს საკუთარ თავზე გამარჯვება (თავი V-XIX).

1. პირველ ყოვლისა, ადამიანს ცხოვრებაში უნდა ჰქონდეს მიზანი და მიზანსწრაფვა;
2. დაბრკოლებების გადალახვის უნარი, ამისათვის საჭიროა, რომ ადამიანი იყოს მამაცი, შეუპოვარი, უდრეკი;
3. ღირსეული საქციელი ყველა შემთხვევაში აუცილებელია. ადამიანი შეიცნობა და ფასდება იმის მიხედვით, როგორ იქცევა ის საშიშროებისა და განსაცდელის დროს. უნდა შეეძლოს თავშეკავება, მოთმინება და საკუთარი თავის მართვა;
4. სულგრძელობა აუცილებელი პირობაა გამარჯვებისათვის;
5. უნდა იყოს მორწმუნე ღვთისა;
6. მაღალი ზნეობა, პატიოსნება და სინდისი მაღალ შეფასებას იმსახურებს;
7. სამართლიანობა და სიმართლის მოყვარეობა;
8. მოვალეობის განცდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება;
9. გულწრფელობა საუკეთესო თვისებაა;
10. ძლიერი ნებისყოფა, სულიერი მდგრადობა, სულიერი მხნეობა აუცილებელი პირობაა;
11. გონიერება, საკითხში ღრმად წვდომის ნიჭი და, აქედან გამომდინარე, ლოგიკური ანალიზისა და სინთეზის უნარი;
12. თანდაყოლილი კეთილშობილება და თავაზიანობა. ადამიანებთან ურთიერთობაში სიფრთხილე და წინდახედულება;
13. ადამიანს უნდა ჰქონდეს რაიმე ხელობა და თავის დარგში იყოს მაღალპროფესიონალი;
14. პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სკოლას.

იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს ეს თვისებები არ აქვს, დიდი სურვილისა და შრომის შედეგად შეიძლება მისი გამომუშავება.

სმაილსი თავის კლასიკურ ოთხტომეულში, მსოფლიოს ისტორიაში შესულ გამოჩე-



თინათინ ბარამიძე

ნილ პიროვნებებსა და ისტორიულ პირებზე, საკმაოდ ვრცელ მასალაზე, ადამიანის ხასიათისა და ზნეობრივი მახასიათებლების შესწავლისა და დაკვირვების საფუძველზე ასკვნის:

ისტორიაში შესულ გამოჩენილ პიროვნებებს ზემოაღნიშნული თვისებებიდან შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე მახასიათებელი და არის კიდეც ამის მაგალითები (**ჰერბერტ სპენსერი, სენეკა, გოეთე, ვაშინგტონი** და სხვ.), მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ამ პიროვნებებშიც მოიძებნოს რაიმე ნეგატიური შტრიხი. მაგ., მიქელანჯელო, რომელიც არნახულ შრომისმოყვარეობასა და მრავალმხრივ ნიჭთან ერთად, გამოირჩეოდა თავშეუკავებლობითა და სიფიცხით. **ლეონარდო და ვინჩიც** არ იყო მოკლებული ნეგატიურ თვისებებს და ა.შ.

ფილოსოფოსი სმაილსი ვერ ასახელებს ისეთ გამორჩეულ პიროვნებას, რომელსაც ჰქონდა ხასიათის თუ ზნეობის ყველა დადებითი თვისება ერთობლივად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი პიროვნება არ არსებობს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოჩენილ პირებსა და მათი ხასიათისა თუ ზნეობის ნიშან-თვისებების შესწავლის საფუძველზე სმაილსმა დაადგინა კიდევ ერთი კანონზომიერება.

მსოფლიოს გამოჩენილ პირებს ახასიათებს ოთხი ძირითადი ნიშან-თვისება:

**1. მაღალპროფესიონალიზმი;**
**2. მაღალი ზნეობა;**
**3. დიდი სასიცოცხლო ენერგია;**
**4. მაგნეტიზმი.**

ეს 4 ნიშანი არის მათი გამაერთიანებელი, მთავარი მახასიათებელი. ამ 4 ნიშანს ისინი აჰყავს გამორჩეულის რანგში. ამ ნიშან-თვისების მქონე პიროვნებები კანონზომიერად რჩებიან ისტორიაში და მყარად იმკვიდრებენ ადგილს.

**ჩვენი კვლევის თანახმად, სმაილსის სწავლების გათვალისწინებით, სტალინი მსოფლიოში ის ერთადერთი და განუმეორებელი პიროვნებაა, რომელშიც თავმოყრილია წარმატებისთვის საჭირო ყველა ნიშან-თვისება და სწორედ ამ ფაქტით აიხსნება მისი პიროვნების ფენომენი.**

რაც შეეხება სმაილსის მიერ დადგენილ მეორე პოსტულატს, **გამოჩენილ ადამიანებში 4 ნიშან-თვისების არსებობის კანონზომიერების შესახებ — მაღალ პროფესიონალიზმს, ზნეობას, დიდი სასიცოცხლო ენერგიასა და მაგნეტიზმს — სტალინი ამის ნათელი მაგალითია, რაშიც სტალინის მიმართ რადიკალურად განწყობილი ოპონენტებიც დაგვეთანხმებიან და სწორედ ამით აიხსნება სტალინის ფენომენის საიდუმლო.**

ჩვენი ვერსიის დასადასტურებლად საკმარისია, თვალი გადავავლოთ სტალინის მიმართ ცნობილი პიროვნებების გამონათქვამებსა და დახასიათებებს. (იხ. გრიგოლ ონიანის მრავალტომეული „სტალინი“ 2016-2017).

ვეყრდნობით რა გამოჩენილი პიროვნებების გამონათქვამებს (უელსი, რომენ როლანი, პიკასო, რუზველტი, ჩერჩილი, ჟუკოვი და სხვ.) სტალინის პიროვნების მიმართ, ჩვენი ვერსიის საილუსტრაციოდ მოგვყავს ინგლისის პრემიერ-მინისტრ **უინსტონ ჩერჩილის** მიერ წარმოთქმული სიტყვა ინგლისის ლორდთა პალატაში **1958 წლის დეკემბერში** სტალინის დაბადების 80 წლისთავზე. ნათარგმნია „ბრიტანეთის ყოველწლიური ენციკლოპედიიდან“:

* „ბატონებო! თუ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ვიცო- ▶

**ის სახელმწიფო, რომელიც შედგება ხალხისგან, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ პირადი სიამოვნებისთვის და, საკუთარი უზადრუკი „მე“-ს გარდა, სხვა მიზანი არ აქვს, განწირულია დასაღუპავად. ადამიანის დანიშნულება მოღვაწეობაა, ამისთვის უნდა ჰქონდეს ის ნიშან-თვისებები, რომლებიც დაეხმარება მტკიცე ხასიათის გამომუშავებაში, პიროვნულ ჩამოყალიბებასა და წარმატების მიღწევაში.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დეთ და ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით — გამოჩენილი პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი. დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა სტალინივით ურყევი მხედართმთავარი. სტალინი იყო გამოჩენილი ადამიანი, რომელიც ზუსტად შეეფერებოდა იმ სასტიკ პერიოდს... სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, მკაცრი და ულმობელი ადამიანი, როგორც საქმეში, ასევე საუბრისას, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა, მეც კი, ინგლისის პარლამენტში აღზრდილს, მიჭირდა. სტალინს, უპირველეს ყოვლისა, ჰქონდა იუმორისა და სარკაზმის, საკუთარი აზრის ზუსტად გამოხატვის, აგრეთვე, ნათქვამის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი. ცნობილია, რომ სტალინი თავის მოხსენებებს თვითონ წერდა. მის ნაწერებში ყოველთვის იგრძნობოდა ვეებერთელა ძალა და ენერგია, რომელიც მას განუმეორებელს ხდიდა სხვა ქვეყნისა და ხალხის ხელმძღვანელებს შორის. სტალინის გავლენა ხალხზე განუმეორებელი იყო. იგი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. როდესაც ის შემოდიოდა იალტის საკონფერენციო დარბაზში, ჩვენ, ყველანი, თითქოს გვიბრძანესო ვდგებოდით და, როგორადაც არ უნდა გაგიკვირდეთ — რატომღაც ხელები შარვლის ნაკეცების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული. გაკვირვებას იწვევდა მისი ღრმად გააზრებული ლოგიკური სიბრძნე. იგი იყო გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი. როგორც კრიტიკულ, ასევე საზეიმო ვითარებაში, იგი იყო თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს ჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს. იგი იყო უჩვეულოდ რთული პიროვნება. მან შექმნა და დაიქვემდებარა უდიდესი იმპერია. **ის იყო ადამიანი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრების საშუალებით უსწორდებოდა. იგი ჩვენც კი, ვისაც იმპერიალისტებს გვეძახდა, გვაიძულებდა, იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა. სტალინი იყო მსოფლიოში ერთადერთი, უდიდესი და განუმეორებელი დიქტატორი. მან ჩაიბარა ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი.**

არა, რაც უნდა ილაპარაკონ მასზე, ასეთ ადამიანს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს“.

* ახლა მოვუსმინოთ **პაბლო პიკასოს:**

**„სტალინში იყო იულიუს კეისრის ჭკუა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა და ციცერონის ისტორიული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, მასში ისინი, ყველანი იყვნენ და, თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება“.**

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისტორიაში გამორჩეულ პიროვნებებს შორის სტალინი არის ერთადერთი და განუმეორებელი, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება.

მეორე მხრივ, არსებობს ცნობილი ბიოგრაფის, **პლუტარქეს,** მოსაზრება, რომ არ შეიძლება ადამიანის შეფასება მხოლოდ დადებითი მხრიდან, რადგან, „როგორც პორტრეტში ვხვდებით შუქ-ჩრდილებს, ასევე ადამიანის ბიოგრაფიაშიც არსებობს შუქ-ჩრდილები“. საბოლოო ჯამში, ადამიანი უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, რა გააკეთა მან ცხოვრებაში.

სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო 1899 წელს, რისთვისაც იგი თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხეს. იგი პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა — ლენინის იდეების გამტარებელი.

**1) 1919 წლის 27 ნოემბერს, როგორც პარტიის ერთგული სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე, დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.**

**2) 1922 წლის აპრილში ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე სტალინი აირჩიეს ცკ-ის გენერალურ მდივნად და ამ პოსტზე იმყოფებოდა 30 წლის განმავლობაში.**

**3) კპ სრულიად საკავშირო ყრილობაზე (1922 წ. დეკემბერი) გამოვიდა მოხსენებით სსრ კავშირის შექმნის შესახებ;**

**ლენინის გარდაცვალების შემდეგ:**

**4) სოციალიზმის მშენებლობა დაიწყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციით, რაც უზრუნველყოფდა ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, სახელმწიფო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ რეკონსტუქციას, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას;**

**5) სტალინმა განახორციელა კულტურის რევოლუცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სოციალიზმის გამარჯვებისათვის;**

**6) დიდი სამამულო ომის პერიოდში სტალინი ხელმძღვანელობდა პარტიის მრავალმხრივ მოღვაწეობას ქვეყანაში თავდაცვის განმტკიცებასა და ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტური იაპონიის განადგურების საქმეში;**

**7) როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური მონაწილეობდა სამი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის — კონფერენციებში;**

**8) ომის შემდგომ პერიოდში მთავრობამ, სტალინის ხელმძღვანელობით, დიდი მუშაობა გასწია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების, სოციალისტური სისტემის განმტკიცების, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისთვის მსოფლიოში.**

სტალინს მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის (1939 წ.), სსრკ-ის გმირის (1945 წ.), სსრკ-ის მარშლის (1943 წ.), სსრკ-ის გენერალისიმუსის (1945 წ.) წოდებები. დაჯილდოვებულია ლენინის — 3, „გამარჯვების“ — 2, წითელი დროშის — 3 , სუოროვის I ხარისხის ორდენებით, აგრეთვე, მედლებით. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე (ქართული ენციკლოპედია, ტომი IX, გვ. 545-547). დაინტერესებული პირი ამოიკითხავს, რომ სტალინის ბიოგრაფიაში, პიროვნებასა და მოღვაწეობაში სჭარბობს სინათლე...

დიახ, სტალინზე, როგორც ამოუხსნელ ფენომენზე, მრავალი წლის განმავლობაში ბევრი ფიქრობდა მსოფლიოში, ის უყვარდათ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში ხომ თითქმის ყველას, საქართველოში კი... ჩვენში ზოგიერთისგან, მათ შორის, ისტორიკოსებისგანაც, მოისმენთ: „სტალინს საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებია“-ო.

რა აქვს გაკეთებული სტალინს საქართველოსთვის? — ამ შეკითხვას ამომწურავად უპასუხებს ცნობილი პუბლიცისტი, ყოფილი დისიდენტი და პოლიტპატიმარი — კიტა ბუაჩიძე საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე გრიგოლ ონიანისადმი მიწერილ ღია ბარათში (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1994 წ. 18 მარტი):

**1. ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ შერისხული და დასამარებული ილია ჭავჭავაძე სტალინმა გაუცოცხლა ქართველ ხალხს;**

**2. სტალინის „მეფური“ თხოვნით, საფრანგეთის პრეზიდენტმა, გენერალმა დე გოლმა დაუბრუნა საქართველოს ეროვნული საგანძური;**

**3. ოცდაათიანი წლების დასაწყისში სტალინი არ მოერიდა, გამოეცათ მოსკოვში ემიგრანტ კონსტანტინე ბალმონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“; სტალინმა თარგმნა „პოემის“ ერთი სტროფი, რომელიც, შალვა ნუცუბიძის შეუმცდარი აზრით, ყველაზე ახლოს არის პოეტურად და აზრობრივად რუსთაველთან;**

**4. სტალინმა კრემლშიც შეინარჩუნა ქართული სახელი — კობა.**

**5. სტალინი არც ქართულ აქცენტს ფარავდა, შეეძლო კი, თითქმის ნახევარი საუკუნე რუსეთში მცხოვრებს, რომ „ეარტისტა“ ცოტათი მაინც, არ გაუჭირდებოდა, ემეტყველა „ველიკორუსივით“...**

**6. ომის მიწურულს, როცა საბჭოთა ჯარი ბერლინს გარს შემოერტყა, სტალინმა უბრძანა ბერიას, მოენახა ერთი ქართველი მეომარი, რომელიც რუსთან ერთად გამარჯვების დროშას აღმართავდა რაიხსტაგის გუმბათზე... დიახ, ასე აქცია გმირად სტალინმა წალენჯიხელი მელიტონ ქანთარია.**

ის, რომ სტალინი სიტყვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ცნობილი იყო ყველასთვის. ვსარგებლობ შემთხვევით და მომყავს ისტორიული ეპიზოდი ცნობილი რუსი მწერლის — **ალექსანდრე ჩაკოვსკის** რომანიდან „დაუმთავრებელი პორტრეტი“ (ჟურნალი „Знамя“, Москва, 1983 г. №3):

„1945 წლის ყირიმის კონფერენციის დამთავრების შემდეგ ფიზიკურად და გონებრივად გადაღლილმა რუზველტმა ცუდად იგრძნო თავი და პირადი ექიმის რჩევით, თავის ამალასთან ერთად, პირდაპირ გაემგზავრა ნიუ-იორკის მახლობლად, პრეზიდენტის აგარაკზე. პირველ რიგში, მას გადაწყვეტილი ჰქონდა, სტალინისათვის მიეწერა წერილი. რუზველტი ამაყობდა იმით, რომ სტალინთან, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო უხეში, პირდაპირი, უკომპრომისო და ამასთანავე, რბილი და მომხიბლავიც კი, რომელსაც მოკავშირეებს შორის ერთსულოვნების შესანარჩუნებლად დათმობაზეც შეეძლო წასულიყო, სერიოზული საპირისპირო მოსაზრებების მიუხედავად, აეწყო მეგობრული და ნდობით აღსავსე დამოკიდებულება.

რუზველტს კარგად ესმოდა, რომ კონფერენციაზე სტალინის დემარში იყო არა უბრალო გაღიზიანების შედეგი, არამედ შეურაცხყოფაზე პასუხი, რომელიც მიაყენეს არა მხოლოდ მას, არამედ, საბჭოთა კავშირს.წერილი ისე უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომ მოსალოდნელი კონფლიქტი — ნოლზე ყოფილიყო დაყვანილი. აგარაკზე ყოფნისას პრეზიდენტს, ფაქტობრივად, არ დაუსვენია. იგი უმეტეს დროს თავის სამუშაო კაბინეტში ატარებდა. წერდა სტალინისათვის განკუთვნილ წერილს, წერდა და ხევდა, მსახური ვერ აუდიოდა ხელნაწერების გადაყრას, რუზველტი ფიქრობდა, რომ ვრცელი წერილი სტალინს არ მოეწონებოდა და ვერც მოიცლიდა მის წასაკითხად და, გაითვალისწინა რა, რომ სტალინს აქვს სტრიქონებს შორის აზრის ამოკითხვის უნარი, ბოლოს და ბოლოს, დაამთავრა წერილის წერა, რომლის საბოლოო ვარიანტი შეიცავდა მხოლოდ ნახევარ გვერდს. პრეზიდენტმა რუზველტმა შვებით ამოისუნთქა და ბედნიერმა დატოვა თავისი სამუშაო ოთახი.

რომანის ფინალში აღწერილია, რომ აგარაკზე ყოფნისას რუზველტი დროდადრო პოზირებდა ერთ აბეზარ მხატვართან და ერთ-ერთი პოზირებისას, ყველასთვის მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი სიკვდილი იყო წამიერი და დიდებული, მისი პორტრეტი დაუმთავრებელი დარჩა. აქედანვე გამომდინარეობს რომანის სათაურიც „დაუმთავრებელი პორტრეტი“.

**თინათინ ბარამიძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**P.S. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ტექსტში მოყვანილი გამონათქვამები სტალინის პიროვნებაზე ეკუთვნის სტალინის პოლიტიკურ ოპონენტებს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნება სტალინის გულშემატკივრების, მისი მიმდევრების გამონათქვამები.**



სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი თეირანის კონფერენციაზე 1943 წელს

## პაბლო პიკასო:
## სტალინში იყო იულიუს კეისრის ჭკუა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა, ციცერონის ისტორიული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, მასში ისინი, ყველანი იყვნენ და, თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება



სტალინი და რუზველტი

აშშ-ის საიდუმლო ციხეები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დემოკრატიის შუქურა“ აშშ, რომელსაც დემოკრატიული ღირებულებების, კერძოდ, ადამიანის უფლებების დარღვევაში არაერთი ქვეყანა დაუდანაშაულებია, ამ საბაბით შეჭრილა კიდეც სხვადასხვა სახელმწიფოში და დაუმხია კანონიერი ხელისუფლება, ფეხქვეშ თელავს ადამიანის უფლებების კონვენციას და მის საიდუმლო ციხეებში არამხოლოდ სასტიკად აწამებენ, არამედ კლავენ კიდეც ადამიანებს.


ცსს-ს დირექტორი ჯინა ჰასპელი

**ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებების მრავალჯერ დარღვევაში დაადანაშაულა ლიტვა და რუმინეთი. სასამართლოს დადგენილების მიხედვით, ლიტვისა და რუმინეთის ხელისუფლებებს ჰქონდათ მონაცემები იმის შესახებ, რომ ამ ქვეყნებში არსებულ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ. ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ ვილნიუსსა და ბუქარესტს დააკისრა ფულადი კომპენსაციების გადახდა დაზარალებულთათვის, აგრეთვე, დაავალდებულა გამოძიების ჩატარება დამნაშავე თანამდებობის პირებისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება სახელმწიფოებისთვის აუცილებელია.**

# «დემოკრატიის შუქურა» ფეხქვეშ თელავს ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენციას

## ლიტვასა და პოლონეთში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეებში სასტიკად აწამებენ ადამიანებს, არადა, სწორედ ეს ქვეყნები გვიკიჟინებენ დემოკრატიული ფასეულობების დაცვას

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა ორ მსგავს საქმეზე, რომლებიც დაკავშირებულია წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) საიდუმლო ციხეებში ლიტვასა და რუმინეთში. სასამართლომ დამნაშავედ ცნო ეს სახელმწიფოები ცსს საიდუმლო პროგრამებში მონაწილეობასა და ადამიანის უფლებების მრავალრიცხოვან დარღვევაში.

ლიტვის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა საუდის არაბეთში დაბადებულმა, მოქალაქეობის არმქონე **ზაინ ალ-აბიდინ მუჰამად ჰუსეინმა**, რომელიც უფრო ცნობილია, როგორც **აბუ ზუბეიდა.** მეორე სარჩელი რუმინეთის წინააღმდეგ აღძრულია საუდის არაბეთის მოქალაქის, **აბდ ალ-რაჰიმ ალ-ნაშირის,** სახელით. ზუბეიდას ბრალი ედებოდა აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს ტერაქტების ორგანიზებაში. თავის მხრივ, ალ-ნაშირი მონაწილეობდა ამერიკული საესკადრო ნაღმოსნის, „კოულის“, ბორტზე მოწყობილ ტერაქტში 2000 წელს. ორივე პირი ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ წევრია. აბუ ზუბეიდამ განაცხადა, რომ 2008 წლის თებერვლიდან 2006 წლის მარტამდე გამომწყვდეული ჰყავდათ ცსს-ის საიდუმლო ციხეში ლიტვის ტერიტორიაზე. ალ-ნაშირი კი ამბობს, რომ ის 2003 წლის სექტემბრიდან 2005 წლის ნოემბრამდე იმყოფებოდა რუმინეთის გამოსასწორებელ კოლონია Detention Site Black-ში.

სტრასბურგის ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს დადგენილებით, რუმინეთი და ლიტვა დადანაშაულებულნი არიან ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის **მესამე მუხლის** დარღვევაში. ამ მუხლით აკრძალულია წამება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყნის მთავრობებმა სათანადოდ არ გამოიძიეს პატიმრების უფლებების დარღვევები, თანაც იცოდნენ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო პროგრამაში პატიმრების ჩართვა ამ პირების მიმართ სასტიკ მოპყრობას გამოიწვევდა. ამასთანავე, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ლიტვამ და რუმინეთმა დაარღვიეს ადამიანის უფლებების კონვენციის შემდეგი მუხლები: **„თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების“; „კერძო ცხოვრების პატივისცემის უფლების“ და „სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების“.**

ევროპული სასამართლოს დადგენილებაში გამოყენებული იყო მონაცემები 2014 წელს გამოქვეყნებული აშშ-ის სენატის მოხსენებიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ ტერორიზმში ბრალდებულების მიმართ იყენებდნენ დაკითხვების ე.წ. სტანდარტულ მეთოდებს, მათ შორის, **ერთკაციან საკანში მოთავსებას, ფეხებზე ბორკილების დადებას, ძლიერი ხმაურითა და სინათლით ზემოქმედებას.** ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ რუმინეთი და ლიტვა დაავალდებულა, 100 ათასი და 130 ათასი ევრო გადაუხადოს, შესაბამისად, ალ ნაშირსა და აბუ ზუბეიდას ზიანის ასანაზღაურებლად.

ამასთანავე, სასამართლო ვერ შეხვდა (არ შეახვედრეს) მოსარჩელეებს, რომლებიც ამჟამად კუბაზე არსებულ გუანტანამოს ციხეში იმყოფებიან. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის ალ-ნაშირისა და აბუ ზუბეიდას პირველი გამარჯვება საერთაშორისო ინსტანციებში. 2014 წელს მათ მოიგეს ანალოგიური საქმე პოლონეთის წინააღმდეგ.

### „წამების გამართლება“

აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის — **ჯონ კირიაკუს** თქმით, ნაწამები აბუ ზუბეიდა არასოდეს ყოფილა „ალ ქაიდას“ წევრი. მას ჰქონდა ინფორმაცია, რომლის მოპოვებასაც ცდილობდნენ აშშ-ის სპეცსამსახურის თანამშრომლები

„აბუ ზუბეიდა ცუდი ადამიანია. ის ეხმარებოდა „ალ ქაიდას“ მატერიალურ-ტექნიკური საკითხების მოგვარებაში, ქმნიდა „ბოევიკების“ მოსამზადებელ ბანაკებს ავღანეთის სამხრეთში და ხელმძღვანელობდა მათ, მაგრამ ზუბეიდა არასოდეს ყოფილა მესამე პირი „ალ ქაიდაში“, — განაცხადა კირიაკუმ RT-ს ეთერში. მან აღნიშნა, რომ **აბუ ზუბეიდა ერთი თვის განმავლობაში 83-ჯერ აწამეს წყლის გამოყენებით,** ამასთანავე, თავი რამდენჯერმე მიარტყმევინეს კედელზე. ჯონ კირიაკუს თქმით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ორმა უშტატო ფსიქოლოგმა — **ჯეიმს მიტჩელმა** და **ბრუს ჯესენმა**, რომლებიც პატიმრების დაკითხვისას იყენებდნენ წამების სასტიკ მეთოდებს, თავიანთ მოქმედებას პირადი გამდიდრების მიზნით




ამართლებდნენ.

„მათ 100 მლნ დოლარზე მეტი გამოიმუშავეს იმ მონაცემებით, რომლებიც იყო გამოძიების ფედერალური ბიუროს ანგარიშებში. ეს მონაცემები მიტჩელმა და ჯესენმა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს გადასცეს და განაცხადეს, რომ ისინი წამების მეთოდების გამოყენებით მოიპოვეს. მათ შტაბ-ბინას უპატაკეს: **„ხედავთ, ზუბეიდამ ეს მნიშვნელოვანი მონაცემები გათქვა. ეს ნიშნავს, რომ წამება მუშაობს“.**

მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილი იყო“, — დაასკვნა კირიაკუმ.

### „დამატებითი შემოწმებები“

ლიტვამ და რუმინეთმა უნდა შეასრულონ ადამიანის უფლებათა სასამართლოს დადგენილება ალ-ნაშირისა და აბუ ზუბეიდას საქმეებზე. ორივე სახელმწიფოში უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმეები წამების ფაქტებზე, ჩატარდეს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს დამნაშავეებს. პი-

## მარიონეტულ ქვეყნებში შექმნილ აშშ-ის საიდუმლო ციხეებშიც ისევე აწამებენ ადამიანებს, როგორც გუანტანამოსა და აბუ გრეიბში. აი ეს მიიღეს პოლონეთმა და ლიტვამ «დემოკრატიული» დასავლეთისგან


გუანტანამო


აბუ გრეიბი

რებს, რომელთა მიმართაც გამოყენებული იყო სასტიკი მეთოდები ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ან სხვა სპეცსამსახურების თანამშრომელთა მხრიდან, აქვთ უფლება, მიმართონ ადამიანის უფლებათა დაცვის გაეროს კომიტეტს, რომელსაც შეუძლია ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება. ეს გამოიწვევს ადამიანის უფლებების დაცვის დამატებთი შემოწმებას ამ ქვეყნებში და განხილვას გაეროს გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოზე.

ბევრი ექსპერტის აზრით, ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, იმაზე მიუთითებს, რომ, პოლიტიზებულობის მიუხედავად, ამ ინსტიტუტმა შეძლო, მოეკვლია ფაქტები და გამოეტანა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც, ფაქტობრივად, ეწინააღმდეგება იმ დოკუმენტებს, რომლებსაც იღებდნენ აშშ-ში უკანონო ზომების აღსაკვეთად. ამიტომ სულაც არ არის გამორიცხული, ადამიანის უფლებების დარღვევაზე გაეროში გაიმართოს მოსმენები, მათ შორის, აშშ-ში ადამიანის უფლებების დარღვევებზე. ▶

**საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის — „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ შექმნის იდეა 1993 წელს გაჩნდა, მაგრამ შესაბამის შეთანხმებას მხოლოდ 2000 წლის 12 სექტემბერს მოაწერეს ხელი რუსეთმა, ირანმა და ინდოეთმა, რატიფიკაცია კი 2002 წელს მოხდა. 2005 წელს პროექტს შეუერთდა აზერბაიჯანი. მოგვიანებით „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ შეთანხმებას შეუერთდა 10-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის: სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი. მათგან უმეტესობას აქვს პრეტენზია სატრანზიტო ფუნქციების შესრულებაზე.**

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვილნიუსის პასუხი

ლიტვის პრეზიდენტმა **დალია გრიბაუსკაიტემ** განაცხადა, რომ სასამართლოს ვერდიქტმა დააზარალა ქვეყნის რეპუტაცია. „ქვეყანამ ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებით უნდა შეასრულოს სასამართლოს გადაწვეტილება“, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ლიტვამ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება. ამისთვის მას 90 დღე აქვს.

პირველი ცნობები აშშ-ის საიდუმლო ციხეებზე 2005 წელს გაჩნდა პრესაში. იმხანად პოლონეთის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფდა მის ტერიტორიაზე ასეთი ციხის არსებობას, მაგრამ 2008 წელს პოლონეთის პროკურატურის გამოძიებით დადგინდა, რომ პოლონეთში საიდუმლო ციხეში აწამებდნენ იემენის მოქალაქე **ვალიდ მოჰამად ბინ ატაშს** — 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზებაში ბრალდებულს, საუდის არაბეთის მოქალაქე **აბდ ალ რაჰიმ ალ-ნასირის** — 2000 წელს იემენში ნალმოსან „კოულზე“ ტერაქტის ორგანიზატორს, საუდის არაბეთში დაბადებულ **აბუ ზუბეიდას.**

აშშ-ის მიერ განხორციელებული წამების საქმეები გამომზეურდება მას შემდეგ, რაც **ჯინა ჰასპელი**, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი 2018 წლის 17 მაისიდან, წარდგება სენატის წინაშე, სადაც განხილული იქნება ტაილანდში აშშ-ის საიდუმლო ციხის, აგრეთვე, დაკითხვისას ეჭვმიტანილთა წამების ამსახველი ვიდეო და აუდიოჩანაწერების განადგურების საკითხები. სასტიკი მეთოდებით დაკითხვებს ატარებდნენ აფრიკაშიც — ჰასპელის ქვეშევრდომები დაჰკითხავდნენ ყველას: კაცებს, ქალებს, ბავშვებსაც კი.

11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ **ბუშის** ადმინისტრაციის იდეოლოგია ძირფესვიანად შეიცვალა, წამება ოფიციალურ დოქტრინად იქცა. პრეზიდენტი ხშირად ამბობდა, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო კანონები აქტუალური აღარ არის, რადგან დაიწყო ახალი ომი, ომი ტერორიზმთან.

თავისი შავი საქმეები რომ გაემართლებინა, ცსს-ს წარმომადგენელმა **ჯონათან ფრედმანმა** განაცხადა: **„მთავარია, პატიმარი არ მოკვდეს. თუ მოკვდა — თქვენ რაღაც არასწორად გააკეთეთ“.**

გუანტანამოში კი გამომწყვდეული ჰყავდათ მამაკაცები და ბავშვები, რომლებიც ბუშის „ანტიისლამისტური რეიდისას“ დაიჭირეს. ბუში მათ „ცუდებს შორის ყველაზე ცუდებს“ უწოდებდა. როგორც აღნიშნავს ლოურენს უილკერსონი — სახელმწიფო მდივან **კოლინ პაუელის**, პრეზიდენტ **ბუშის**, ვიცეპრეზიდენტ **დიკ ჩეინისა** და თავდაცვის მინისტრ **დონალდ რასმსფელდის** შტაბის უფროსი, ყველამ იცოდა, რომ გუანტანამოს პატიმრების უმრავლესობა უდანაშაულო იყო, მაგრამ მათ პოლიტიკური მიზეზებით არ ათავისუფლებდნენ. ამასთანავე, ამ ციხის პატიმრებს სასტიკად აწამებდნენ, სცემდნენ, ხმაურის საშუალებით არ აძლევდნენ დაძინების საშუალებას, აცხოვრებდნენ ანტისანიტარიაში და სხვ.

წამების სასტიკი მეთოდებითაა განთქმული ბაღდადთან ახლოს მდებარე ციხე „აბუ-გრეიბი“, რომელშიც ცემა, სექსუალური დამცირება, სიკვდილით დასჯის მუქარა და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა მეთოდები ჩვეულებრივი ამბავი იყო. ადამიანებს აიძულებდნენ, დაეძინათ სველ, ნესტიან კამერებში ულეიბოდ. ეხოხათ მუხლებზე სრულიად შიშვლებს; აიძულებდნენ ეყეფათ, დაეგმოთ ისლამი, ეჭამათ ღორის ხორცი და ა.შ.

როდესაც „აბუ გრეიბის“ შესახებ შეიტყო საზოგადოებამ, ჩატარდა გამოძიება და გაირკვა, რომ იქ გამომწყვდეული პატიმრების დაახლოებით 90% უდანაშაულო იყო.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხე Salt Pit-ში (ავღანეთი) **გალ რაჰმანის** დაღუპვამ გამოამზეურა ბევრი საიდუმლო ციხე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ციხეებში ზოგი პატიმრები ჯაჭვით ჰყავდათ დაბმული და დასასტიკად აწამებდნენ.

2002 წელს ერთ-ერთ ასეთ ციხეს — Detentron Central Green-ს ხელმძღვანელობდა **ჯინა ჰასპელი**, ცსს-ის ამჟამინდელი შეფი, სწორედ მისი ბრძანებით გაანადგურეს წამების ამსახველი უამრავი ვიდეომასალა.

როგორც ხედავთ, **„დემოკრატიის შუქურა“ აშშ, რომელსაც დემოკრატიული ღირებულებების, კერძოდ, ადამიანის უფლებების დარღვევაში არაერთი ქვეყანა დაუდანაშაულებია, ამ საბაბით შეჭრილა კიდეც სხვადასხვა სახელმწიფოში და დაუმხია კანონიერი ხელისუფლება, თვითონ ფეხებქვეშ თელავს ადამიანის უფლებების კონვენციას და მის საიდუმლო ციხეებში არამხოლოდ სასტიკად აწამებენ, არამედ კლავენ კიდეც ადამიანებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ანალოგიური რამ ხდება ლიტვასა და პოლონეთში. არადა სწორედ ეს ქვეყნები გვიყიჟინებენ დასავლეთთან ინტეგრაციას, დემოკრატიული ღირებულებების, კერძოდ, ადამიანის უფლებების დაცვას. აშშ ამ ქვეყნებს თავისი ბოროტი მიზნების მისაღწევად იყენებს — ლიტვასა და პოლონეთში შექმნილ აშშ-ის საიდუმლო ციხეებშიც ისევე აწამებენ, როგორც გუანტანამოსა და აბუ გრეიბში. აი ეს მიიღეს პოლონეთმა და ლიტვამ „დემოკრატიული“ დასავლეთისგან.**

**ცნობისთვის: 2014 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ გუანტანამოს ციხიდან სამი პატიმარი საქართველოში გამოგზავნა. პენტაგონის ინფორმაციით, ციხე სულ 5-მა მსჯავრდებულმა დატოვა, მათგან 2 სლოვაკეთში გადაიყვანეს. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ შეერთებული შტატები აფასებს იმ მხარდაჭერას, რომელსაც ის მეგობრებისა და მოკავშირეებისგან იღებს. გუანტანამოს ციხიდან საქართველოში 3 პატიმარი 2010 წელსაც გამოგზავნეს. 2009 წლის 21 იანვარს ბარაკ ობამამ ციხის დახურვის ბრძანებას ხელი მოაწერა, მაგრამ, კონგრესის უარის გამო, გუანტანამო დღესაც არ არის დახურული.**

# იტალია — ევროზონის მესაფლავე?

**იტალიის პრეზიდენტმა სერჯო მატარელამ, როგორც იქნა, შეძლო, მოეძებნა გამოსავალი პოლიტიკური კრიზისიდან, რომელიც საპარლამენტო არჩევნებიდან 88-ე დღეს დასრულდა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებით. ახალ მთავრობას უხელმძღვანელებს „მოძრაობა 5 ვარსკვლავისა“ და პარტია „ლიგის“ კანდიდატი, იურისტი ჯუზეპე კონტე.**



მატარელამ ორჯერ გასცა ახალი მთავრობის შექმნის მანდატი, მაგრამ კონტეს პირველი მცდელობა ახალი კაბინეტის შექმნაზე თვითონვე დაბლოკა. „ლიგას“ სურდა, ეკონომიკის მინისტრად დაენიშნათ 81 წლის ეკონომისტი **პაოლო სავონა**, მაგრამ მატარელასთვის მიუღებელი იყო მისი თვალსაზრისი საერთო ევროპულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე. იტალიის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, შეექმნა ე.წ. ტექნიკური კაბინეტი, რომლის ჩამოყალიბებაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილ მაღალჩინოსან **კარლო კოტარელის** დაავალა, მაგრამ მას არ ჰქონდა პარლამენტის მხარდაჭერა, რაც ქვეყნის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნამდე მიიყვანდა. მოგვიანებით კოტრელიმ უარი თქვა მანდატზე, კონტე კი დათანხმდა, ჩამოეყალიბებინა მთავრობის ახალი კაბინეტი.

## იტალიის ახალი მთავრობა

**იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი იქნება ევროპის საკითხების ყოფილი მინისტრი ენცო მოავერო -მილანეზი. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს დაიკავებს „ლიგის“ ფედერალური მდივანი მატეო სალვინი, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, იბრძოლებს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ.**

„მოძრაობა 5 ვარსკვლავის“ ლიდერი **ლუიჯი დი მაიო** უხელმძღვანელებს შრომისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტროს სათავეში ჩადგება პროფესორი **ჯოვანი ტრია.**

ეკონომისტი **პაოლო სავონა**, რომლის ეკონომიკის მინისტრად დანიშვნაზე უარი თქვა პრეზიდენტმა, დაიკავებს ევროკავშირის საქმეების მინისტრის პოსტს. თავდაცვის მინისტრის პოსტს ჩაიბარებს **ელიზაბეტა ტრენტა.**

**მიუხედავად იმისა, რომ იტალიის პრეზიდენტმა დაუთმო ევროკავშირის მაღალჩინოსნებს და ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრის პოსტზე არ დანიშნა პაოლო სავონა, ექსპერტთა აზრით, იტალიის ახალი მთავრობა, ძირითადად, მაინც ევროსკეპტიკოსებისგან შედგება. იტალიის ახალი მთავრობა სკეპტიკურად იქნება განწყობილი ერთიანი ევროპის პოლიტიკის მიმართ და არ მოერიდება კონფრონტაციას ბრიუსელთან ბევრ საკითხში, მათ შორის, ევროზონის მართვის, ევროკავშირის ბიუჯეტის, რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებისა და მიგრანტების საკითხებში.**

აღსანიშნავია, რომ იტალიის სახელმწიფო ვალი მშპ-ს 131,8%-ია. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპაში საბერძნეთის შემდეგ. ევროკავშირი მტკიცედ დგას პოზიციაზე, რომ იტალიამ საბიუჯეტო პრობლემები ხარჯების შემცირების, ლიბერალური საბაზრო რეფორმებითა და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციით მოაგვაროს. იტალია კი მოითხოვს, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ჩამოწეროს 250 მლრდ ევროს ვალი. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროზე უარის თქმით და ეროვნულ ვალუტაზე გადასვლით იმუქრება. ეს კი ამჟამინდელ ვითარებაში სრულიად რეალურია. და, თუ ასე მოხდა, ეს იქნება ევროზონის დასასრულის დასაწყისი.

# საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი «ჩრდილოეთი-სამხრეთი»

**საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი (სსდ) „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ — ეს არის მგზავრებისა და ტვირთების ტრანსპორტირების მულტიმოდალური (ტვირთების ან მგზავრების ტრანსპორტირება ერთი ხელშეკრულების მიხედვით, მაგრამ სრულდება ტრანსპორტის არანაკლებ 2 სახეობით) მარშრუტი სანქტ-პეტერბურგიდან ბუმბაის (ინდოეთი) პორტამდე.**



შექმნა საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნისა „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ ინიცირებული იყო რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ კასპიისპირეთის რეგიონის ქვეყნებთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების მიზნით. ამასთანავე, ეს დერეფანი გააუმჯობესებს რუსეთის კავშირებს სპარსეთის ყურისა და სამხრეთი აზიის ქვეყნებთან და უზრუნველყოფს ევრაზიული სატრანზიტო გადაზიდვების განვითარებას სამამულო სატრანსპორტო კომუნიკაციებით.

საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის — „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ შექმნის იდეა 1993 წელს გაჩნდა, მაგრამ შესაბამის შეთანხმებას მხოლოდ 2000 წლის 12 სექტემბერს მოაწერეს ხელი რუსეთმა, ირანმა და ინდოეთმა, რატიფიკაცია კი 2002 წელს მოხდა. 2005 წელს პროექტს შეუერთდა აზერბაიჯანი.

მოგვიანებით, „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ შეთანხმებას შეუერთდა 10-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის: **სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი.** მათგან უმრავლესობას აქვს პრეტენზია სატრანზიტო ფუნქციების შესრულებაზე.

იდეის რეალიზაცია დამუხრუჭდა დასავლეთის მიერ ირანისთვის სანქციების დაწესების გამო. 2016 წლის იანვარში, სანქციების მოხსნის შემდეგ, პროექტმა კვლავ შეიძინა აქტუალურობა.

საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის, „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ სიგრძე 7 ათას კმ-ზე მეტია.

ამ დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის სარკინიგზო მაგისტრალზეა, რომელზეც გადის მარშრუტის სახმელეთო ნაწილის 35-53%. რუსეთისთვის ამ დერეფნის ძირითადი მიმართულებაა ბუსლოვსკაია-სანქტ-პეტერბურგი-მოსკოვი-რიაზანი-კოჩეტოვკა-რტიშჩევო-სარატოვი-ვოლგოგრადი-ასტრახანი. ამ მიმართულების სიგრძე 2 513 კმ-ია.

საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ სამხრეთი ნაწილი ითვალისწინებს სარკინიგზო მაგისტრალებით ტვირთების გადაზიდვის რამდენიმე მარშრუტს:

**ტრანსკასპიის მარშრუტი:** რუსეთის საზღვაო პორტების — ასტრახანის, ოლიას, მახაჭყალისა და ირანის პორტების — ბენდერ-ენზელის, ნოუშეჰრისა და ბენდერ-ამირაბადის — გამოყენებით; **დერეფნის დასავლეთის შტო** — პირდაპირი სარკინიგზო ხაზი სასაზღვრო გადასასვლელების გავლით — სამური (რუსეთი) — იალამა (აზერბაიჯანი), შემდეგ — ირანის სარკინიგზო ქსელი სასაზღვრო გადასასვლელების ასტარა (აზერბაიჯანი) — ასტარას (ირანი) გავლით; დერეფნის **აღმოსავლეთი განშტოება** — ეს არის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა ყაზახეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის გავლით ირანის სარკინიგზო ქსელამდე გასვლით: სერაქსი (თურქმენეთი) — სერაქსი (ირანი) და აკიაილა (თურქმენეთი) — ინჩე ბურუნი (ირანი). ამჟამად სწორედ ზემოაღნიშნული მარშრუტით მოძრაობს რუსეთის საექსპორტო ტვირთები აზერბაიჯანსა და ირანში.

საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის „ჩრდილოეთი — სამხრეთის“ ძირითადი უპირატესობა სხვა მარშრუტებთან (კერძოდ, საზღვაო მარშრუტთან სუეცის არხის გავლით) არის ის, რომ ორჯერ და მეტად მცირდება ტვირთების ტრანსპორტირების მანძილი, აგრეთვე, კონტეინერების გადაზიდვის ფასი საზღვაო ტრანსპორტირებასთან შედარებით.

„ჩრდილოეთი — სამხრეთის“ განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსპლუატაციაში ახალი სარკინიგზო ხაზის — რეშტ-ასტარა (ირანი) — ასტარას (აზერბაიჯანი) — შესვლას, რომელიც ბოლო რგოლია „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ დასავლეთის განშტოებაში.

ამჟამად რუსეთი, აზერბაიჯანი და ირანი ერთობლივად მუშაობენ მულტიმოდალურ მარშრუტზე — ინდოეთი-აზერბაიჯანი-რუსეთი, რომლითაც იგეგმება კონტეინერებში მოთავსებული ტვირთების რეგულარულად გადაზიდვა. ტვირთები უნდა გადაიზიდოს ირანისა და ინდოეთის პორტებამდე სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებით, შემდეგ კი აზერბაიჯანსა და რუსეთის სარკინიგზო გზებით დანიშნულების ბოლო პუნქტებამდე.

**P.S. სამწუხაროა, რომ საქართველო დასავლელი სტრატეგიული პარტნიორების შიშით უარს ამბობს ამ პროექტში მონაწილეობაზე. ეს ხომ უამრავ თანხას მოუტანს ჩვენს ქვეყანას და წაადგება ეკონომიკას...**

გვერდები მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზოგიერთი მოწმობით, პეტრე და პავლე მოციქულები ერთ დღეს აღესრულნენ მოწამეობრივად; სხვა გადმოცემით — პეტრეს ჯვარცმიდან ერთი წლის შემდეგ პავლეს მახვილით მოჰკვეთეს თავი. მათი ხსენების დღესასწაული იმთავადვე დაწესდა, ხოლო დაკრძალვის ადგილი წმინდა იყო პირველქრისტეანთათვის. IV საუკუნეში წმ. მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა რომსა და კონსტანტინეპოლში აღმართა ტაძრები წმ. მოციქულთა — პეტრესა და პავლეს სახელზე.**

# 4 ივნისიდან 11 ივლისამდე პეტრე-პავლობის მარხვაა

**წმიდა მამათა მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებით, მართლმადიდებლურ ეკლესიაში წლის განმავლობაში ოთხი ძირითადი მარხვაა. ესენია: აღდგომის, პეტრე-პავლობის, მარიამობისა და შობის; ასევე ხუთი ერთდღიანი მარხვა: ნათლისღების წინა დღე 5(18) იანვარი, წმიდა იოანე ნათლისმცემლის დღე 29 აგვისტო (11 სექტემბერი), ჯვართამაღლების დღე 14(27) სექტემბერი და ყოველი ოთხშაბათი-პარასკევი. ოთხშაბათი იმიტომ, რომ ამ დღეს გაყიდა იუდამ მაცხოვარი და ზეთის ხილის მთაზე შეიპყრეს; პარასკევს კი ჯვარზე გააკრეს. სწორედ ამ მძიმე დღეების აღსანიშნავად ვმარხულობთ. პეტრე-პავლობის მარხვა დიდმარხვასა და ვნების შვიდეულთან შედარებით მსუბუქი მარხვაა.**



ქრისტეს მოწაფეთა და მოციქულთა შორის მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივს მიაგებს წმ. პეტრესა და პავლეს, რომლებიც, წმ. მღვდელთმთავარ იოანე ოქროპირის სიტყვით, „აღემატნენ ყოველგვარ ბუნებას მიწიერსა და ზეციურს. ისინი, ხორცში მყოფნი, აღემატნენ ანგელოსებს... პეტრე — დასაბამი მართლმადიდებლობისა, დიდებული მღვდელთმსახური ეკლესიისა... პავლე — ჭეშმარიტების ჩინებული მქადაგებელი, ქრისტეს ეკლესიის ფხიზელი მესაჭე“.

წმიდა მოციქულები პეტრე და პავლე თავიანთი მოწამეობრივი ღვაწლით გამორჩეული არიან სხვა მოციქულებისგან, ეკლესია მათ იხსენიებს, როგორც „თავთა მოციქულთა“. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა გზით მოვიდნენ ქრისტესთან (კერძოდ, პეტრე თორმეტ მოწაფეთაგანია, ხოლო პავლე ქრისტიანთა ყოფილი მდევნელი სავლე, სასწაულებრივი მოქცევის შემდეგ გახდა უფლის უდიდესი მსახური), მათ შორის არის ერთგვარი სულიერი სიახლოვე, მსგავსება.

წმ. მოციქული პეტრე, უფროსი ძმა ანდრია მოციქულისა, უფლის ხმობამდე გალილეის ტბასთან მდებარე პატარა ქალაქ ბეთსაიდის მეთევზე იყო და სვიმონი ერქვა. როდესაც პეტრე და ანდრია ბადეს აგდებდნენ გალილეის ტბაში, ტბის ნაპირთან მათ ქრისტე გამოეცხადა. „მოვედით და შემომიდექით მე და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა“ (მათე 4.19) — უფლის ამ სიტყვებმა, გადაწყვიტა მათი ბედი.

ჰქონდა რა უდიდესი რწმენა და ერთგულება, პეტრე გაკადნიერდა და სთხოვა უფალს: „უფალო... მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა“. უფლის სიტყვისაებრ, იგი ნავიდან წყალზე გადმოვიდა და, როგორც ხმელეთზე, ისე გაეშურა მისკენ, მაგრამ, შეეჭვდა რა ღვთიურ შეწევნაში, დანთქმა იწყო. „უფალო, მიხსენ მე!“ — შესძახა პეტრემ. და ღვთიურმა მოძღვარმაც არ დაახანა, გაუწოდა ხელი და კვლავ ნავში აიყვანა.

თაბორის მთაზე პეტრე, იაკობსა და იოანესთან ერთად, გახდა მოწმე უფლის ღვთიური დიდებისა. დაინახა რა უფალი იესო ქრისტე ფერიცვალებით და ესმა ხმა მამაღმერთისა: **„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“, პეტრემ განიხარა და წამოიძახა „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაი“** *(მარკოზი 9.2-7) (იკოსი 5).*

მოახლოვდა რა ჟამი მაცხოვრის მხსნელი ვნებებისა, იერუსალიმისაკენ მიმავალი დაეკითხა იგი თავის მოწაფეებს „თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ პეტრემ, მოციქულთა შორის პირველმა, სთქვა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაი“, რისთვისაც უფლისაგან უდიდესი შექება დაიმსახურა: „ნეტარ ხარ შენ, სვიმონ ბარ იონა“ („იონა“ ქართულად მტრედს ნიშნავს, „ბარ“ კი „ძე“-ს, ხოლო მტრედი სულიწმიდის სახეა, ანუ პეტრეს მადლმოსილების გამო სულიწმიდის ძე, შვილობილი უწოდა)... **„შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“** (მათე 16.15-18) (იკოსი 1.7). პეტრესეულმა აღმსარებლობამ თავისი გამოძახილი ჰპოვა მოციქულთა სადღესასწაულო საკითხავებში:

**იმპერატორ ნერონის ბრძანებით, პეტრე მოციქული შეიპყრეს და სასჯელად ჯვარცმა გამოუტანეს. სთვლიდა რა უღირსად თავს, მიეღო ისეთივე მოწამეობრივი სიკვდილი, როგორიც მის მასწავლებელს ერგო, ჯალათებს სთხოვდა, თავქვე ეცვათ ჯვარს, რათა სიკვდილის დროსაც დაეხარა თავი უფლისთვის.**

**„ქრისტემან შენ პირველი გამოგაჩინა, პეტრე, და საფუძველად სარწმუნოებასა გვირგვინოსან-გყო შენ“.** საიდუმლო სერობის უწინარეს სიონის ქორედზე მაცხოვარმა **„...მოიღო არდაგი და მოირტყა იგი... და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა“. „უფალო, შენ დამბანა ფერხთა ჩემთა?“ — შეეწინააღმდეგა პეტრე. „უკუეთუ არა დაგბანნე შენ ფერხნი, არა გაქუნდეს შენ ნაწილი ჩემ თანა“,** — განუმარტა მას უფალმა. და მაშინ პეტრემ, შიშითა და სიყვარულით მოცულმა, შეჰღაღადა: **„უფალო ნუ ხოლო ფერხნი ჩემნი, არამედ ხელნიცა და თავიცა ჩემი“** *(იოანე 13.3-9) (იკოსი 9).*

მოწაფეთაგან მხოლოდ ერთი, პეტრე, გამოექომაგა უფალს გეთსიმანიის ბაღში. იქ მოსულთაგან ერთს მახვილით მოჰკვეთა ყური, მაგრამ მაცხოვარმა მისი სიკვდილის მსურველი ყურმოჭრილი განკურნა. პეტრე გაჰყვა უფალს კაიაფა მღვდელთმთავრის სახლამდის, მასთან ერთად შევიდა ეზოში და იდგა იქ ცეცხლთან და თბებოდა. მაგრამ სამგზის უარჰყო თავისი ღვთიური მოძღვარი, როცა მასაც ხელს ადებდნენ, როგორც ქრისტეს მოწაფეს: „არა ვიცი კაცი ესე“ *(მარკოზი 14.71)* და როდესაც მესამედ უარჰყოფდა, დაინახა რომ უფალი უმზერდა მას და „განვიდა გარე და ტიროდა მწარედ“ *(ლუკა 22.62) (კონდაკი 10).* ერთ-ერთი წმინდა გადმოცემით, მას მერე ყოველთვის, როცა კი მოესმოდა მამლის ყივილი, პეტრე თურმე მწარედ ატირდებოდა ხოლმე, მომგონებელი თავისი ამ შეცოდებისა, ისე, რომ ხშირი ტირილისაგან თვალის უპესთან სისხლიანი ღარები გაუჩნდა.

**მაგრამ არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელსაც გულმოწყალე უფალი არ ჰპატიებდეს. პეტრეს სინანული იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ აღდგომის შემდეგ უფალი პირველს, მოწაფეთა შორის, პეტრეს ეჩვენა. სამჯერ დაეკითხა პეტრეს: „გიყუარ მეა?“ და სამგზის მიიღო პასუხად: „ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ“** *(იოანე 21.15-16).* **იესო ქრისტემ აღადგინა იგი მოციქულის ღირსებაში, ანდო მას დასამწყსველად თავისი სიტყვიერნი ცხოვარნი.**

უფლის ამაღლების შემდგომ, პეტრეს რჩევისაებრ, ათორმეტ მოციქულთა შორის შეირაცხა მატათა *(საქმე 1.15-26).* ამას შემდეგ, სულთმოფენობისას, პეტრე პირველქრისტიანული თემის წინამძღოლი შეიქმნა. **მკვდრეთით აღმდგარი უფლის მგზნებარე სიყვარულით შთაგონებული მისი ქადაგება იმდენად ცხოველსმყოფელი ზემოქმედების იყო, რომ ათასობით ადამიანს მოაქცევდა ქრისტეს სარწმუნოებაში.** საოცარი რამ ხდებოდა: მკვდრები აღსდგებოდნენ, მკელობელნი და განრღვეულნი განიკურნებოდნენ, დანაშაულში მხილებულნი სულს განუტევებდნენ...

**იმპერატორ ნერონის ბრძანებით, პეტრე მოციქული შეიპყრეს და სასჯელად ჯვარცმა გამოუტანეს. სთვლიდა რა უღირსად თავს, მიეღო ისეთივე მოწამეობრივი სიკვდილი, როგორიც მის მასწავლებელს ერგო, ჯალათებს სთხოვდა, თავქვე ეცვათ ჯვარს, რათა სიკვდილის დროსაც დაეხარა თავი უფლისთვის.**

## წმ. მოციქული პავლე

წარმოშობით ბენიამენის ტომიდან იყო, კილიკიის ქ. ტარსუში დაბადებული, თავის მოციქულებრივ მსახურებამდე სავლე ერქვა. მღვდელთმთავართა დავალებით იგი ქ. დამასკოში გაემგზავრა, რათა იქ თავშეფარებული ქრისტიანეები საწამებელად გადაეცა. გზაში ერთი რამ შეემთხვა, რამაც ძირეულად შეცვალა მისი ბედი.

როდესაც დამასკოს მიუახლოვდა, იგი ღვთიურმა ნათელმა მოიცვა. ყველა მისი მხლებელი მხედარი ცხენებიდან ჩამოვარდა, სავლეს კი ჩაესმა ხმა: „საულ, საულ, რაისა მდევნი მე?“. სავლე დაეკითხა: „შენ ვინ ხარ, უფალო?“ ხმამ უპასუხა: „მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი. არამედ აღდეგ და დადეგ ფერხთა შენთა ზედა, რამეთუ ამისთვის გეჩვენე შენ, რათა დაგადგინო შენ მსახურად და მოწამედ, რომელი იხილე და რომელი გიჩუენო შენ“ *(საქმე 26.13-16).*

სავლეს მხლებლებს ხმა ესმოდათ, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდნენ. ღვთიური ნათებისაგან სავლე დაბრმავდა და უფლის მითითებით გაეშურა დამასკოსაკენ, სადაც სამოცდაათიდან ერთ-ერთი მოციქული — ანანია ცხოვრობდა. ამ უკანასკნელს კი გამოცხადებით ემცნო, რომ უნდა ენახა სავლე და მისთვის თვალი აეხილა. აღასრულა რა უფლისგან ბრძანებული, სავლეს მყის აეხილა თვალი, ნათელიღო და ეწოდა სახელად პავლე.

პავლემ იწყო მქადაგებლობა იუდეველებსა და წარმართებში, მონებსა და თავისუფლებს შორის, ამისთვის ხანგრძლივი მოგზაურობები უწევდა და წარგზავნიდა ეპისტოლეებს პალესტინასა და მცირე აზიაში, საბერძნეთსა და იტალიაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე.

დაახლოებით 51 წელს პავლე მონაწილეობდა მოციქულთა კრებაში იერუსალიმს. შეკრებილთ პავლემ ამცნო: „რავდენი ქმნა ღმერთმან ნიშები და სასწაულები წარმართთა შორის მათ მიერ“ *(საქმე 15.12).*

მრავალი ჭირთათმენა უწევდა წმ. პავლეს. „ჰურიათაგან ხუთ გზის ორმეოცსა ერთი მოკლებული ცემა მოვიღე. სამგზის კუერთხითა ვიეც, ერთ გზის ქვითა განვიტვინე, სამგზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსკრულთა შინა დავყავ“ *(2 კორინთელთა 11.24-25) (იკოსი 10).* ფილიპპესა და მაკედონიაში ქადაგებისას საპყრობილეში ჩააგდეს, მაგრამ ბორკილდადებულიც განაგრძობდა ლოცვასა და ღვთის დიდებას. შუაღამისას მოხდა სასწაული — „დიდი ძრვა იყო, კარნი განეხვნეს და ბორკილები დასცვივდა“ *(საქმე 16.22-26) (იკოსი 8).*

როდესაც მესამე მისიონერული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა, პავლე მოციქული კესარიაში შეხვდა აგაბო წინასწარმეტყველს, რომელმაც აიღო პავლეს სარტყელი, **„შეიკრა ხელნი და ფერხნი და სთქვა: ამას იტყვის სული წმიდა: კაცი, რომლისა არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსალიემს“** *(საქმე 21.11) (კონდაკი 11).* ამით აგაბომ ბორკილები უწინასწარმეტყველა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტარებინა. იერუსალიმში დაბრუნებისას პავლე მოციქული შეიპყრეს და, როგორც რომის მოქალაქე, კეისრის სამსჯავროზე გაგზავნეს.

აქ, რომში, წმ. პავლე პეტრე მოციქულს შეეწეოდა მოქალაქეთა ქრისტიანულ განათლებაში. ერთ-ერთი გადმოცემით, პავლემ მოაქცია იმპერატორის მეღვინეთუხუცესი, რისთვისაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. წმინდა მოციქულმა სიცოცხლე თავისკვეთით დაასრულა.

**ზოგიერთი მოწმობით, პეტრე და პავლე მოციქულები ერთ დღეს აღესრულნენ მოწამეობრივად; სხვა გადმოცემით — პეტრეს ჯვარცმიდან ერთი წლის შემდეგ პავლეს მახვილით მოჰკვეთეს თავი. მათი ხსენების დღესასწაული იმთავადვე დაწესდა, ხოლო დაკრძალვის ადგილი წმინდა იყო პირველქრისტეანთათვის. IV საუკუნეში წმ. მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა რომსა და კონსტანტინეპოლში აღმართა ტაძრები წმ. მოციქულთა — პეტრესა და პავლეს სახელზე.**

**აქ, რომში, წმ. პავლე პეტრე მოციქულს შეეწეოდა მოქალაქეთა ქრისტიანულ განათლებაში. ერთ-ერთი გადმოცემით, პავლემ მოაქცია იმპერატორის მეღვინეთუხუცესი, რისთვისაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. წმინდა მოციქულმა სიცოცხლე თავისკვეთით დაასრულა**

**„ჩემთვის მთავარია მოვლენა. რეპორტაჟის ჟანრში უფრო ვმუშაობ, პირობითად ასე შემიძლია ვთქვა. მაინცდამაინც ლამაზი კადრის გადაღება მთავარი არ ყოფილა ჩემი საქმიანობის პერიოდში, რომელიც გაჯერებული იყო კონტრასტული მოვლენებით – ომითა და დაზავებით, დროებითი ამოსუნთქვით თუ სიდუხჭირით. ასეთ ვითარებაში ვერ დაიწყებ ლამაზი კადრის ძებნას და ვერ იქნები ესთეტიკაზე ორიენტირებული“.**

**ბადრი ვადაჭკორია:**

# ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, საქართველოს ეძღვნება

**ცნობილ ფოტოხელოვანს, ბადრი ვადაჭკორიას, მიანიჭეს ფოტოხელოვნების დარგში პირველი ქართველი ფოტოგრაფის — ალექსანდრე როინაშვილის სახელობის პრესტიჟული პრემია: ფოტოგრაფიის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისთვის.**

— ემოცია უსაზღვრო იყო, მადლიერების გრძნობა — უდიდესი, **იწყებს სერიოზულად და იუმორს გაურევს შთაბეჭდილებათა ნაკადში იმ ფაქტის გამო, რომ პრემიის მინიჭების ცერემონიაში ერთი ახალი დეტალი შეიტანეს ლაურეატის დაფნის გვირგვინით შემკობა,** პირველად მე დამადგეს ეს გვირგვინი. **მიხეილ გიორგაძემ**, მინისტრმა, შეასრულა ეს რიტუალი.

გასული მაისი განსაკუთრებული გამოდგა ბადრი ვადაჭკორიასთვის „გვირგვინოსნობას“ მისი პერსონალური გამოფენაც დაემატა, სახელწოდებით „ბადრი ვადაჭკორიას მეოცე საუკუნე“.

— მხოლოდ 65 ფოტოსურათი გამოიფინა, აზუსტებს რესპონდენტი, — 1983-1993 წლების ნამუშევრები, რომლებიც ასე თუ ისე ასახავს ჩემი საქმიანობის ათწლიან პერიოდს. დამთვალიერებელთა შთაბეჭდილებებით თუ ვიმსჯელებთ, საინტერესო გამოდგა.

**— ესთეტიკა თუ არსი — ფოტოგრაფისთვის რომელია უპირატესი?**

— ჩემთვის მთავარია მოვლენა. რეპორტაჟის ჟანრში უფრო ვმუშაობ, პირობითად ასე შემიძლია ვთქვა. მაინცდამაინც ლამაზი კადრის გადაღება მთავარი არ ყოფილა ჩემი საქმიანობის პერიოდში, რომელიც გაჯერებული იყო კონტრასტული მოვლენებით ომითა და დაზავებით, დროებითი ამოსუნთქვით თუ სიდუხჭირით. ასეთ ვითარებაში ვერ დაიწყებ ლამაზი კადრის ძებნას და ვერ იქნები ესთეტიკაზე ორიენტირებული.

მაგრამ, როცა საიმიჯო ალბომებზე დავიწყე მუშაობა პირველი ასეთ ალბომი „საქართველო“ 2003 წელს გამოვიდა აქცენტები შეიცვალა: საჭირო შეიქნა კარგის ლამაზად ჩვენება, ქანდაკებასავით უნდა შემოუარო და საუკეთესო კუთხიდან აღბეჭდო. მოკლედ, ყველაფრის ერთობლიობაა ჩვენს ხელობაში გასათვალისწინებელი არსი, დინამიკა, ესთეტიკა და ა.შ.

და, საერთოდ, ფოტოგრაფია ისტორიის აღბეჭდვის ყველაზე კარგი საშუალებაა. ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ფოტოშოპში მუშაობა, ხელოვნური გალამაზება, თუმცა მიღებულია, მაგრამ ლამაზ ქალს ფერუმარილი არ უნდა ეტყობოდეს. ნებისმიერი სიმახინჯის გალამაზება შეიძლება.

ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია დადგმითი ფოტოგრაფია.

**— არადა, საერთაშორისო ფოტოსივრცეში სწორედ ასეთ კადრებს აქვს დიდი გასავალი.**

— სამწუხაროდ, ასეა. მაგრამ სიყალბე საბოლოოდ მაინც მჟღავნდება, ისევე, როგორც „ფეიკები“ ინფორმაციულ სივრცეში.

**— წამში აღბეჭდილ მოვლენას თავი დავანებოთ... ბუნების რეალობა და ფოტოხელოვნება იდეალში როგორ უკავშირდება ერთმანეთს? როგორ ახერხებთ ისე გადაიღოთ ლანდშაფტის კადრი, რომ მაყურებელს სული აუფორიაქოს?**

— ეს ქვეცნობიერად ხდება. ვერ აგიხსნით, თითქოს ბუნება თვითონ მიკარნახებს ხელიდან არ გავუშვა შესაძლებლობა, რომელიც გაელვებასავითაა: წამში აკუმულირებული განუმეორებელი ვარიანტი.

დღე არ გავა, ასეთი კადრები რომ არ გადავიღო, თუნდაც ჩემი ქუჩა სოლოლაკში, ხოლო საქართველოში ამ თემას ვერასოდეს ამოწურავ.

**— ეს ზღვა კოვზით არ დაილევა.**

— ზუსტად ასეა. თანაც ბუნების ერთგვარ სტატიკაში მისი შევსებისა და დინამიკის მუდმივობა საოცრად არის შერწყმული. განსაკუთრებით სასიამოვნოა, ჩემს ინტერნეტგვერდზე სტუმრობის შემდეგ დამთვალიერებლები, უწინარეს ყოვლისა, საქართველოდან გადახვეწილები მწერენ, რომ თქვენი გადაღებული ფოტოსურათები არის ერთადერთი სინათლე ჩვენი ემიგრანტული ცხოვრების სინამდვილეშიო. მაგალითად, ქალბატონი **თამარ ფანცულაია** მწერს: „გმადლობთ, ბატონო ბადრი, ყოველ დილით ასე რომ გვათბობთ და გვატკბობთ თქვენი ფოტოებით, გვახსენებთ, „ვისი გორისა ვართ“. **ნატო ხუნდაძე** კი მადლობას მიხდის იმის გამო, „რომ საზოგადოებას აცნობთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობასო“. ვარძიაში ნახანძრალი ფრესკების ფოტოებს მოუხდენია მასზე ასეთი შთაბეჭდილება.

ესეც საინტერესოა — სოსანების მინდვრის ფოტოზე: „ბატონო ბადრი, ეს ფოტო ჩემს ბავშვობას და უტკბილეს დედიკოს მახსენებს. იმ დროს ჩვენს ლარნაკში არ ილეოდა ნაკვეთში დედიკოს ხელით დაკრეფილი სოსანები. აქამდე არც კი ვიცოდი, რა ერქვა ამ ყვავილებს“. ხელს აწერს **ანა სიმონიშვილი**.

ეს რეაქცია სულ ახალია.

ასეთი გამოხმაურებები მომდის ამერიკიდან, იტალიიდან, ნოვოსიბირსკიდან, ესპანეთიდან — მსოფლიოს ქვეყნებში გაფანტული თანამემამულეებიდან.

ქუჩაშიც მხვდებიან, მაჩერებენ და თბილ სიტყვებს არ იშურებენ. ეს არის ყველაზე დიდი ჯილდო ჩემთვის. მეც ვიფერებ, როგორც „ვარსკვლავი“ (ეცინება), ხან ერთი ანგელოზივით გოგო ჩამეხვევა, ხან — მეორე და არის ერთი წიოკი.

ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, საქართველოს ეძღვნება, ახალი ალბომიც, რომელზეც ამჟამად ვმუშაობ; უკვე გამოცემული ალბომის გაყიდვიდან შემოსული თანხის დიდი ნაწილი გადაირიცხება ნიკუშა ნატროშვილის სიცოცხლის გადასარჩენად.

საქართველოს საიმიჯო ალბომებში არც ერთი კადრი არ მეორდება. გამოცემა არასოდეს გამიმეორებია, დიდი წარმატებისა და მოთხოვნის მიუხედავად.

ერთ ამბავს მოგიყვებით: სააკაშვილის პრეზიდენტობისას ჩამოიყვანეს 10 (შეიძლება, თორმეტიც, ზუსტად არ ვიცი) ფოტოგრაფი, თითოეულს 50 ათასი ევრო გადაუხადეს, ალბომის გამოცემა კი, საერთო ჯამში, ოფიციალური მონაცემებით, 4 მილიონი ევრო დაჯდა. ყოველგვარი მიკერძოების გარეშე გეტყვით, რომ საქართველომ მიიღო ფოტოპროდუქცია, რომელიც არის ქრესტომათიული მაგალითი იმისა, როგორი არ უნდა იყოს საიმიჯო ალბომი. **გადაფურცლავ ამ ალბომს და შეგექმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო არის მეძავების, ალკოჰოლიკების, სოციალურად დეგრადირებული ადამიანების ქვეყანა. უცხოელებმა ჩაიდეს ფული და კარგად იყავითო. „თავისუფალი შემოქმედების“ წარმომადგენლები იყვნენ, ჩემო ბატონო.**

**— საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში თუ მონაწილეობთ?**

— გუშინ მითხრეს, რომ მალაიზიაში უნდა გაიმართოს ჩემი ფოტონამუშევრების გამოფენა. საერთოდ კი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით ჩემი გამოფენა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გაიმართა.

როგორც ჩანს, კარგ საქმეს ვაკეთებთ, რადგან ყველა ასეთი ღონისძიების მთავარი თემა საქართველოა. მის ღირსეულად წარმოსაჩენად ძალა და უნარი არასოდეს დამიშურებია.

**— ვთქვათ, დაგიკვეთეს ერთი კადრით საქართველოს საიმიჯო ფოტოსურათის შექმნა, რას გადაიღებდით?**

— ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ერთი კადრით, ერთჯერადი ფოტოთი ამის გაკეთება სრულიად შეუძლებელია. მერწმუნეთ, ასეა. ძალიან ძნელია. შეიძლება, კიდეც მაქვს ასეთი ფოტო გადაღებული, მაგრამ არ მიძებნია.

**— ფოტოგრაფების ახალ თაობაში ხედავთ პერსპექტიულ ოსტატებს?**

— რატომაც არა! ჯერ ჩემი თაობის კოლეგებზე ვიტყვი: **შახვალდ აივაზოვი, სერგო ედიშერაშვილი** ხომ არის და არის! ჩემი მოწაფეებიდან (პირობითად) ყველაზე კარგი პეიზაჟისტები არიან **რომან თოლორდავა** და **გიორგი ნიკოლავა.** საერთოდ, ბევრნი არიან კარგები, ძალიან კარგები. ძველებიდან კოტორას ვახსენებდი განსაკუთრებით, ფანტასტიკურ **კოტორაშვილს, ჯემალ კასრაძესაც,** ჩამოთვლა რომ გავაგრძელო, ვინმე გამომრჩება, ამიტომ გავჩერდები. მაგრამ, როგორც ყველა გურული, მეც ტრაბახისგან შორს არ ვარ და ვიტყვი: ყველაზე ტიტულოვანი ფოტოგრაფებს შორის მაინც მე ვარ (იცინის). ყველაფერს არ ჩამოგითვლით, ვიტყვი მხოლოდ, რომ პირველი სახელმწიფო პრემია ჩვენს დარგში მე მივიღე 2003 წელს ფოტოალბომისთვის „საქართველო“.

**იცინის, რადგან საკუთარი თავისადმი იუმორისტული დამოკიდებულებითაც ცნობილი არიან გურულები.**

**ვიცი მე ეს. ისიც ვიცი, რომ, თუ დროზე არ გამოეცლები, ვეღარ შეაჩერებ, ამ ტალღის ქოჩორს, როგორც უბელო ცხენს, თუ ჩააფრინდება ენამახვილი გურული.**

**ამიტომ სასწრაფოდ ვსვამ წერტილს და ვადასტურებ, რომ ბადრი ვადაჭკორიას ესაუბრა**

**არმაზ სანებლიძე**



ბადრი ვადაჭკორია

**«ეს ქვეცნობიერად ხდება. ვერ აგიხსნით, თითქოს ბუნება თვითონ მიკარნახებს, ხელიდან არ გავუშვა შესაძლებლობა, რომელიც გაელვებასავითაა: წამში აკუმულირებული განუმეორებელი ვარიანტი. დღე არ გავა, ასეთი კადრები რომ არ გადავიღო, თუნდაც ჩემი ქუჩა სოლოლაკში, ხოლო საქართველოში ამ თემას ვერასოდეს ამოწურავ»**

**P.S.** როინაშვილის პრემიით დაჯილდოების ცერემონიას ბატონი ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა და ასე მიმართა ბადრის:

**— მივულოცავ ბადრი ვადაჭკორიას, რომელიც არის გენიოსი პიროვნება და გენიოსი ფოტოგრაფი. ერთადერთი კაცია მსოფლიოში, რომლის ვალიც მაქვს და დღემდე ვერ გავისტუმრე. ბადრი კიდევ იზრდება და მინდა, ვუსურვო, რომ ეს იყოს შუადღე მისი შემოქმედების...**

**რა ვალი აქვს ივანიშვილს ვადაჭკორიასი, ვეცადე, მაგრამ ვერ გავარკვიე.**

**ბადრის რომ ვკითხე, გურულებისთვის დამახასიათებელი დიპლომატიურობით (თანაც ამ დარგში ოფიციალური მოღვაწეობის გამოცდილებაც საკმარისად აქვს) მიპასუხა:**

**— ასე ხუმრობს ხოლმე.**



1989 წლის აპრილი



ჩვეული მარშრუტით



აქციაზე...

საკითხავი აი ეს არის...

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეხლანდელს დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონეგახსნილ კაცისაგან“.**

# რა, ჩვენ ილიაზე მეტად გვიყვარს საქართველო, რუსეთს მუშტს რომ ვულერებთ, ვლანძღავთ და ვაგინებთ?!

# ან ერეკლე მეფეზე უკეთესი პატრიოტები ვართ?!

**სირიამ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნო, რისთვისაც ანატოლი ბიბილოვმა სირიის ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა. ის იმედოვნებს, რომ სირიასა და სამხრეთ ოსეთს შორის დიპლომატიური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარება სასარგებლო იქნება ორივე ქვეყნისთვის.**

**„ეს არის იმ იმ შეუქცევადი პროცესის ნაწილი, რომელიც 2008 წელს ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა — რუსეთის ფედერაციამ დაიწყო. დარწმუნებული ვარ, ყოველ წელს სულ უფრო მეტი ქვეყანა გაითვალისწინებს იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელიც ამიერკავკასიაში შეიქმნა“, — აცხადებს ბიბილოვი. საქართველოს ხელისუფლება კი ვერა და ვერ მიხვდა, რომ რუსეთის ლანძღვა-გინება კარგს არაფერს მოუტანს. „ნუ ეძალები წყალდიდსა, უნდა ეძებდე ფონებსო!.. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსო“, — ამ ხალხურ სიბრძნეს ბევრი სიკეთე მოუტანია ქართველი ერისთვის მეტად რთულ პერიოდებში — როცა ძალა არ ჭრიდა, საზრიანობა და მოხერხება აკეთებდა საქვეყნო საქმეს. ამჯერად ილია ჭავჭავაძის რუსეთის სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ილია, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, იქაც ქართულ საქმეს აკეთებდა. რა, ჩვენ ილიაზე მეტად გვიყვარს საქართველო, რუსეთს მუშტს რომ ვულერებთ, ვლანძღავთ და ვაგინებთ?! ან ერეკლე მეფეზე უკეთესი პატრიოტები ვართ?!**

მთელი XIX საუკუნე ისე მიიწურა, რომ საქართველოს პოლიტიკური ტკივილების შესახებ ევროპის საზოგადოებრიობამ თითქმის არაფერი იცოდა. 60-იან წლებში საქართველოს შესახებ რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ნიკო ნიკოლაძემ, 80-იანი წლებიდან საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას ინტენსიურად აცნობდა ევროპელებს ვარლამ ჩერქეზიშვილი, მაგრამ ევროპაში გამოქვეყნებული ორიოდე წერილი საქართველოზე ზღვაში წვეთი იყო.

**ევროპისგან საქართველოს პოლიტიკური იზოლირების გარღვევა პირველად გაზეთმა „საქართველომ“ სცადა.** მალევე ქართული პრობლემის პოპულარიზაციისა და ევროპის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით არჩილ ჯორჯაძემ, გიორგი დეკანოზიშვილმა და მათმა თანამებრძოლებმა პარიზში გამოსცეს გაზეთ „საქართველოს“ ფრანგული დამატება **„ლა ჟეორჟი“**. მასში, „საქართველოდან“ გადაბეჭდილ და ქართულიდან გადათარგმნილ მასალებთან ერთად, ქვეყნდებოდა ფრანგი და სხვა ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების წერილები და გამოხმაურებანი. ევროპის დემოკრატიულმა პრესამ ყურადღება მიაქცია „საქართველოს“, გამოეხმაურა მის გამოსვლას და თანაგრძნობა გამოუცხადა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ევროპულ გამოხმაურებებში განსაკუთრებით ესმებოდა ხაზი ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების კანონიერ სტატუსს, საქართველოს ეროვნული ავტონომიის უფლებრივ-იურიდიულ მხარეს, რომელიც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატიდან გამომდინარეობდა.

გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა მასალები: „როგორ მიეგებნენ „საქართველოს“ გამოსვლას ევროპის პრესა და ევროპული საზოგადო მოღვაწენი. ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში **პიერ კიარომ** გამოაქვეყნა წერილი „ცარიზმი და საქართველო“. გაზეთ „საქართველოს“ გამოსვლას ვრცელი წერილით „ქართველი ერი“ გამოეხმაურა სახელგანთქმული დანიელი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე **გეორგ ბრანდესი**. გაზეთ „საქართველოსა“ და ქართველ ერს თანაგრძნობას უცხადებდა დიდი ფრანგი მეცნიერი, გეოგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე **ელიზე რეკლიუ**. „კარგა ხანი გავიდა უკვე, რაც ერთმა თქვენმა თანამემამულემ და ჩემმა მეგობარმა გამაცნო ქართველი ხალხის მდგომარეობა და საქართველოს ისტორიიდან ზოგიერთი ცნობები, – წერდა ელიზე რეკლიუ „საქართველოს“ რედაქციას. ფრანგი მოღვაწე თავის მეგობარში გულისხმობდა ცნობილ ქართველ ანარქისტს ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელთანაც ორ ათეულ წელზე მეტი ხნის იდეური და სულიერი ახლობლობა აკავშირებდა. „ყოველ ღონისძიებას ვიხმარ და ჩემს ხმას თქვენს პროტესტს შემოვუერთებ“, — აღუთქვამდა წერილის დასასრულს „საქართველოს“ რედაქციას ელიზე რეკლიუ.

გაზეთ „საქართველოს“ ეროვნულ მოთხოვნებს თანაგრძნობით გამოეხმაურნენ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი **ანტიდ ბოიერი**, საფრანგეთის აკადემიის წევრი **ანატოლი ლერუა-ბოლიე**, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი **იორკ პაუელი**, **ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“, რუსი ლიბერალების ორგანო „ოსვობოჟდენიე“.** ფრანგული გაზეთი „ეროპენი“ წერდა, რომ საქართველოს ავტონომიის მოპოვებისათვის ჯერ კიდევ 1892 წელს შეიქმნა „საქართველოს“ თავისუფლების ლიგა, რომლის დაწყებულ საქმეს, გაზეთის აზრით, აგრძელებდა პარიზში დაარსებული ორგანო „ლა ჟეორჟი“.

1907 წელს ქართველი ეროვნულ-პოლიტიკური ძალები შეეცადნენ, საქართველოს ავტონომიის საკითხი ევროპული პოლიტიკური წრეების წინაშე დაესვათ. ამ მოძრაობის ყველაზე დიდი გამოხატულება იყო „საქართველოს“ ხალხის მემორანდუმი, რომელიც მოძრაობის მესვეურებმა წარუდგინეს ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას 1907 წელს. კონფერენცია მოწვეულ იქნა რუსეთის მთავრობის ინიციატივით. რამდენიმე ათასი კაცის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი ვარლამ ჩერქეზიშვილის მეშვეობით მიიღო ლონდონში იმჟამად არსებულმა „საქართველოს დაცვის საზოგადოებამ“, რომელმაც დოკუმენტი გადასცა ჰააგის კონფერენციის მუდმივი ტრიბუნალის წევრ პროფესორ ნისს. ამ უკანასკნელმა მემორანდუმი კონფერენციის მონაწილეებს გააცნო. „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას სთხოვდა: „ჩვენი უფლებები აღდგენილ იქნენ 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გარანტიას იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობისათვის და ეროვნული ავტონომიისათვის“. „მემორანდუმის“ ტექსტი და მის შესახებ ინფორმაციები გამოქვეყნდა ბელგიურ, ჰოლანდიურ, ფრანგულ, ინგლისურ და ამერიკულ პრესაში.

**სამწუხაროდ, ევროპის ყურადღება თანაგრძნობას არ გასცილებია. ჰააგის კონფერენცია ევროპის განიარაღებისა და დიდ სახელმწიფოთა ორ დაჯგუფებას შორის დაძაბულობის ნორმალიზაციის საკითხებით იყო დაკავებული და ქართველი ხალხის ეროვნული სატკივარისათვის არ ეცალა.**

**რამდენიმე თვით ადრე კი, 1906 წლის აპრილში, ილია ჭავჭავაძე, როგორც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წარმომადგენელი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოში აირჩიეს. დემოკრატიულმა პროგრამამ და ილიას კოლორიტულმა პიროვნებამ პეტერბურგის პრესისა და საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ილია ჭავჭავაძისაგან ინტერვიუ აიღეს პეტერბურგის გაზეთებმა. ილიამ საქვეყნოდ განაცხადა, რომ სახელმწიფო საბჭოში მთელი საქართველოსა და ქართველი ხალხის დამცველი იქნებოდა და არა რომელიმე კლასისა.**

„ყველამ იცის, რომ ეხლანდელს დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონეგახსნილ კაცისაგან.

იქნება ამით მოისურვონ, სიტყვა მოგვიჭრან: „კავკასს“ ყოველ ამაში რა საქმე აქვს, რად ესარჩლება ჩაგრულთა და დევნულთაო? ის საქმე აქვს, რაც ყოველ პატიოსანს კაცს, რომელიც ვერ შეიფერებს, ვერ შეიწყნარებს, რომ ერთმა სთელოს და სჩაგროს მეორე — ცალკე კაცი იქნება თუ მთელი კრებული, ან მთელი ერი. ეს ასე რომ არ იყოს, ჩაგრულთა სარჩლი და ქომაგობა რომ უუწმინდაესს მოვალეობად არ იყოს აღიარებული ყოველ პატიოსან და გულმართალ კაცისაგან, მაშინ ხომ ეგრედ წოდებული სომეხთა საქმე ოსმალეთში არ გამოიწვევდა იმ სამართლიანს და პატივსადებს თანაგრძნობას, რომელმაც ქვეყანას, თავისს სასახელოდ, ხმა ამოაღებინა და ამ ხმის სამართლიან რიხისაგან ბევრად ძლიერი ოსმალეთი ყოვლად უძლურ სომეხს შეუშინდა, შეუფრთხდა. ეს ხმა რომ არ ყოფილიყო, ოსმალეთი ისე მალე მოუღებდა ბოლოს სომხობას, როგორც სვავი კურდღელსა: ყლაპად არ ეყოფოდა.

**ერთადერთი მოძღვრებაა კაცთა კრებულის საბედნიეროდ და რომელიც გვასწავლის: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრეო. ეს მცნება ურომლისოდაც ვერა კრებული, ვერა საზოგადოება, ვერა ერი ვერ ჰხეირობს, შესაძლოა, კაცმა დროთა ხელშეწყობით გასთელოს, მოშუშოს, მაგრამ ძირი მაგარი აქვს, როცა იქნება, ამოხეთქავს და თავისას მოითხოვს უნაკლულოდ. თუ ადამიანი თავისს თავს კაცად ჰხადის, სხვაც უნდა კაცად იგულოს, თორემ თვითვე გაიჭყლიტება და გაითელება თავისისავე მოძღვრებისაგან. დრო და ჟამი არავის შეარჩენს უსამართლობას, სხვის ჩაგვრას და თელვას.**

ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჰლახავს ადამიანურს უფლებას თუ რაზმად დაწყობილი კრებული. ორგანვე სამართლიანია მდურვა და ყვედრება, თუკი დათრგუნვილ უფლების აღსადგენად ილვწიან და იბრძვიან. საკვირველი ეს ღვაწება და ბრძოლა კი არ არის ჭკუათამყოფელ კაცისათვის, არამედ უამისობა იქნებოდა, იმიტომ, რომ ლახვა სხვის უფლებისა, მერე იმისთანისა, რომელიც ბუნებითად მინი- ▶

## «დრო და ჟამი არავის შეარჩენს უსამართლობას, სხვის ჩაგვრას და თელვას»



ილია პირველ რიგში — გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან მიღებაზე

# ილია ჭავჭავაძე, როგორც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წარმომადგენელი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოში აირჩიეს. დემოკრატიულმა პროგრამამ და ილიას კოლორიტულმა პიროვნებამ პეტერბურგის პრესისა და საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ილია ჭავჭავაძისაგან ინტერვიუ აიღეს პეტერბურგის გაზეთებმა. ილიამ საქვეყნოდ განაცხადა, რომ სახელმწიფო საბჭოში მთელი საქართველოსა და ქართველი ხალხის დამცველი იქნებოდა და არა რომელიმე კლასისა.

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჭებული აქვს ყოველს ადამიანს, შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყოველგან და ყველასგან**. შენც იყავ და მეც მამყოფე, განა ბუნებური და სამართლიანი სურვილი არ არის".

სწორედ ეს იყო ჩადებული ილია ჭავჭავაძის ეროვნულ და სოციალურ პროგრამაში. მისი ნახევარსაუკუნოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა კარგად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის, მაგრამ განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა იმ ავტორიტეტულ სიტყვას, რომელიც მან მთელი რუსეთის გასაგონად წარმოთქვა **რუსეთის სახელმწიფო საბჭოში, როცა მოითხოვა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს თვითმმართველობა. ილია ჭავჭავაძის მიერ გაცხადებული პოლიტიკური კრედო, შესაძლოა, უდაბნოში მღაღადებლის ხმად დარჩენილიყო სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობისათვის, მაგრამ აქ უკვე თავისი სიტყვა პეტერბურგის დემოკრატიულმა პრესამ თქვა. მან რუსეთის ფართო საზოგადოების ყურამდე მიიტანა ილიას ეროვნული და სოციალური პროგრამა და, ამავე დროს, საქვეყნოდ გამოხატა თავისი სიმპათია დიდი ქართველი მოღვაწის მიმართ.**

პეტერბურგის გაზეთები აღნიშნავდნენ ილია ჭავჭავაძის მტკიცე პოზიციას, მის მიერ გადახდილ მწვავე ბრძოლას სახელმწიფო საბჭოში.

გაზეთი **„პეტერბურგსკი ლისტოკი"** იუწყებოდა, რომ დედაქალაქში სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებზე მთავარი საკამათო საკითხი ყოფილა — მიკუთვნებოდა თუ არა ადგილი სახელმწიფო საბჭოში ბალტიისპირეთს, დონის სამხედრო ოლქსა და კავკასიას, რომლის საჭიროებასაც „დაჟინებით" ითხოვდნენ ამ მხარეთა წარმომადგენლები. **გაზეთი „პეტერბურგსკიე ვედომოსტი" აღნიშნავდა, რომ წინასაარჩევნო კრებების დროს ამ მხრივ ძალიან აქტიურობდა ილია ჭავჭავაძე, რასაც ამაოდ არ ჩაუვლია — მისი დაბეჯითებული მოითხოვდა განაპირა მხარეებისთვის ადგილების მიცემის აუცილებლობის თაობაზე მიღწეულ იქნა.**

ილიას მსგავსად ჩვენც შეგვეძლო, რუსეთის საზოგადოების ყურამდე მიგვეტანა ჩვენი ეროვნული და სოციალური პროგრამა, გამოგვეხატა ჩვენი პოზიცია და კეთილგანწყობა ამ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის მიმართ. ასეთი შანსი არა ერთი გავუშვით ხელიდან. არ გავითვალისწინეთ, რომ რუსეთში ჯერაც არიან საქართველოსა და ქართველებისადმი კეთილგანწყობილი ადამიანები, რომელთა სიტყვასა და აზრს ფასი აქვს თანამემამულეთა თვალში.

ამის ერთ-ერთი დასტურია თუნდაც 2012 წლის ნოემბერში სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში ილიას დაბადებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი კულტურულ-შემეცნებითი ფორუმი. ფორუმის საზეიმო გახსნაზე, საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, სპეციალურმა წარმომადგენელმა, განსაკუთრებულ დავალებათა ელჩმა მიხაილ შვიდკოიმ ფორუმის მონაწილეებს ვლადიმერ პუტინის მისალმება წაუკითხა.

**„ილია ჭავჭავაძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა რუსული კულტურის განვითარებაში, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესანიშნავი ტრადიციის შენარჩუნებასა და გამდიდრებაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აერთიანებდა ჩვენს ხალხებს.**

**მნიშვნელოვანია, რომ რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეები პატივს მიაგებენ მათ წინაპრებს, ცდილობენ კონტაქტების, ადამიანებს შორის გულწრფელი ურთიერთობების გაძლიერებას, ხელს უწყობენ სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტების განვითარებას"**, — ნათქვამია პუტინის მისალმებაში.

ახლახან სირიამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ქვეყნის პირველმა პირებმა და საგარეო უწყებამ ამჯერადაც ყველაფერი რუსეთს დააბრალეს, რუსეთს უძახეს მტერი და ოკუპანტი, რუსეთს შეაწმინდეს ხელი. ჩვენთან ხომ ყველაფერი რუსეთის ბრალია — ისიც, თბილისის მეტროს მემანქანეები რომ გაიფიცნენ; ისიც, ტყიბულის შახტაში ორი მუშა რომ დაიღუპა; ისიც, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი რომ გადადგა; ისიც, რომ გუშინწინ ჩემს მეზობელ ნელის წვიმამ სარეცხი დაუსველა...

და ისიც, მსოფლიოში 1,2 მლრდ ბავშვი სიღარიბის, კონფლიქტის ან დისკრიმინაციის რისკის ქვეშ რომ ცხოვრობს.

ამ ფონზე ნამდვილად მოულოდნელი იყო პრეზიდენტ მარგველაშვილის ინიციატივა ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის თაობაზე. მას განსხვავებული შეფასებები მოჰყვა ქვეყანაშიც და მის საზღვრებს გარეთაც. რადგან 5 წლის განმავლობაში მსგავსი რამ მარგველაშვილს აზრად არ მოსვლია, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა პრეზიდენტის განცხადებას არასერიოზული უწოდეს; ოპოზიციას კი ეჭვი აქვს, რომ გიორგი მარგველაშვილის რუსეთის პირველ პირთან შესაძლო შეხვედრაზე განაცხადი მისი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია.

მაგრამ ყინული მაინც არ დაძრულა, რადგან ძია სემის ნებართვის გარეშე რუსეთისკენ ნაბიჯის გადადგმისთვის ჩვენს ხელისუფალთ გამბედაობა არ ჰყოფნით; ისეთი გამბედაობა, რომელიც ილიასა და მის თანამოაზრეებს, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ქართული საქმის კეთებაში ეხმარებოდა.

სახელმწიფო საბჭოში ილია ჭავჭავაძემ გაბედულად გამოთქვა თავისი აზრი იმ რეპრესიების წინააღმდეგაც, რომლებიც რუსეთის პირველი რევოლუციის დაღმავლობის პერიოდში დაიწყო ქვეყანაში. მანვე მიუთითა, რომ **მხოლოდ განაპირა მხარეების ინტერესთა დაკმაყოფილებას შეეძლო დაემყარებინა ქვეყანაში სიმშვიდე**.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ქართველ სამოციანელთა ძველი თაობის წარმომადგენლები და მათ გარშემო შემოკრებილი უპარტიო პატრიოტთა დასი იმხანად მთელი ქართველი ერის ინტერესების დაცვის ლოზუნგით გამოდიოდნენ, ქართველი ერის ინტერესების და არა პირადი ან უცხო ქვეყნის ინტერესების(!).

„რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის და, რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ნახევარი საუკუნის განმავლობაში არც ერთი აღარ ვიქნებით, სხვები დაიჭერენ ჩვენს ადგილს: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნილი. სანამდის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს-რა. ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, ადრე თუ გვიან დასაცვენი, და ჩვენი მიზეზით რათ უნდა მიადგეს გაჭირვება სამეფოს? არა, ჩვენო დიდებულო მეფევ, ჩვენ, უეჭველია, უნდა ვეახლოთ ყეენს და, რაც მოსავალია, მოგვივიდეს!" (ამონარიდი აკაკი წერეთლის „ბაში აჩუკიდან").

და თუ საქართველო ოდითგან ქართველი ერის „ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნილი", ჩვენო „დიდებულნო ხელისუფალნო", თქვენის მიზეზით რატომ უნდა მიადგეს ზიანი?!

იფიქრეთ ამაზე!

და იმაზეც — შეგიძლიათ, „ეახლოთ ყაენს" და თქვათ: „რაც მოსავალია, მოგვივიდეს!"



რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრები:
ილია ჭავჭავაძე — საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი; მაქსიმ კოვალევსკი — რუსი მეცნიერი, ისტორიკოსი, იურისტი, სიციოლოგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე; ნიკოლოზ ტაგანცევი — იურისტი, კრიმინალისტი, სახელმწიფო მოღვაწე; დიმიტრი ბაგალეი — ისტორიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე; ვიაჩესლავ კუგუშევი — რევოლუციონერი; ალექსანდრე ლაპპო-დანილევსკი — ისტორიკოსი.

**ილია ჭავჭავაძის მიერ გაცხადებული პოლიტიკური კრედო, შესაძლოა, უდაბნოში მღაღადებლის ხმად დარჩენილიყო სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობისთვის, მაგრამ აქ უკვე თავისი სიტყვა პეტერბურგის დემოკრატიულმა პრესამ თქვა. მან რუსეთის ფართო საზოგადოების ყურამდე მიიტანა ილიას ეროვნული და სოციალური პროგრამა და, ამავე დროს, საქვეყნოდ გამოხატა თავისი სიმპათია დიდი ქართველი მოღვაწის მიმართ**

## ილიას ფრაზები

* როგორც ცაკლე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულისთქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტყვი პოეზიაა... იგივე ენაა, მხოლოდ ხორცშეუსხმული, სიტყვით არგანსაზღვრული, სიტყვით არგამორკვეული — იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა — სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენამეტყველობა.

*** ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო. ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.**

* არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი, თუნდ უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია.

*** ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა.**

* განა ყოველი საგანი თვის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ღვთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი? პოლიპი, რომელიც ძლივს აჩენს თავის სულიერობას, ისე ცხადად მოგვითხრობს ღვთის ძლიერებასა, როგორც მზე, ეს ქვეყნის მაცხოვრებელი მნათობი. ინფუზორია, რომელნიც მილიონობით არიან ერთ მუჭა წყალში, ისევე საკვირველნი არიან, როგორც მოძრაობა მედიდურ ცაში მილიონთა პლანეტთა, ერთი მუჭა ლაფის ნაწილთა დაკავშირება ისეთი საკვირველია, როგორც ვარდის მშვენიერების გამოცხადება. არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი, ყოველი საგანი მაღალია თვის კვალობაზეც და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა.

*** ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის; როცა სული ჰყვავის, ხორცი დნება.**

* იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდან მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვერ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე გაკიცხვისა.

*** დამუნათებული, წაყვედრებული კეთილი, ... ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანად.**

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

**ვლადიმერ პუტინი: ილია ჭავჭავაძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა რუსული კულტურის განვითარებაში, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესანიშნავი ტრადიციის შენარჩუნებასა და გამდიდრებაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აერთიანებდა ჩვენს ხალხებს**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ავტომობილი უნდა იყოს აუცილებლად გამართული, ეკოლოგიურად უსაფრთხო; უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება არც ისე რთულია; მუხრუჭი, სანათი ხელსაწყოები, გამონაბოლქვი, ვიზუალური მხარე, მინები მხედველობას არ უნდა ზღუდავდეს. უმთავრესი კომპონენტია მძღოლის უნარები: 17 წლის ახალგაზრდას, რომელსაც არავითარი გამოცდილება არ აქვს, არ უნდა ჰქონდეს უფლება, მართავდეს „ტაქსის“.

# რას გამოიწვევს ახალი რეგულაციები «ტაქსისტებისთვის»

## როგორი უნდა იყოს თბილისის «ტაქსი» და რა უნარებს უნდა ფლობდეს ადამიანი, რომელიც მოქალაქეებს ამ სერვისს შესთავაზებს




**დედაქალაქის მთავრობის სატრანსპორტო პოლიტიკის რეგულირების ერთ-ერთი მიმართულება სატაქსომოტორო სფეროს მოწესრიგებას გულისხმობს. საქართველოს პარლამენტმა სამი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელიც ე.წ. M1 კატეგორიის მსუბუქი ავტომობილებით საზოგადოებრივ-სამგზავრო გადაყვანას დაარეგულირებს. რეფორმის პირველი ეტაპი „ტაქსების“ რეგისტრაციაა, რომელიც ზაფხულში დაიწყება, ხოლო ლიცენზიის ღირებულება 50 ლარი იქნება. მანამდე დედაქალაქის საკრებულომ შესაბამისი აქტები უნდა მიიღოს. ასევე, საკრებულოს აქტში გაიწერება ის პირობა, რომელიც რეფორმის მეორე ეტაპზე, ანუ 2019 წლის ბოლოს ამოქმედდება და შეეხება ავტომობილის ფერს, ერთიან სტანდარტსა და უსაფრთხოების სხვა ნორმებს.**

სფეროს ექსპერტები ამბობენ, რომ, უხეში გათვლებით, მხოლოდ თბილისში 40 000-მდე თვითდასაქმებული „ტაქსისტი“ მოძრაობს, რომლებსაც აქამდე ხელისუფლება არ აკონტროლებდა და არც ბეგრავდა, თუმცა, პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, თბილისის თვითმმართველობას უკვე ლეგიტიმური უფლება აქვს, თამაშის გარკვეული წესები შემოიღოს. რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს თბილისის „ტაქსი“, კანონის დარღვევის შემთხვევაში რა სანქციები ელოდება მათ და დაიბეგრებიან თუ არა ისინი?

აღნიშნულ საკითხზე **„საქართველო და მსოფლიოს“** თბილისის ვიცემერი **მაია ბითაძე** და საავტომობილო სფეროს ექსპერტი **შალვა ოგბაიძე** ესაუბრნენ.



**„ცენტრალური მთავრობისგან გვაქვს მხარდაჭერა, რომელიც დაუბეგრავ სისტემას შეუნარჩუნებს „ტაქსის“ მძღოლებს“**

**მაია ბითაძე**, თბილისის ვიცემერი:

— პარლამენტის შემდგომ ჯერი დედაქალაქის მერიაზეა. საკრებულოს მიერ გამოსაცემ აქტებზე მუშაობა მიმდინარეობს. დაახლოებით 10 დღეში პროექტი საჯარო იქნება და დავიწყებთ განხილვას, რომელშიც ყველა დაინტერესებული პირი ჩაერთვება. საკრებულოს აქტში პირველ ეტაპზე განისაზღვრება, მიმდინარე წლის შემოდგომიდან რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომელსაც სურს, საკუთარი მანქანით „ტაქსის“ მომსახურების სერვისი განაგრძოს. **„ტაქსით“ სარგებლობის ლიცენზიისთვის საჭიროა პირადობის მოწმობა და ერთჯერადი მოსაკრებლის გადახდა 50 ლარის ოდენობით, ჰიბრიდული ავტომობილებისთვის იქნება თანხის 50 პროცენტი, ხოლო ელექტრო ავტომობილებისთვის — სრულიად უფასო.** ამის შემდგომ მათ მიეცემათ ნებართვა, რომელიც მანქანაში უნდა იყოს გაკრული, რათა მომხმარებელმა ნახოს, რომ მანქანა ავტორიზებულია. რაც შეეხება სანებართვო პირობას, ეს არის ავტომობილის სახურავის შუა ნაწილზე „ტაქსის“ ნიშნის განთავსება. რეგისტრაციის ეს მარტივი პროცედურა მოგვცემს საშუალებას, ავღრიცხოთ, რამდენ ადამიანს სურს 2019 წლის შემდგომაც განაგრძოს მუშაობა. მიმდინარე წლის პირველი ნოემბრიდან უნებართვო საქმიანობად ჩაითვლება „ტაქსის“ სერვისი ამ რეგისტრაციის გარეშე. უნებართვო საქმიანობა კი 200-ლარიან სანქციას დაექვემდებარება.

**— 2019 წლიდან რომელი მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევთ პირებს, რომლებსაც სურთ, რომ სატაქსომოტორო სფეროში განაგრძონ მუშაობა?**

— 2019 წლის შემდგომ რა პირობებიც იქნება განსაზღვრული, ჩაიწერება საკრებულოს იმ აქტში, რომელიც კონსესუსის შედეგად უნდა გამოვცეთ. ბუნებრივია, საუბარი იქნება უფლება-მოვალეობებზე და არა მაინცდამაინც სანებართვო პირობებზე. ეს შეიძლება იყოს გარკვეული უნარჩვევები, რათა ელექტრონული ან პირადი ცოდნის მიხედვით აღქმული იქნეს თბილისის ქუჩები. საუბარი იქნება მანქანის ერთიან სტანდარტზე, რომ მანქანა სანიტარულ-ჰიგიენურად მოწესრიგებული იყოს. საბოლოო ჯამში, ყველაფერი ინტეგრირებული იქნება ტექნიკურ მახასიათებლებთან, რასაც ადმინისტრირებას ეკონომიკის სამინისტრო გაუკეთებს.

**— ახალი რეგულაციით, დაიბეგრებიან თუ არა თვითდასაქმებული „ტაქსის“ მძღოლები?**

— რაც შეეხება დაბეგვრის სისტემას, იცით, რომ, მოქმედი საგადასახადო სისტემის მიხედვით, უკვე რამდენიმე წელია, მიკრობიზნესი, რომლის წლიური შემოსავალი 30 ათას ლარს არ აღემატება, გათავისუფლებულია ყველანაირი ვალდებულებისგან. მერმა ცენტრალურ მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა ლიცენზიისა და ნებართვის აღების შემთხვევაში „ტაქსის“ მძღოლები მოექცნენ ამ რეჟიმში. შესაბამისად, ცენტრალური მთავრობისგან გვაქვს მხარდაჭერა და ველოდებით საგადასახადო სისტემაში საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც დაუბეგრავ სისტემას შეუნარჩუნებს „ტაქსის“ მძღოლებს.

**«„ტაქსით“ სარგებლობის ლიცენზიისთვის საჭიროა პირადობის მოწმობა და ერთჯერადი მოსაკრებლის გადახდა 50 ლარის ოდენობით, ჰიბრიდული ავტომობილებისთვის იქნება თანხის 50 პროცენტი, ხოლო ელექტრო ავტომობილებისთვის — სრულიად უფასო. ამის შემდგომ მათ მიეცემათ ნებართვა, რომელიც მანქანაში უნდა იყოს გაკრული, რათა მომხმარებელმა ნახოს, რომ მანქანა ავტორიზებულია»**



**„ტაქსაობა“ მეტად საპატიო და მძიმე შრომაა. თვით ამ სფეროში დასაქმებული ადამიანები მოითხოვდნენ, კონკრეტული წესები შეგვემუშავებინა“**

**შალვა ოგბაიძე**, საავტომობილო სფეროს ექსპერტი:

**— ბატონო შალვა, ფაქტია, რომ სატაქსომოტორო სფერო აქამდე უკონტროლო იყო. ახალი რეგულაციის მიხედვით, იქნება თუ არა დაცული, როგორც მგზავრის, ასევე „ტაქსის“ მძღოლის უფლებები?**

— სწორად აღნიშნეთ, რომ სატაქსომოტორო საქმიანობა, რომლითაც ჩვენი თანამოქალაქეები არიან დაკავებულნი და ამით ოჯახებს ინახავენ, უკონტროლო სფერო იყო. მას თავისი ხიბლი ჰქონდა, მაგალითად, ტექნიკური დათვალიერებისგან გათავისუფლება ან 5-ლარიანი დაზღვევა, რომელიც არაფრის მომცემი არ იყო და ასევე, 17 წლის ადამიანებისთვის მართვის მოწმობის იოლად აღების უფლება — ეს ყველაფერი სოციალურ პაკეტად იყო წარმოჩენილი, ამ სფეროს რეგულირებაც — მათ შორის. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ე.წ. ტაქსაობა მეტად საპატიო და მძიმე შრომაა. თვითონ ამ სფეროში დასაქმებული ადამიანები მოითხოვდნენ, რომ შეგვემუშავებინა რეგულაციები, კონკრეტული წესები, რომლებითაც ადამიანებს, რომლებმაც არც მართვა იციან, არც მანქანა უწყობს ხელს და არც ჯანმრთელობა, აეკრძალებოდათ „ტაქსაობა“.

უნდა განისაზღვროს შემდეგი:

**პირველი** — როგორი უნდა იყოს თბილისის „ტაქსი“, როგორც ბრენდი;

და **მეორე** — რა გამოცდილებასა და უნარებს უნდა ფლობდეს ადამიანი, რომელიც ჩვენს თანამოქალაქეებს ამ სერვისს შესთავაზებს.

**— როგორია მსოფლიო სტანდარტები, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს „ტაქსი“?**

— ავტომობილი უნდა იყოს აუცილებლად გამართული, ეკოლოგიურად უსაფრთხო, უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება არც ისე რთულია; მუხრუჭი, სანათი ხელსაწყოები, გამონაბოლქვი, ვიზუალური მხარე, მინები მხედველობას არ უნდა ზღუდავდეს. უმთავრესი კომპონენტია მძღოლის უნარები: 17 წლის ახალგაზრდას, რომელსაც არავითარი გამოცდილება არ აქვს, არ უნდა ჰქონდეს უფლება, მართავდეს „ტაქსის“. „ტაქსის“ მძღოლს პირველადი დახმარების გაწევა უნდა შეეძლოს, ამას კანონი გვავალდებულებს. „ტაქსისტებზე“ ძველად იღებდნენ ფილმებს, რომლებშიც ისინი დადებითი პერსონაჟები იყვნენ, ფსიქოლოგებიც კი. წარმოიდგინეთ, რამდენნაირი ადამიანი უჯდება მას ავტომობილში დღის განმავლობაში — ახალგაზრდა, მოხუცი, ტურისტი... აღელვებული, ნასვამი და სხვ. მთავარია, „ტაქსის“ მძღოლმა იცოდეს დედაქალაქის ქუჩები. თანამედროვე ეპოქაში სანავიგაციო ტექნოლოგიების გამოყენება არ არის რთული, მაგრამ თბილისში მნიშვნელოვანი საკვანძო ადგილები „ტაქსის“ მძღოლმა აუცილებლად უნდა იცოდეს. ჩვენი მოქალაქეების ლეგიტიმური უფლებაა, რომ კომფორტულად იმგზავრონ.

**— მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სამარშრუტო „ტაქსების“ მომსახურებით. საუბარია მერიის კონტრაქტორ კომპანიაზე. თუ კონტროლდება ეს მიმართულება და როგორ?**

— მქონდა საუბარი მერიის კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენელთან და მონიტორინგის სამსახურთან. მათი ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ სამარშრუტო „ტაქსების“ რამდენიმე მძღოლი პირნათლად იხდიდა დაკისრებულ გადასახადს, ისინი გათავისუფლებულ იქნენ სამსახურიდან. მიზეზი კი მგზავრებთან უხეშობა, სიჩქარის გადაჭარბება და სხვა რამ გახდა. მთავარია, პროცესი დაიწყო და თანახმანი არიან თანამშრომლობაზე.

მოამზადა
**სოფიო კაკაჩიამ**




**ცნობისთვის: თბილისის მეტროპოლიტენმა, 2016 წლის მონაცემებით, 105 მილიონი მგზავრი გადაიყვანა. მუნიციპალური ავტობუსებით იმგზავრა 160-მა მილიონმა კაცმა, 180 მილიონი მგზავრი ჰყავდათ მიკროავტობუსებს. რადგან „ტაქსების“ ოფიციალური აღრიცხვა აქამდე არ ხდებოდა, უცნობია, რამდენი მოქალაქე მგზავრობს „ტაქსით“ წელიწადში.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


მარიო ზაგალო

**მსოფლიოს ჩემპიონატების ოქროს მედლების ყველაზე მეტი კოლექცია აქვს ბრაზილიელ მარიო ზაგალოს — 4. ორი როგორც მოთამაშეს (1958, 1962) ერთი როგორც მთავარ მწვრთნელს (1970) და ერთიც, როგორც მე-2 მწვრთნელს (1994 წ.).**

# ჟიუსტ ფონტენის 60 წლისწინანდელი რეკორდი, ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი და პელეს 3 ტიტული

**მსოფლიოს განვლილ საფეხბურთო ჩემპიონატებზე, რომელთა რაოდენობაც 1930 წლიდან დღემდე 20-ია, უამრავი რეკორდი დამყარდა. გაგაცნობთ მათგან ყველაზე საინტერესოს.**

* მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულების მხრივ რეკორდსმენია **ბრაზილიის** ნაკრები. მის ანგარიშზეა 5 გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატებში — 1958, 1962, 1970, 1994 და 2002 წლებში. 4-ჯერ მოიპოვეს ჩემპიონობა **იტალიელებმა** — 1934, 1938, 1982 და 2006 წლებში. ამდენივე ტიტული აქვს ამჟამინდელ ჩემპიონს **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის** ნაკრებს — 1954, 1974, 1990 და 2014 წლებში. 2-ჯერ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული **ურუგვაისა** (1930, 1950) და **არგენტინის** (1978, 1986) ეროვნულმა ნაკრებებმა.

თითოჯერ: **ინგლისმა** — 1966 წელს, **საფრანგეთმა** — 1998 წელს და **ესპანეთმა** — 2010 წელს.

* ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრები ერთადერთია, რომელიც ყველა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა. რამდენიმე დღეში რუსეთში გასამართი მუნდიალი ამ გუნდისთვის 21-ე იქნება. ბრაზილიელებმა პირველებმა მოიგეს ჩემპიონატის ტიტულები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში — ამერიკაში, ევროპასა და აზიაში.

* მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით — 9:0 გაიმარჯვეს უნგრეთმა (მოუგო სამხრეთ კორეას 1954 წელს) და იუგოსლავიამ (მიუგო ზაირს 1979 წ.). აღსანიშნავია, რომ უნგრეთმა 1982 წელს 10:1 დაამარცხა სალვადორი.

* 2014 წლის ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატზე 171 ბურთი გაიტანეს. ეს 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის რეკორდის გამეორებაა.

* ფინალში ყველაზე მეტჯერ — 3-ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინა და გერმანია. 2-ჯერ გაიმარჯვეს გერმანელებმა, ერთხელ — არგენტინელებმა.

* მსოფლიოს ჩემპიონის ყველაზე მეტი ტიტული აქვს ბრაზილიელ პელეს — 1958, 1962 და 1970 წლები.

* ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ყველაზე მეტჯერ მონაწილეობდა მექსიკელი ანტონიო კარბახალი (1950-1966), გერმანელი ლოთარ მათეუსი (1982-1998) იტალიელი ჯანლუიჯი ბუფონი —5-5-ჯერ.

* ერთ ჩემპიონატში (1958 წ.) ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ფრანგმა **ჟიუსტ ფონტენმა** — 13 (6 მატჩში). ეს რეკორდი 60 წელიწადია, ვერავინ მოხსნა. საერთოდ კი, მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირები არიან გერმანელი **მიროსლავ კლოზე** (2002-2014) — **16 ბურთი** (24 მატჩში); ბრაზილიელი **რონალდო ლუის ნაზარიო დე ლიმა** 15 (19 მატჩში) და გერმანელი **გერდ მიულერი** — 14 (13 მატჩში).

ერთ მატჩში ყველაზე მეტი ბურთ გაიტანა რუსმა **ოლეგ სალენკომ** — 5; ეს მოხდა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში კამერუნსა და რუსეთს შორის (1:6).

* კამერუნელი **როჟე მილა** 42 წლისა და 39 დღის იყო, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბურთი გაიტანა. ეს მოხდა 1994 წელს რუსეთთან მატჩში (1:6).

* მსოფლიოს ჩემპიონატების ყველაზე ახალგაზრდა ბომბარდირია **პელე,** რომელიც 17 წლისა და 239 დღის იყო, როცა ბურთი გაუტანა უელსის ნაკრებს (1958 წ.).

* **მსოფლიოს ჩემპიონატების** ოქროს მედლების ყველაზე მეტი კოლექცია აქვს ბრაზილიელ **მარიო ზაგალოს** — 4. ორი როგორც მოთამაშეს (1958, 1962) ერთი როგორც მთავარ მწვრთნელს (1970) და ერთიც, როგორც მე-2 მწვრთნელს (1994 წ.).

* მწვრთნელთა შორის ყველაზე მეტ მატჩში გამარჯვება მოიპოვა გერმანელმა **ჰელმუტ შიონმა** — 16 (1966-1978).

სერბი **ბორა მილუტინოვიჩი** მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე 5 სხვადასხვა ქვეყნის გუნდს წვრთნიდა: მექსიკას — 1986, კოსტა-რიკას — 1990 წ; ნიგერიას — 1998; ჩინეთს — 2002.

* მსაჯებმა მინდვრიდან ყველაზე მეტი ფეხბურთელი გააძევეს 2006 წლის ჩემპიონატზე.




პელე

* მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ყველაზე მეტი მატჩი იმსაჯა უზბეკმა არბიტრმა **რავშან ირმატოვმა** — 9.

* ბრაზილიაში გამართულ 2014 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი მეორეა მაყურებელთა დასწრების მხრივ. ერთ მატჩს საშუალოდ ესწრებოდა 52 762 ადამიანი. ამ მაჩვენებლით კი პირველია აშშ-ში 1994 წელს გამართული ჩემპიონატი — საშუალოდ 68 991 მაყურებელი 1 მატჩზე.

* მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ყველაზე მეტჯერ ითამაშა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ნაკრებმა — 8-ჯერ: 1954, 1966, 1974, 1982, 1986, 1990, 2002, 2014 წლებში. მეორეა ბრაზილია — 7-ჯერ: 1950, 1958, 1962, 1970, 1994, 1998, 2002 წლებში.

ყველაზე სწრაფი გოლის ავტორია თურქი **ჰაკან შაქერი**. მან 2002 წელს სამხრეთ კორეის კარში მე-11 წამზე შეაგდო ბურთი. მატჩი დამთავრდა თურქეთის გამარჯვების - 3:2.

* 2014 წელს ბრაზილიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე სწრაფი ავტოგოლი გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. ეს მოხდა ბოსნია-ჰერცეგოვინასა და არგენტინის მატჩში, როცა მესამე წუთზე ბოსნიელთა მცველმა **სეად კოლაშინაცმა** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


ჯიჯი ბუფონი


ლოთარ მათეუსი


ანტონიო კარბახალი



ჟიუსტ ფონტენი


მიროსლავ კლოზე


ბრაზილიის ნაკრები

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჰონკონგელი მსახიობის, ჯეკი ჩანის, ქალიშვილმა ეტა უ ჩჟოლინმა განაცხადა, რომ მამამ იგი შინიდან გააგდო. იგი ამბობს, რომ ქუჩაში აღმოჩნდა კანადელ მოდელ ენდი ოტოსთან რომანის გამო. „ერთი თვის განმავლობაში იძულებული ვიყავით, ღამე ხიდის ქვეშ გაგვეთია მშობლების ჰომოფობიის მიზეზით“, — აღნიშნა 18 წლის ჩჟოლინმა. თქვა ისიც, რომ დახმარებისთვის ნაცნობებს მიმართეს, მაგრამ არავინ გაუწოდა ხელი. მან პოლიციასაც მიმართა, საავადმყოფოებსაც, ლგბტ-თემსაც, მაგრამ მათი პრობლემები არავინ გაითავისა.



## ჯეკი ჩანმა თავისი ლესბოსელი ქალიშვილი შინიდან გააგდო

**ჰონკონგელი მსახიობის, ჯეკი ჩანის, ქალიშვილმა ეტა უ ჩჟოლინმა განაცხადა, რომ მამამ იგი შინიდან გააგდო.**

იგი ამბობს, რომ ქუჩაში აღმოჩნდა კანადელ მოდელ **ენდი ოტოსთან** რომანის გამო. „ერთი თვის განმავლობაში იძულებული ვიყავით, ღამე ხიდის ქვეშ გაგვეთია მშობლების ჰომოფობიის მიზეზით“, — აღნიშნა 18 წლის ჩჟოლინმა. თქვა ისიც, რომ დახმარებისთვის ნაცნობებს მიმართეს, მაგრამ არავინ გაუწოდა ხელი. მან პოლიციასაც მიმართა, საავადმყოფოებსაც, ლგბტ-თემსაც, მაგრამ მათი პრობლემები არავინ გაითავისა.

ქალიშვილს დედამ წყვილს ურჩია, იპოვონ სამუშაო და იმედი არ ჰქონდეთ ჯეკი ჩანის პოპულარობის.

2017 წლის ოქტომბერში ჯეკი ჩანის ქალიშვილმა წაიტრაბახა, რომ ლესბოსელია და სოცქსელებში გამოქვეყნებულ თავის ფოტოს წააწერა: „თუ ვინმემ ვერ გაიგო, მე ლესბოსელი ვარ“.



## ამერიკელი პედოფილი ექიმის მსხვერპლთ მილიარდ-ნახევარ დოლარს გადაუხდიან

**მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტი 500 მილიონ დოლარს გადაუხდის ქალებს, რომლებზეც აშშ-ის სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების ყოფილმა ექიმმა ლარი ნასარმა იძალადა.**

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 425 მილიონი დოლარის კომპენსაციას მიიღებს 332 ქალი, რომელთა გამოც ნასარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. 75 მილიონ დოლარს გამოყოფენ სპეციალური ფონდისთვის, რომელიც დაეხმარება იმ ქალებს, რომლებზეც ნასარმა იძალადა და რომლებსაც ამის თაობაზე ჯერჯერობით არ განუცხადებიათ.

2018 წლის იანვრის ბოლოს ნასარს მიუსაჯეს 175 წლით პატიმრობა აშშ-ის ქალთა სპორტული ტანვარჯიშის ნაკრების წევრებზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით. მისი მოძალადეობის შესახებ 140-ზე მეტმა სპორტსმენმა იჩივლა. მათ შორის იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები **სიმონა ბაილსი, ალესანდრა რაისმანი, გაბრიელა დუგლასი** და **მაკაილა მარონი.** დაზარალებულთა უმრავლესობა არასრულწლოვანი იყო.



# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ჰოლივუდისგან მოითხოვენ, გეები და ლესბოსელები ყოველ მეორე ფილმში გადაიღონ



**ბრიტანელმა მსახიობმა იენ მაკელენმა, რომელმაც ფილმ „ბეჭდების მბრძანებელში“ გენდალფის როლი შეასრულა, განაცხადა, რომ ფილმებში ცოტაა პერსონაჟი-გეი. მან თავისი უკმაყოფილება გაანდო Time Out-ს.**

30-წლიანი კარიერის განმავლობაში ამ მსახიობს არ დაუმალავს თავისი მამათმავლური მისწრაფებანი. მისი აზრით, ჰოლივუდში დიდი ხნის განმავლობაში ავიწროებდნენ ქალებს და მხოლოდ ახლახან სერიოზულად შეაფასეს შავკანიანი მსახიობები, მაგრამ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს დღემდე პრინციპულად არ ამჩნევენ.

მაკელენმა თქვა, რომ ფილმი „ღმერთები და მონსტრები“ იყო შემობრუნების მომენტი არატრადიციული ორიენტაციის მსახიობებისთვის დიდი კინოს სამყაროში.

**„ჩემი აზრით, „ღმერთები და მონსტრები“ პირველი ჰოლივუდური ფილმი იყო, რომელმაც დაადასტურა, რომ გეები არსებობენ. ეს უცნაურია, რადგან ჰოლივუდის ნახევარი გეია“**, — ახსნა გეების „დასაქმებისთვის“ თავდადებულმა მამათმავალმა.

აღშფოთდა და აიძაგრა პედერასტებისა და ლესბოსელების ალიანსიც, რომელმაც ახლახან გამოაქვეყნა ანგარიში, როგორ არიან ასახული ლგბტ-თემის წარმომადგენლები ჰოლივუდის უდიდესი კინოსტუდიების ფილმებში. ორგანიზაცია ჩივის, რომ 2017 წელს მკვეთრად შემცირდა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პერსონაჟების რაოდენობა ჰოლივუდის კინოპროდუქციაში.

ანგარიშის თანახმად, 2016 წელს გამოსულ ფილმებში გეები და ლესბოსელები 18,4 პროცენტით იყვნენ წარმოდგენილები, 2017 წელს კი — მხოლოდ 12,8 პროცენტით. ორგანიზაციამ მოითხოვა, რომ ჰოლივუდის კინოსტუდიებმა უნდა გამოასწორონ მდგომარეობა: 2021 წლისთვის ეს მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს 20 პროცენტამდე, 2024 წლისთვის კი ყველა გამოსული ფილმის პერსონაჟების ნახევარი ლგბტ-თემის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. ეს კი ნიშნავს, რომ ჰოლივუდში გადაღებულ ყოველ მეორე ფილმში ორიენტაციააღრეულთა წარმომადგენლებს უნდა ვუყუროთ.

გამოკვლევის ავტორებმა ხაზი გაუსვეს, რომ 18-დან 34 წლამდე ამერიკელების 20 პროცენტი და 35-დან 51 წლის ამერიკელების 52 პროცენტი ლგბტ თემის წევრია. **„თუ ჰოლივუდს სურს, რომ ამ კატეგორიის აუდიტორიამ კვლავაც შეიძინოს კინოთეატრების ბილეთები, მას (აუდიტორიას) უნდა შეუქმნან ისტორიები, რომლებსაც კავშირი ექნება ამ ადამიანების სამყაროსთან“,** — აღნიშნეს მათ.

წლეულს, მარტში მასმედიამ ყურადღება მიაქცია, შემაშფოთებელ მოვლენას — ამერიკულ სერიებში მასობრივად გამოჩნდნენ ბისექსუალები.



## აშშ-ში ამხილეს მრავალცოლიანი მოძალადეების სექტა



**აშშ-ის იუტას შტატის საოლქო სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა მრავალცოლიანების სექტის ლიდერს ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით.**

**სემ შეფერი** აღიარებულია ბავშვის გაუპატიურების ერთ ეპიზოდში. „თქვენ სასჯელი დაგეკისრათ არა თქვენი რელიგიური მრწამსის გამო, არამედ დანაშაულებრივი ქმედებისთვის“, — განუცხადა მოსამართლე **მეთიუ ბელმა** გარყვნილ შეფერს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შეფერმა, „კრისტალური მახვილის რაინდების“ კლანის „ნათელმხილველმა“, თავის მეწყვილე **ჯონ კოლტჰარპთან** ერთად, გაიტაცა საკუთარი შვილები — გოგონები. მამაკაცებმა გამოძიებას განუმარტეს, რომ შეფერი დანიშნულია კოლტჰარპის 8 წლის გოგონაზე, კოლტჰარპი კი დაქორწინებულია შეფერის 7 წლის გოგონაზე.

ბრალდებულის სიტყვით, მას გოგონასთან სექსუალური ურთიერთობა კი არ ჰქონდა, არამედ მხოლოდ სულიერი კავშირი. „მე მას ვუთხარი: — მიპოვე, როცა გაიზრდები“, მან კი მიპასუხა: — მე შენ მიყვარხარ“. და თვალცრემლიანმა პედოფილმა დასძინა, რომ მზად არის, ამ ბავშვს თუ დასჭირდება, მისთვის ჯვარს ეცვას.

პოლიციამ ოთხი ბავშვი, მათ შორის დაზარალებული გოგონები, 2017 წელს ქალაქ სიდარსიტის მახლობლად იპოვა. მათგან ორი ბორბლებიან სახლში იყო, ორი კი წყლის ცარიელ კასრებში იმალებოდა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ისინი უეჭველად დაიღუპებოდნენ, რადგან წლის ამ დროს ტემპერატურა ნულს ქვემოთ ვარდება.

გამოძიებას მიიჩნია, რომ „კრისტალური მახვილის რაინდები“, რომლებიც სამყაროს დასასრულს უახლოეს მომავალში ქადაგებენ, აღიარებენ მრავალცოლიანობასა და მცირეწლოვან გოგონებზე დაქორწინებას, მხოლოდ საფარია პედოფილებისთვის და რელიგიასთან საერთო არაფერი აქვს.

მოამზადა FOX13-ის, TIME OUT-ისა და THE ECONOMIC TIMES-ის მასალების მიხედვით

ყველაზე, ყველაზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იამანტაუში აშენებენ ბუნკერს, რომელიც სისტემა „მკვდარი ხელის“ (ან „პერიმეტრის“) ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ობიექტი იქნება. სისტემა „პერიმეტრს“ შეუძლია ავტომატურად გაუშვას მასირებული ბირთვული დარტყმა. ის არის გარანტია წყალქვეშა, საჰაერო და საშახტო ბაზირების ბალისტიკური რაკეტების სტარტისა, თუ მოწინააღმდეგე გაანადგურებს ყველა პუნქტს, რომელსაც შეუძლია გასცეს ბრძანება საპასუხო ბირთვული შეტევის დაწყებაზე.**

# ადგილები დედამიწაზე, რომლებიც ყველაზე მეტად არის დაცული

**სამხედრო ბაზები, ბიბლიოთეკა, საიდუმლო საცავი და ავტოსადგომიც კი. პლანეტა დედამიწაზე არის ადგილები, რომლებსაც თეთრ სახლსა და კრემლზე მეტად იცავენ.**


ზონა 51


მორმონთა ეკლესიის საიდუმლო საცავი

## ზონა 51, აშშ

ეს არის აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, რომლის არსებობა დადასტურდა მხოლოდ 2013 წლის ივლისში. ობიექტის მაღალ დონეზე გასაიდუმლოების გამო **ზონა 51-ის** გარშემო სივრცე შეზღუდულია ფრენებისთვის, მოქალაქეებსა და ბევრ სამხედროს კი აკრძალული აქვს ბაზის ტერიტორიაზე შესვლა. **ზონა 51** უფოლოგებისა და შეთქმულების თეორიების თაყვანისმცემელთა ფავორიტია. ამბობენ, რომ ამ რაიონს ხშირად სტუმრობს მფრინავი თეფშები: ადამიანებს ეგონათ, რომ საცდელი პროტოტიპები უცხოპლანეტელთა ხომალდებია. საბოლოოდ, ზონა 51 კოლექტიურ წარმოსახვაში გარდაიქმნა ბაზად, რომელშიც აშშ-ის ხელისუფლებას გამომწყვდეული ჰყავს უცხოპლანეტელები.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა პატარა აეროპორტი გახსნეს დამშრალი ტბის — გრუმის რაიონში, ლას-ვეგასიდან 130 კმ-ის მოშორებით. ეს ზონა რუკებზე აღნიშნულია, როგორც Area 51 (ზონა 51). ობიექტი მივიწყებული იყო 1955 წლის აპრილამდე — სანამ პრეზიდენტ **ეიზენჰაუერის** ადმინისტრაციას არ დასჭირდა ცენტრი ახალი ჯაშუში თვითმფრინავების გამოსაცდელად. ბაზის ტერიტორია 37-დან 40 კმ-მდე გააფართოვეს. 24 ივნისს მიიღეს Lokheed U-2-ის პირველი პროტოტიპი. იქ გადაყვანილი სამხედროებისთვის რამდენიმე თვეში ააშენეს სახლები, სკოლები, კინოთეატრები და ბეისბოლის სათამაშო მოედნები. ბაზას უწოდეს Paradise Ranch-ი.

რადგან ბაზის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოები დაკავშირებული იყო სამხედრო მოწყობილობებთან, ამიტომ ყველა სამუშაო ტარდებოდა გრიფით: „სრულიად საიდუმლო“ და ბაზის ტერიტორია ყოველთვის გულმოდგინედ იყო დაცული.

## საიდუმლო ობიექტი მთა იამანტაუში

ბაშკირეთის რესპუბლიკის დასახლება მეჟგორიე ყველაზე ძნელად მისადგომი და იდუმალი ქალაქია რუსეთში.

ამ დასახლებულ პუნქტთან მთა იამანტაუში რაღაცას აშენებენ. ვარაუდობენ, რომ ეს არის რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული მარაგის საცავი. სხვა ვერსიით, იამანტაუში აშენებენ ბუნკერს, რომელიც სისტემა „მკვდარი ხელის“ (ან „პერიმეტრის“) ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ობიექტი იქნება. სისტემა „პერიმეტრს“ შეუძლია ავტომატურად გაუშვას მასირებული ბირთვული დარტყმა. ის არის გარანტია წყალქვეშა, საჰაერო და საშახტო ბაზირების ბალისტიკური რაკეტების სტარტისა, თუ მოწინააღმდეგე გაანადგურებს ყველა პუნქტს, რომლებსაც შეუძლია გასცეს ბრძანება საპასუხო ბირთვული შეტევის დაწყებაზე, და სრულიად დამოუკიდებელია კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებისა და სამეთაურო სისტემებისგან, თვით „ბირთვული ჩემოდნისგანაც“ კი სახელწოდებით „ყაზბეგი“.


ბუნკერი „პიონენი“

ყველაზე გავრცელებული ვერსია ასეთია — იამანტაუში აშენებენ ქალაქს ათას კაცზე, სადაც გადავა ქვეყნის ხელმძღვანელობა მესამე მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში.

## მორმონთა ეკლესიის საიდუმლო საცავი

სოლტ-ლეიკ-სიტის ახლოს განლაგებულია საცავი, რომელიც ეკუთვნის იესო ქრისტეს წმინდა ბოლო დღეების ეკლესიას (მორმონიზმის ყველაზე დიდი განშტოება). ბუნკერი განლაგებულია გრანიტის მთის ქვეშ 200 მ-ის სიღრმეზე. საცავი ისეა დაპროექტებული, რომ შეუძლია გაუძლოს ბირთვულ აფეთქებას.

## ბუნკერი „პიონენი“

სტოკჰოლმში „პიონენი“ იმისთვის ააგეს, რომ ბირთვული დარტყმის შემთხვევაში შვედეთის მთავრობას შეძლებოდა მუშაობა. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ინტერნეტპროვაიდერმა Bahnhof-მა „პიონენი“ დატა-ცენტრად გადააკეთა. შიგნით შესვლა შეიძლება ერთადერთი გვირაბის მეშვეობით. შიგა ინფრასტრუქტურა კი ქმნის მიწისქვეშა ქალაქის იმიტაციას: არის ავტოსადგომები, „მწვანე“ ზონები, აკვარიუმები და დღისა და ღამის შეცვლის სისტემაც კი. „პიონენის“ ყველაზე ცნობილი კლიენტია Wikillaks-ი.

## ვატიკანის ბიბლიოთეკა

ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება ყველაზე ფასეული ისტორიული დოკუმენტები, რაც კი ოდესმე მოუძიებიათ. ითვლება, რომ XV საუკუნეში შექმნილ ვატიკანის უზარმაზარ ბიბლიოთეკაში დაცულია კაცობრიობის თითქმის ყველა ცოდნა წმინდა სწავლებაზე. სხვათა შორის, წიგნების დიდი ნაწილი გასაიდუმლოებულია. ზოგიერთ დოკუმენტზე კი ხელი მხოლოდ რომის პაპს მიუწვდება.

სპეციალისტთა აზრით, ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება მილიონ წიგნზე მეტი, აგრეთვე, უამრავი სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტი. წიგნთსაცავში შესვლა შეუძლიათ მხოლოდ მეცნიერებსა და თეოლოგებს, ოღონდ მხოლოდ კალმითა და ფურცლით ხელში. სტუმრებს საცავში მიჰყვება ორი გვარდიელი და მღვდელი. არქივის საერთო სიგრძე 84 კილომეტრია.

## ფორტ ნოქსი

ადგილი, სადაც ინახება აშშ-ის ოქროს მარაგი ფასდაუდებელ ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად, გულმოდგინედ არის დაცული. ფორტში შესვლა შეიძლება კარის გავლით, რომლის წონა 22 ტონაა.

## კურორტი „მწვანე ასკილი“

ეს კურორტი მდებარეობს დასავლეთი ვირჯინიის (აშშ) ტყეებში. ტერიტორიის ფართობი 2 ათას ჰექტარზე მეტია. „მწვანე ასკილში“ ატარებენ თავიანთ შვებულებას მაღალი რანგის პოლიტიკოსები. ამ ადგილის მთავარი გამოცანა არის მიწის ქვეშ. 25 ტ წონის კარი ხურავს პროდუქტებით სავსე და საცხოვრებლად კარგად მოწყობილი ბუნკერის შესასვლელს. სწორედ იქ იცხოვრებს აშშ-ის კონგრესი ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში.

## ავტოსადგომი BOLD LANE

დიახ, დიახ, სახელდობრ, ავტოსადგომი. ის მდებარეობს დიდი ბრიტანეთის ქალაქ დერბიშირში და პლანეტის ერთ-ერთ უსაფრთხო ადგილად ითვლება. იქ შესვლა ან გამოსვლა არავის შეუძლია სპეციალური საშვის გარეშე. მას შემდეგ, რაც ავტომობილს დააყენებთ, ირთვება მოძრაობის, მოცულობისა და ბგერის უამრავი საინფორმაციო გადამწოდი, რომლებიც აკონტროლებენ სივრცეს ავტომობილის გარშემო. სიგნალიზაციის ჩართვის შემთხვევაში ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი ავტომატურად იბლოკება.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა


საიდუმლო ობიექტი მთა იამანტაუში


ვატიკანის ბიბლიოთეკა


ფორტ ნოქსი


კურორტი „მწვანე ასკილი“


ავტოსადგომი BOLD LANE

# დიდი დასტაქარი ლადო ანდრონიკაშვილი

**არიან ადამიანები, რომელთა ხსენებაც, მიზეზთა გამო, ზოგჯერ მათ სიცოცხლეშიც მოსაწყენია და არიან ისეთნიც, რომელთა გახსენებას სიხარული და ძალა შემოაქვს სულში... გული გინათდება, ენერგია გემატება, სიცოცხლე გიყვარს.**



„ასე იწყება სიცოცხლე". ფოტოზე ცნობილი მეან-გინეკოლოგი ლადო ანდრონიკაშვილი, გადაღებულია 1978 წელს. ფოტო მოგვაწოდა ნინო ანდრონიკაშვილმა

სახელგანთქმული ექიმი, დიდებული დასტაქარი **ლადო ანდრონიკაშვილი** მეორე კატეგორიას ეკუთვნის. ევროპული ფილოსოფიის ფუძემდებელი და ევროპული იდეოლოგიური სახელმწიფო მოდელის პირველი შემოქმედი **სოკრატე**, კაცობრიობის მასწავლებელთა შორის ერთ-ერთ დიდ ბრძენკაცად აღიარებული ბერძენი ფილოსოფოსი, თავს ბებიაქალს უწოდებდა. იგი საუბარს ისე წარმართავდა შეკითხვებით, რომ მოსაუბრე თვითონ მისულიყო ჭეშმარიტ აზრთან, ამიტომ სოკრატეს, როგორც ფილოსოფოსის, ბებიაქალობა აზრის დაბადებას ნიშნავდა.

ქართული სიტყვა „ბებიაქალი" ისეთივე ძველი უნდა იყოს, როგორც „გუთნის დედა". ეს სიტყვები საუკუნეთა სიღრმეში გვახედებდა, როცა ბავშვის შობის პროცესში მელოგინე ქალის პატრონობა ქალის მოვალეობა იყო.

ლეგენდარული მეანგინეკოლოგი **ლადო ანდრონიკაშვილი** ის „ბებიაქალია", რომელსაც უამრავი ადამიანის დაბადებაში მიუძღვის წვლილი. ბატონი ლადო, თავისი მოღვაწეობით, ამქვეყნიური სიცოცხლის ნამდვილი ღვთისმსახური იყო; პიროვნული სისპეტაკით გამორჩეულსა და ადამიანების სიყვარულით დაჯილდოებულს, ეზეიმებოდა, ყოველი ახალი სიცოცხლის მოვლინებაში მახარობელი ყოფილიყო და მიმლოცველის მოვალეობა შეესრულებინა, კრიტიკულ შემთხვევაში შეუძლებელი შესაძლებლად ექცია და სიცოცხლის გამარჯვება განსაცდელში ჩავარდნილებთან ერთად ედღესასწაულა.

ბატონი ლადოს მეუღლე ქმრის მიერ 50-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში სიცოცხლის გადარჩენის უამრავ ეპიზოდს იხსენებს. აი ერთ-ერთი:

* ერთ წვიმიან დღეს სამშობიაროში მშობიარე ქალი მიიყვანეს. ახლობლებიდან არავის უთქვამს, ორსულობის განმავლობაში მძიმე ტოქსიკოზი რომ ჰქონდა, სუიციდის მცდელობაც. მშობიარე მოსამზადებლად აიყვანეს ოთახში. შესვლისთანავე ფანჯარას მივარდა და გადახტა. მყისვე შეატყობინეს ბატონ ლადოს, რომელიც ისე, რომ წამიც არ დაუკარგავს, ეზოში გაიქცა ყვირილით „სკალპელი ჩქარა! ქალი გარდაცვლილი დახვდა. იქვე გაკვეთა და დედის მუცლიდან რამდენიმე წამში ამოიყვანა ჩვილი შეძახილით „ბიჭია!". ამ კვეთას ბატონი ლადოს კოლეგებმა „საუკუნის კვეთა" უწოდეს. ეს ბიჭუნა დღეს დიდი კაცია და იცის, რომ ლადო ანდრონიკაშვილს მიუძღვის უდიდესი წვლილი მის გადარჩენაში.

ასეთი ეპიზოდი ბატონ ლადოს ცხოვრებაში უამრავი იყო.

ვირტუოზი ექიმი მეანგინეკოლოგი, ბატონი ლადო ანდრონიკაშვილი მაგალითია არა მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმის, არამედ დიდი კაცობის, სიკეთის კეთების მზადყოფნისა, მზადყოფნისა თავგანწირვისთვის ყოველი ახალი ადამიანის დაბადებისა და ამქვეყნად მოვლინებისთვის. ასეთი ადამიანები გმირები არიან.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს მისნაირი კაცები!

**დენიზა სუმბაძე,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი



# ჭეშმარიტი მამულიშვილის ხსოვნისათვის

**7 ივნისს სრულდება 40 დღე, მას შემდგომ, რაც მართალი სიტყვის მთქმელი ჟურნალისტი, მართლმადიდებლობისა და ეკლესიური სიწმინდეებისთვის მებრძოლი ირაკლი თოდუა ისტორიისა და სულთა სამყაროს კუთვნილება გახდა.**

მისი უკომპრომისო მოღვაწეობის მასშტაბი დიდია ქვეყნის პოლიტიკური მომავლის სწორი ორიენტაციისა თუ ზნეობრივ-სარწმუნოებრივი აღმავლობის სფეროში. უპირველესად, სწორედ ასეთი სულისკვეთების ერისკაცნი იმკვიდრებენ ცათა სასუფეველს. ბატონი ირაკლი სამშობლოსა და სარწმუნოების საკეთილდღეო გზას ჟურნალისტიკაში მოსვლისთანავე დაადგა და ამ გზიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ გადაუხვევია. უფალი ბრძანებს, რომ ნეტარების სასუფეველი მათია, ვინც სიმართლისათვის იბრძოდა.

ღმერთმა მალე მოგვასწროს ისეთ საქართველოში მოღვაწეობა, როგორზეც უზნეობისა და უსჯულოების პროპაგანდის გულანთებულად მამხილებელი, მართალი სიტყვის მთქმელი რაინდი ირაკლი თოდუა ოცნებობდა.

**ჟურნალ „ლაზარეს აღდგინების" მუშაკთა და ეკლესიის მრევლის ნაწილის სახელით,**

**ღმრთის მსახური**
**მირონ (მერაბ) სულაქველიძე**

## ვლადიმერ პუტინი:

# არ გვსურს, კიდევ ერთი სააკაშვილი «შემოგვტენონ» — რუსულ პოლიტიკას ასეთი ჯამბაზები არ სჭირდება



**რუსეთის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსულ პოლიტიკურ სარბიელს სააკაშვილისნაირი ჯამბაზები არ სჭირდება. ამის შესახებ მან ავსტრიულ ტელეკომპანია ORF-თან ინტერვიუში განაცხადა.**

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ მიეცა **ალექსეი ნავალნის** საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის მოსახლეობას ასეთი პოლიტიკოსები არ აინტერესებს.

„ჩვენ არ გვსურს, რომ კიდევ ერთი, მეორე, მესამე ან მეხუთე სააკაშვილი „შემოგვტენონ"; არ გვსურს, რომ რუსულ პოლიტიკურ სცენაზე მეორე, მესამე და მეოთხე გამოცემის სააკაშვილები გამოჩნდნენ. თქვენ მოგწონთ ასეთი თითქოსდა პოლიტიკური მოღვაწეები? რუსეთს სჭირდება ადამიანები, რომლებსაც პოზიტიური დღის წესრიგი აქვთ, რომლებიც არა მხოლოდ პრობლემებზე საუბრობენ, არამედ მათი გადაჭრის გზების შემოთავაზებაც შეუძლიათ. თუ ადამიანი მხოლოდ პრობლემაზე საუბრობს და მისი საშუალებით საკუთარი რეიტინგის გაზრდა სურს, ხალხს ასეთი პოლიტიკოსები არ აინტერესებს", — განაცხადა პუტინმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, ადამიანებს თუ რატომ არ მიეცათ საშუალება, ალექსეი ნავალნისადმი საკუთარი დამოკიდებულება არჩევნებზე გამოეხატათ, პუტინმა უპასუხა, რომ ამომრჩევლებს პოლიტიკოსების გაცნობა ინტერნეტშიც შეუძლიათ.

„ინტერნეტი არავის დაუხურავს. მასმედია თავისუფალია. ადამიანებს შეუძლიათ გამოვიდნენ ქუჩაში და საკუთარი თავი წარმოადგინონ. თუ რომელიმე მოღვაწე დააგროვებს პოლიტიკურ წონას, ის ხდება ფიგურა, რომელთანაც ხელისუფლებამ დიალოგი უნდა აწარმოოს და შეთანხმებას მიაღწიოს, მაგრამ, თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალას 1, 2 ან 3%-იანი მხარდაჭერა აქვს, რაზეა მაშინ საუბარი?! კი, ბატონო, ინებეთ მაშინ სააკაშვილი. რაში გვჭირდება ჩვენ ასეთი ჯამბაზები?!" — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

# ტყიბულში ორი მუშა დაიღუპა

**ტყიბულში კარიერული წესით ნახშირის მოპოვებისას ორი მუშა დაიღუპა, მათ შორის ერთი — 25 წლისა. შემთხვევა კერძო კომპანიის ღია მოპოვებით საწარმოში 1 ივნისს, გვიან ღამით მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.** მიმდინარე წლის 5 აპრილს ტყიბულის მინდელის სახელობის შახტში 6 მუშა დაიღუპა, 3 დაშავდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ტყიბულის შახტებში უკვე 13 მეშახტე დაიღუპა.

**ძალიან განვიცადეთ „საქართველო და მსოფლიოს" მთავარი რედაქტორის, ახალგაზრდა კაცის — ირაკლი თოდუას უდროო გარდაცვალება.**

**თქვენი გაზეთი ერთ-ერთია თითებზე ჩამოსათვლელ გაზეთებს შორის, რომლებიც სიმართლეს ამბობენ. ეს კი, უპირველესად, ბატონი ირაკლის დიდი დამსახურებაა.**

**ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული!**

**ზარბეგ ბერიაშვილი,**
**გურამ სალარაძე**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894